„ხელოვნება" № 7-8 1992 წ.

სემ შეპარდი

თარგმნა ზაზა ჭილაძემ

# დამარხული ბავშვი

## მოქმედი პირები

დოჯი — ოთხმოცს მიტანებული მოხუცი კაცი.
ჰელი — მისი ცოლი, სამოცს გადაცილებული.
ტილდენი — მათი უფროსი ვაჟი.
ბრედლი — მათი შუათანა ვაჟი, ცალფეხა.
ვინსი — ტილდენის ვაჟიშვილი.
შელი — ვინსის მეგობარი გოგონა.
მამა დევისი — პროტესტანტი მღვდელი.

## პირველი მოქმედება

სცენა. დღეა. მარცხნივ, ავანსცენაზე ხის ძველი კიბეა, ზედ ფერგადასული, გაცრეცილი ნოხი აფენია. უბაქანო კიბე ზევით, მარცხენა კულისებში ბოლოვდება. მოპირდაპირე მხარეს, სცენის სიღრმეში, ძველი, მუქი მწვანე, ალაგ-ალაგ ბამბებამოჩრილი დივანი დგას. დივანთან — ყვითელაბაჟურიანი ტორშერი და მომცრო, წამლის ბოთლებით სავსე ღამის მაგიდა. დივნის წინ, ეკრანით დივანისკენ — დიდი, ძველმოდური ტელევიზორი. ეკრანი ცისფრად ციმციმებს, ოღონდ არაფერი ჩანს და არც არაფერი ისმის. ტორშერის და ტელევიზორის მუქი სუსტად ანათებს ჩამუქებულ სივრცეს სცენის სიღრმეში. დივანის უკან, ტიხარს იქით, ფიცრისიატაკიანი ვერანდაა. მარჯვნივ, მთლიანი ხის კარი, ოთახისა. მეორე, ვერანდიდან გარეთ გამავალ კარს, შუშაზე რკინის ბადე აქვს გაკრული. ამ კარს იქით ნაძვების მუქი სილუეტები მოჩანს.

ტელევიზორის წინ დივანზე მჯდომი დოჯის ფიგურა თანდათანობით იკვეთება, ცისფერი შუქი სახეზე დასციმციმებს. საკმაოდ შელახული მაისური, აჭიმებიანი, ხაკის სამუშაო შარვალი და ყავისფერი ფლოსტები აცვია. ძველ, ყავისფერ საბანშია გახვეული. თითქმის ოთხმოცს მიტანებული, ძალიან გამხდარია და ავადმყოფურად გამოიყურება. გაშტერებული შესცქერის ტელევიზორს. ნელ-ნელა სცენაზე შუქი მატულობს. ისმის წვიმის სუსტი ხმა. უგდებს ყურს. მერე მზერა დივანის ბალიშზე გადააქვს. საბნიდან მარცხენა ხელს გამოყოფს, ბალიშის ქვეშ შეაცურებს და იქიდან ვისკის ბოთლს გამოაძვრენს, კიბისკენ აპარებს თვალს, რაღაცას უსმენს, მერე ბოთლს თავსახურს მოხსნის და მოიყუდებს. ისევ დაახურავს ბოთლს თავსახურს, ბალიშის ქვეშ შეინახავს და ტელევიზორს მიაშტერდება. გაუბედავად, ჩუმად ახველებს, ხველის შეკავებას ცდილობს. ჯერ ვერაფერს ახერხებს, მაგრამ როცა კიბის თავიდან ცოლის ხმას გაიგონებს, ხველას უცებ შეწყვეტს.

ჰელის ხმა: დოჯ?

(დოჯი ტელევიზორსაა მიშტერებული. ხანგრძლივი პაუზა. ორჯერ მოკლე-მოკლედ, დაგუდულად წამოახველებს).

ჰელის ხმა. დოჯ! წამალი გინდა, დოჯ?

(დოჯი არ პასუხობს, ბალიშის ქვემოდან ერთხელაც გამოაძვრენს ბოთლს და ხარბად დაეწაფება. ბოთლს უწინდელ ადგილზე აბრუნებს. ტელევიზორს უცქერის, უფრო მაგრად, თავფეხიანად ეხვევა საბანში).

ჰელის ხმა. შენც ხომ იცი, რაცა გჭირს? ხომ იცი? წვიმს! ამინდის ბრალია. მეტი არაფერი. სულ ასე არაა.... წვიმაში ყოველთვის ეგრე გემართება, გაწვიმდება თუ არა, ხველაც აგიტყდება ხოლმე. (პაუზა.) დოჯ?

(დოჯი არ პასუხობს. ჯიბიდან სიგარეტის კოლოფს იღებს, სიგარეტს უკიდებს. ტელევიზორს შესცქერის. პაუზა.)

ჰელის ხმა. ერთი გაჩვენა, აქ რა ხდება. თავსხმაა. არაფერი არ ჩანს. ალბათ, ხიდს წაიღებდა. მანდ როგორაა საქმე. ქვევით? დოჯ? (დოჯი მხარსზემოდან ვერანდისკენ იყურება. მერე ისევ ტელევიზორისკენ აბრუნებს თავს.)

დოჯი. (თავისთვის) კატასტროფულად.

ჰელის ხმა. რა? რა თქვი?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დოჯი. (უფრო ხმამაღლა) მე მგონი წვიმს! ჩვეულებრივი გულისგამაწვრილებელი წვიმაა!

ჰელის ხმა: წვიმაა? წვიმაა, აბა რა?! შენ რა მოგივიდა? შეტევა გაქვს თუ რა გჭირს? დოჯ (პაუზა) იცოდე, თუ არ მიპასუხებ, ერთ წუთში მანდ გავჩნდები!

დოჯ. არ ჩამოხვიდე.

ჰელის ხმა: რა?

დოჯი. (უფრო ხმამაღლა). არ ჩამოხვიდე!

(ერთხელ კიდევ ებრძვის უხმო ხველას. ძლივს იბრუნებს სულს)

ჰელის ხმა. ჩაყლაპე ეგ ოხერი აბი! ვერ გავიგე, რატომ არ ყლაპავ. ადექი და მოათავე ერთხელ და სამუდამოდ. დაუსვი წერტილი.

(დოჯი ისევ იღებს ბოთლს, სვამს, ბოთლს ადგილზე აბრუნებს.).

ჰელის ხმა. შეიძლება, ქრისტიანული საქციელი არ იყოს, მაგრამ თუკი შველის? ისე, რა ვიცით რა არის ქრისტიანული და რა არა. ბევრ რამეს მღვდელიც ვერ აგიხსნის. მე პირადად ცუდს ვერაფერს ვხედავ. ტკივილი ტკივილია, კი, ბატონო. გასაგებია ყველაფერი. მაგრამ ტანჯვა? ტანჯვა სხვა საქმეა, სულ სხვა ამბავია, და მე თუ მკითხავ, არც აბი უნდა იყოს ნებისმიერ სხვა გამოსავალზე უარესი. დოჯ? (პაუზა) დოჯ, ბეისბოლს უყურებ?

დოჯი. არა.

ჰელის ხმა. რა?

დოჯი. (უფრო ხმამაღლა) არა!

ჰელის ხმა. რას უყურებ? ისეთს არაფერს უყურო, რაც აგაღელვებს! არც დოლს!

დოჯი. დოლი კვირაობით არ იმართება.

ჰელის ხმა. არც უნდა მართავდნენ კვირაობით დოლს.

დოჯი. არც მართავენ.

ჰელის ხმა. ძალიანაც კარგი თუ არ მართავენ. მიკვირს კიდეც, ეგეთი კანონები ჯერაც რომ არსებობს. მართლა საოცარია.

დოჯი. ხო, საოცარია.

ჰელის ხმა. რა?

დოჯი. (უფრო ხმამაღლა) საოცარია-მეთქი!

ჰელის ხმა. მართლაც, ნამდვილად. ამას წინათ გამახსენდა, შობაზეც კი იმართებოდა ხოლმე დოლი. ზედ ფინიშის ხაზთან დიდი ბრჭყვიალა ნაძვის ხე იდგა.

დოჯი. (თავს აქნევს) არა.

ჰელის ხმა. ახალ წელსაც! მახსოვს.

დოჯი. ახალ წელს დოლი არასოდეს არ გამართულა!

ჰელის ხმა. როგორ არა, ზოგჯერ იმართებოდა.

დოჯი. არასოდეს, არც ერთხელ!

ჰელის ხმა. სანამ ჩვენ დავქორწინდებოდით, იმართებოდა ხოლმე!

დოჯი გაღიზიანებული იქნევს კიბისკენ ხელს, დივანზე გადაწვება. ტელევიზორს შესცქერის.

ჰელის ხმა. ერთხელ მეც ვიყავი. ერთ კაცთან ერთად.

დოჯი. (აჯავრებს) აჰ, „ერთ კაცთან ერთად"!

ჰელის ხმა. რა?

დოჯი. არაფერი.

ჰელის ხმა. გადასარევი კაცი იყო. მესაქონლე.

დოჯი. რა?

ჰელის ხმა. მესაქონლე! ცხენები ჰყავდა! წმინდა სისხლის ცხენებს აშენებდა.

დოჯი. აჰ, წმინდა სისხლის, რა მითხარი.

ჰელის ხმა. მართლა, რა გინდა რომ ცხენებზე არ ცოდნოდა.

დოჯი. ნიძლავს დავდებ, რაღაც-რაღაცეებს შენც გასწავლიდა, ჰა? საჯინიბოშიც მიგატარ-მოგატარებდა.

ჰელი ხმა. იმ დღეს ოხრად მოვიგეთ ფული.

დოჯი. რა?

ჰელის ხმა. ფული! მგონი, სულ ჩვენ ვიგებდით.

დოჯი. ოხრად?

ჰელის ხმა. ზედიზედ.

დოჯი. ოხრად ფული?

ჰელის ხმა. იშვიათი დღე იყო.

დოჯი. ახალი წელი!

ჰელის ხმა. ხო. მგონი ფლორიდაში. ან, შეიძლება კალიფორნიაში! ორში ერთი.

დოჯი. მე რომელი გამიხარდება?

ჰელის ხმა. ფლორიდაში!

დოჯი. აჰაშენა ღმერთმა!

ჰელის ხმა. გადასარევი! გასაგიჟებელი! ხავერდოვანი მზე. ფლამინგოები, ფრანგული ღვინო. პალმები.

დოჯი. (თავისთვის, აჯავრებს) ფრანგული ღვინო. პალმები.

ჰელის ხმა. სიცოცხლე ჩქეფდა, ყველა ცეკვავდა, ყველაფერი ცეკვავდა. მილეთი ხალხი ირეოდა. მერე რა ჩაცმულ-დახურული, ახლანდელივით კი არ ეცვათ.

დოჯი. როდინდელი ამბავია?

ჰელის ხმა. როდინდელი და დიდი ხნის წინანდელი. სანამ შენ გაგიცნობდი.

დოჯი. ფლორიდაში?

ჰელის ხმა. დიახ, ან შეიძლება კალიფორნიაში. ზუსტად ვერ გეტყვი.

დოჯი. ამოდენა გზაზე?

ჰელის ხმა. დიახ.

დოჯი. რა თქმა უნდა, თითიც არ დაუკარებიხ, არა? (ხანგრძლივი პაუზა) ჰელი?

(ჰელი არ პასუხობს. ხანგრძლივი პაუზა.)

ჰელის ხმა. დღეს სადმე წასვლას აპირებ?

დოჯი. (კიბისკენ იშვერს ხელს) ამ წარღვნაში?

ჰელის ხმა. რა იყო, ისე გეკითხები.

დოჯი. დარში ხომ ვერ შემოგყავართ შინ და დღეს ვითომ რა ხეირნობა ამიტყდება?

**ჭელის ხმა.** დღეს საყიდლებზე გასვლას არ ვაპირებ და იმიტომ გეკითხები. რამე თუ დაგჭირდება, ტილდენს უნდა სთხოვო.

**დოჯი.** ტილდენი აქ არ არის!

**ჭელის ხმა.** სამზარეულოშია.

(დოჯი მარცხნივ იხედება, მერე ისევ ტელევიზორისკენ აბრუნებს თავს.)

**დოჯი.** კარგი.

**ჭელის ხმა.** რა?

**დოჯი.** (უფრო ხმამაღლა) კარგი!

**ჭელის ხმა.** რა გაღრიალებს! ისევ დაგავწყდება.

**დოჯი.** კარგი.

**ჭელის ხმა.** ტილდენს დაუძახე, რაც გინდა და მოგიტანს. (პაუზა) ბრედლი მოგვიანებით მოვა.

**დოჯი.** ბრედლი?

**ჭელის ხმა.** უნდა გაგკრიჭოს.

**დოჯი.** გამკრიჭოს? არ მჭირდება მე მაგის გაკრეჭა!

**ჭელის ხმა.** არ გეტკინება!

**დოჯი.** არ მჭირდება-მეთქი!

**ჭელის ხმა.** ორ კვირაზე მეტი გავიდა, დოჯ.

**დოჯი.** არ მჭირდება!

**ჭელის ხმა.** მე მამა დევისს უნდა შევხვდე. დღეს ერთად ვსადილობთ.

**დოჯი.** ბრედლის გადაეცი, აქ თუ დავინახე იმ საპარსით, ჩემი ხელით მოვკლავ!

**ჭელის ხმა.** ძალიან არ დავიგვიანებ. ოთხს არ გადავაცილებ.

**დოჯი.** შენი პირით უთხარი! ბოლოჯერ ლამის გამატყავა! თან მეძინა! არც გამაღვიძა! რომ გავიღვიძე, აღარ დამხვდა!

**ჭელის ხმა.** ჩემი რა ბრალია!

**დოჯი.** შენ დაავალე!

**ჭელის ხმა.** არც მიფიქრია!

**დოჯი.** შენც გინდოდა! შენ არ მართავდი რაღაც ტუტუცურ წვეულებას? სტუმრების მოსვლამდე გვამი უნდა გაგეპატიოსნებინათ! ყურებთანაც აკრიჭე! ქოჩორი ცოტა დაუმოკლე! ბარემ ჩიბუხიც ჩაგეჩარათ ჩემთვის პირში! კარგი სანახავი ვიქნებოდი! ჰა? დაგავიწყდათ ჩიბუხი? მლაპაც დაგეხურათ! და ისე, სხვათაშორის, კალთაში ულ სტრიტ ჟორნელის ეგზემპლარიც ჩაგეგდოთ!

**ჭელის ხმა.** სულ ცუდი როგორ უნდა იფიქრო ყველაზე!

**დოჯი.** ეგ არის ცუდი? შენ უარესი არ მოგისმენია!

**ჭელის ხმა.** არც მინდა! მეტი რა მესმის მთელი დღე. მეყოფა, საკმარისია.

**დოჯი.** გირჩევნია, უთხარი!

**ჭელის ხმა.** შენ თვითონ უთხარი! შენი შვილია. შვილთან ლაპარაკი კი უნდა შეგეძლოს.

**დოჯი.** მძინარეს? მძინარეს შემჭრა თმა!

**ჭელის ხმა.** მეტს აღარ იზამს.

**დოჯი.** მე რა ვიცი!

**ჭელის ხმა.** პირობას გაძლევ, შენი ნებართვის გარეშე არ იზამს.

**დოჯი.** (პაუზის შემდეგ) ან საერთოდ რა უნდა აქ. რისთვის უნდა მოვიდეს.

**ჭელის ხმა.** პასუხისმგებლობის გრძნობა აქვს და იმისთვის.

**დოჯი.** ჩემ თმაზე აგებს პასუხს?

**ჭელის ხმა.** შენ გარეგნობაზე.

**დოჯი.** ჩემი გარეგნობა რა იმისი სადარდებელია! მე აღარ კდარვარ და საერთოდ, ეგეთი რამე ბუნებაში აღარ არსებობს! გავქრი, გავუჩინარდი!

**ჭელის ხმა.** ხალხს ნუ გააცინებ!

**დოჯი.** ურჩევნია, არც ხცადოს. ვთქვი და გავათავე.

**ჭელის ხმა.** ტილდენი მოგხედავს.

**დოჯი.** ტილდენი ბრედლისგან ვერ დამიცავს.

**ჭელის ხმა.** ტილდენი უფროსია. დაგიცავს.

**დოჯი.** თავისი თავი ვერ დაუცვია!

**ჭელის ხმა.** რა გაყვირებს? გაიგონებს, სამზარეულოშია.

**დოჯი.** (იძახის) ტილდენ!

**ჭელის ხმა.** დოჯ, ვითომ ახლა რა გინდა, ჰა?

**დოჯი.** (იძახის) ტილდენ, მოდი აქ!

**ჭელის ხმა.** გიყვარს არა აურზაური? გსიამოვნებს?

**დოჯი.** მე არაფერი არ მსიამოვნებს!

**ჭელის ხმა.** რომ იცოდე, რა საშინელებას ამბობ!

**დოჯი.** ტილდენ!

**ჭელის ხმა.** აი, სწორედ მაგისთანა ლაპარაკი აკვლევინებს კაცს თავს.

**დოჯი.** ტილდენ!

**ჭელის ხმა.** მაგიტომ დაეძებთ სულ ღმერთს და ვერ გიპოვიათ!

**დოჯი.** ტილდენ!!

**ჭელის ხმა.** აღარც მიკვირს, ბრბოს ღრიალში ღვთის სიტყვა რომ აღარ ისმის.

**დოჯი.** ტილდენ!!!

(დოჯს საშინელი, სპაზმური ხველის შეტევა ეწყება, ამ დროს მარცხნიდან სცენაზე ტილდენი შემოდის, ახლადმომკილი პურის ძნა მოაქვს ორივე ხელით. ტილდენი დოჯის უფროსი ვაჟია, ორმოცდაათს მიტანებული; მძიმე, ყელიანი, ტალახიანი ფეხსაცმელები, მუქი მწვანე სამუშაო შარვალი, სქელი, ჭრელი პერანგი და გახუნებული, ყავისფერი ქარგაუმტარი ქურთუკი აცვია. მოკლედ შეკრეჭილი თმა დასვრილებია. რაღაც ღრმა ტანჯვის კვალი ამჩნევია და მთლად დალაგებულიც არ უნდა იყოს. სცენის შუაგულში ჩერდება თავის ტვირთიანად და უხმოდ შესცქერის დოჯს, სანამ ის ნელ-ნელა მოერევა ხველას. დოჯი მძიმედ ასწევს თავს მაღლა და შვილს მიაჩერდება. მზერა პურის თავთავებზე ეყინება. დიდხანს, უხმოდ, უშტერებენ ერთმანეთს თვალს).

**ჭელის ხმა.** დოჯ, შენ თვითონ თუ არ დალევ იმ აბს, ძალით არავინ ჩაგაყლაპებს.

(კაცები მის ხმას ყურადღებას არ აქცევენ)

**დოჯი.** (ტილდენს) ეგ სადღა იშოვე?

**ტილდენი.** დავგლიჯე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**დოჯი.** ამდენი?

(ტილდენი თავს უქნევს)

**დოჯი.** სტუმრებს ელოდები?

**ტილდენი.** არა.

**დოჯი.** სად დაგლიჯე?

**ტილდენი.** აქვე. გარეთ.

**დოჯი.** სად გარეთ?

**ტილდენი.** აქვე. სახლთან.

**დოჯი.** სახლთან პურს რა უნდა!

**ტილდენი.** სავსეა.

**დოჯი.** მგონი 1985 წლის მერე ჩვენ სახლთან პური აღარ მოსულა. ბოლოს მაშინ დავთესე.

**ტილდენი.** ახლა არის.

**დოჯი.** (კიბეს ასძახის) ჰელი!

**ქალის ხმა.** ხო, საყვარელო!

**დოჯი.** ტილდენმა პური მოელი ძნა მოათრია! სახლის უკან პურის ყანაა?

**ტილდენი.** (თავისთვის) ტონობითაა პური.

**ქალის ხმა.** მე რამდენადაც ვიცი, არ უნდა იყოს!

**დოჯი.** მეც ეგრე ვფიქრობ.

**ქალის ხმა.** 1985 წლის მერე...

**დოჯი.** (ტილდენს) სწორია. 1985-ის.

**ტილდენი.** ახლა არის.

**დოჯი.** წადი და საიდანაც მოიტანე, იქ დააბრუნე ეგ თავთავები!

**ტილდენი.** (პაუზის შემდეგ, დოჯს მიშტერებული) ჩემი ხელით დავგლიჯე. წვიმაში. დაგლეჯილს უკან რადა დააბრუნებს.

**დოჯი.** 57 წელია მეზობლებთან ურთიერთობა აღარ მქონია. აღარც ვიცი, ვინა მყავს მეზობლად! არც მინდა ვიცოდე! წადი და ახლავე უკან დააბრუნე!

(ტილდენი დოჯს უყურებს, მერე ნელა უახლოვდება, თავთავებს კალთაში უყრის და ერთი ნაბიჯით უკან იხევს, დოჯი ცოტა ხანს თავთავებს დასცქერის, მერე ტილდენზე გადააქვს მზერა. ხანგრძლივი პაუზა)

**დოჯი.** შეგემთხვა რამე, ტილდენ? გიჭირს ჩვენთან?

**ტილდენი.** არაფერი არ მიჭირს.

**დოჯი.** შეგიძლია გულახდილად მითხრა. მე ჯერაც შენი მამა ვარ.

**ტილდენი.** ვიცი, რომ ჯერაც ჩემი მამა ხარ.

**დოჯი.** ნიუ მექსიკოში პატარა უსიამოვნებას რომ გადაეყარე, ვიცი. მაგიტომაც დაბრუნდი.

**ტილდენი.** არაფერს არ გადავყრივარ.

**დოჯი.** ტილდენ, დედაშენმა ყველაფერი მიამბო.

**ტილდენი.** რა გიამბო?

(ტილდენი ქურთუკის ჯიბიდან სალეჭ თამბაქოს ამოიღებს, ცოტაოდენს მოაკბეჩს.)

**დოჯი.** ტყუილად რას მალაპარაკებ! გეუბნები, ყველაფერი-მეთქი!

**ტილდენი.** შეიძლება სამზარეულოდან ჩემი სკამი მოვიტანო?

**დოჯი.** რა?

**ტილდენი.** შეიძლება სამზარეულოდან ჩემი სკამი შემოვიტანო?

**დოჯი.** აბა, რა? მიდი, შემოიტანე.

(ტილდენი გადის, დოჯი თავთავებს ძირს ყრის, გაბრაზებული მოიძრობს საბანს, დივანის კუთხეში მიაგდებს, ბოთლს აიღებს და ერთხელაც მოიყუდებს. ტილდენი ისევ შემოდის. ჯორკო და ვედრო შემოაქვს. სანამ ტილდენი ფაინახავდეს, დოჯი სწრაფად დამალავს ბოთლს ბალიშის ქვეშ. ტილდენი ჯორკოს დივანთან დადგამს, დაჯდება, წინ ვედროს დაიდგამს, იატაკიდან თითო-თითოდ კრეფს თავთავებს და ფშვნის. მარცვალს სცენის შუაგულში ყრის, გამოფშვნილ თავთავს კი ვედროში. ვიდრე ლაპარაკობენ, სულ ასე საქმიანობს.)

**დოჯი.** (პაუზის შემდეგ) მართლა კარგი მოსავალი ჩანს.

**ტილდენი.** საუკეთესო.

**დოჯი.** ნაჯვარია?

**ტილდენი.** რა?

**დოჯი.** რამე ახალი ჯიშია-მეთქი?

**ტილდენი.** შენი დათესილია, მე რა ვიცი, რა ჯიშია.

**დოჯი.** (პაუზა) ტილდენ, ხომ იცი, სამუდამოდ აქ ვერ დარჩები. იცი, არა?

**ტილდენი.** (ვედროში აფურთხებს) არც ვაპირებ.

**დოჯი.** ვიცი, რომ არ აპირებ. ეგ არ მაწუხებს. მაგიტომ არ მითქვამს.

**ტილდენი.** აბა?

**დოჯი.** მაინტერესებს, რას აპირებ?

**ტილდენი.** ჩემი ამბავი არ გაწუხებს, არა?

**დოჯი.** არ მაწუხებს.

**ტილდენი.** როცა აქ არ ვიყავი, არც მაშინ გაწუხებდა, როცა ნიუ მექსიკოში ვცხოვრობდი.

**დოჯი.** არა, არც მაშინ.

**ტილდენი.** უნდა შეწუხებულიყავი.

**დოჯი.** რატომ? ჩაიდინე რამე?

**ტილდენი.** არაფერი ჩამიდენია.

**დოჯი.** აბა, რატომ უნდა შევწუხებულიყავი?

**ტილდენი.** მარტო ვიყავი და იმიტომ.

**დოჯი.** მარტო იყავი და იმიტომ?

**ტილდენი.** ხო. ასე მარტო არასოდეს ვყოფილვარ, არც ადრე.

**დოჯი.** მარტო რატომ იყავი?

**ტილდენი.** (პაუზა) შეიძლება, ცოტა შენი ვისკი დავლიო?

**დოჯი.** რა ვისკი? სადა მაქვს ვისკი?

**ტილდენი.** ბალიშის ქვეშ.

**დოჯი.** ბალიშის ქვეშ ვისკის რა უნდა? რას მიედ-მოედები! გამაგიჟებს ეს კაცი! ღმერთმა იცის, ოცი წელი სად იყავი დაკარგული, არც შენი ამბავი შემოგვითვლია, არც ჩვენი გიკითხავს, ახლა მოდიხარ და რაღაცეებს მაბრალებ.

**ტილდენი.** არაფერს არ გაბრალებ.

**დოჯი.** აბა, ვისკის მალავთ?..

**ტილდენი.** არ გაბრალებ.

**დოჯი.** ახლა არა თქვი, ბალიშის ქვეშ ვისკი გაქვს დამალულიო?!

**ჰელის ხმა.** დოჯ?

**დოჯი.** (ტილდენს) აჰა, გაიგო. ეგ მინდოდა?

**ტილდენი.** არაფერიც არ გაუგია.

**ჰელის ხმა.** შენ თავს ელაპარაკები, დოჯ?

**დოჯი.** არა, ტილდენს!

**ჰელის ხმა.** ტილდენი მანდაა?

**დოჯი.** აქ ბრძანდება!

**ჰელის ხმა.** რა?

**დოჯი.** (უფრო ხმამაღლა) აქ ბრძანდება!

**ჰელის ხმა.** რას აკეთებს?

**დოჯი.** (ტილდენს) არ უპასუხო.

**ტილდენი.** (დოჯს) ხო არაფერს ვაშავებ!

**დოჯი.** ეგ მე ვიცი!

**ჰელის ხმა.** რას აკეთებს-მეთქი მანდ?

**დოჯი.** (ტილდენს) არ უპასუხო.

**ტილდენი.** კარგი.

**ჰელის ხმა.** დოჯ!

(კაცები ჩუმად სხედან, დოჯი სიგარეტს უკიდებს, ტილდენი თავთავების ფშვნას აგრძელებს, თან თამბაქოს ღეჭავს და დროდადრო იფურთხება.)

**ჰელის ხმა.** დოჯ! რამეს ხომ არა სვამს? იცოდე, არ დალიოს! ყურადღება მიაქციე. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები. მაგას რაღა მოეკითხება, ჩვენ უნდა ვუპატრონოთ. სხვა ვინ მიხედავს. მე შენ გეტყვი, გავაგზავნით სადმე. სადა გვაქვს მაგის ფული. არცა გვაქვს და არც გვექნება. არასოდეს. ჰოდა, მაგრად უნდა ვიყოთ. შენც და მეც. აბა, ვინ გვყავს მომვლელი. არავინ არ შეიწუხებს თავს. ბრედლის რა შეუძლია. თავისი გაჭირვებია საცოდავს. ყოველთვის იმედი მქონდა, გაიზრდებიან და ბრედლისაც ტილდენი მიხედავს-მეთქი. მერე ბრედლიმ რომ ფეხი დაკარგა. ტილდენი უფროსია. სულ ვფიქრობდი, ოჯახს ეგ გაუძღვება-მეთქი. რას წარმოვიდგენდი, ამდენ სადარდებელს თუ გაგვიჩენდა. საერთოდ ვინ იფიქრებდა. არ დაგავიწყდეს, ნაკრებში იყო. ხომ გახსოვს. დამცველად თამაშობდა. თუ ნახევარდამცველად. ამერია.

**ტილდენი** (თავისთვის) დამცველად. (ისევ თავთავებს ფშვნის.)

**ჰელის ხმა.** მერე ტილდენმაც იმდენი თავსატეხი გაგვიჩინა და, ანსელიღა დამრჩა იმედად. რა თქმა უნდა, ანსელი ტილდენივით ლამაზი არ იყო, მაგრამ ჭკუა უჭრიდა. ალბათ, ყველაზე მეტად. რა ვიცი. მე ეგრე მგონია. ყოველ შემთხვევაში, ბრედლის არც შევადარებდი ანსელს. ნამდვილად არ ჩარჩებოდა ხერხში ფეხი. მაგდენი ჭკუა კი ეყოფოდა. მე მგონი ტილდენზე ჭკვიანიც იყო. ტილდენი რომ შარში გაეხვა!.. მგონი კი არა, ახლა, არა, ციხეში ჩაასმევინებდა ვინმეს თავს! ყველა აფასებდა: ჭკვიანი ბიჭიაო. ანსელის სიკვდილის მერე მე და შენ, რა თქმა უნდა, მთლად მარტო დავრჩით. მარტო დარჩენაა, აბა რა არის?! რა განსხვავებაა. თითქოს ყველანი დაგვეხოცნენ ერთ დღეს. ყველაზე ჭკვიანი იყო. დიდი ფული შეეძლო ეშოვა. ძალიან დიდი ფული.

(ჰელი კიბის თავში გამოჩნდება, ჯერ მარტო ფეხები მოუჩანს, მერე კიბეზე ჩამოდის, ნელ-ნელა, საფეხურ-საფეხურ, თან გაუჩერებლად ლაპარაკობს. მგლოვიარესავით, თავფეხიანად შავებშია ჩაცმული — შავი ხელჩანთა, პირბადიანი ქუდი, შავი, იდაყვებამდე ხელთათმანები. დაახლოებით 65 წლისაა, მთლად გაჭაღარავებული. ლაპარაკში გართული, კაცებს ვერც ამჩნევს, ისინი კი უწინდებურად სხედან, ერთი ეწევა, მეორე თავთავებს ფშვნის.)

**ჰელის ხმა.** ანსელი ჩვენც მოგვივლიდა. ამაგს დაგვიფასებდა. ეგეთი იყო, გმირი, არ დაგავიწყდეს. ნამდვილი გმირი. მამაცი. ღონიერი. და ძალიან განათლებული. დიდი კაცი შეეძლო გამოსულიყო. ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული. მარტო იმას ვნანობ, რატომ გმირულად არ დაიღუპა-მეთქი. დიდი უსამართლობაა ასეთი კაცის სიკვდილი სასტუმროს ნომერში, ჯარისკაცი იყო. მედალს დაიმსახურებდა. მამაცობისთვის დააჯილდოებდნენ. მამა დევისს ველაპარაკე ანსელის მემორიალური დაფის თაობაზე. კარგი აზრიაო, ისიც დამეთანხმა. იცნობდა ანსელს. როცა კალათბურთს თამაშობდა, თამაშს არ ვაცდენდიო. იმისი უსაყვარლესი მოთამაშე ყოფილა. სხვათა შორის, მუნიციპალიტეტისთვის მიუმართავს რეკომენდაციით — ანსელს ძეგლი უნდა დაუდგათ. დიდი ძეგლი, მაღალი — ერთ ხელში კალათბურთის ბურთი, მეორეში — თოფი. ხედავ, როგორ აფასებს ჩვენს შვილს!

(ჰელი სცენაზე ჩამოდის და აქეთ-იქით მიდი-მოდის, ნალაპარაკევით აღელვებული და აღგზნებული, ხელთათმანებს ისწორებს, კაბიდან ძაფს იშორებს და თან ლაპარაკობს. კაცები ჩუმად სხედან.)

**ჰელი.** კათოლიკე რომ არ შეერთო, რა თქმა უნდა, დღესაც ცოცხალი იქნებოდა. ვიღაც ტიტია. ვერ გამიგია, რამ დააბრმავა. ვერ გამიგია და მომკალით. არადა, სხვა ყველა ხედავდა. ტილდენიც კი. ტილდენმა ერთი-ორჯერ უთხრა კიდეც. კათოლიკე ქალები ყველაზე ეშმაკის გაგზავნილები არიან. მაგრამ რა გინდა, უსმენდა ვინმეს? სიყვარულით იყო დაბრმავებული, თვალებდავსებული. მე ვიცოდი, მე კი არა, ყველამ იცოდა. ჯვრისწერა პანაშვიდს უფრო ჰგავდა. გახსოვს? ის იტალიელები თუ გახსოვს? იმათი საზიზღარი, გაპოხილი შავი თმა. იაფფასიანი ოდეკოლონის სუნი. მგონი, მღვდელსაც პისტოლეტი ედო ჯიბეში. ბეჭედი რომ წამოაცვა თითზე: მაშინ მივხვდი, ეს უკვე მკვდარია-მეთქი. თაფლობის თვე! ვიცოდი! იქიდან აღარ დაბრუნდებოდა. ვაკოცე და: გინდაც გვამისთვის მეკოცნოს, გაფითრებული იყო, ცივი, ლურჯი. გაყინული ტუჩები ჰქონდა. აღარ ისე არასდროს უკოცნია ჩემთვის. არასოდეს. მაშინვე გულში გამკრა, დაწყევლა-მეთქი. სული ამოხადა. იმას თვალებში დავინახე. თავისი კათოლიკური დამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცინავი ღიმილით გამიღიმა, თვალებით მითხრა, ლოგინში მოვკლავო, ჩემ შვილზე. მე მითხრა. და მე არაფრის გაკეთება არ შემეძლო, ხელფეხი მქონდა შეკრული. იმას მიყვებოდა და ეგონა თავისუფალი ვარო. ეგონა, ესაა სიყვარულიო. მე რა უნდა მექნა? ხომ ვერ ვეტყოდი, ალქაჯია-მეთქი? ეგ როგორ მეთქვა. შემაჯავრებდა, სამუდამოდ შემიძულებდა. თავი როგორ შემეძულებინა, როცა ვიცოდი, ისე მოკვდებოდა, ველარ მნახავდა. მომაკვდავს მე უნდა ვძულებოდი, მე ვძულებოდი და ის უყვარებოდა! მაგას ვერ ვიზამდი, უნდა გამეშვა. იძულებული ვიყავი, გავაცილე კიდეც. ლიმუზინში რომ სვამდა, ყვავილებს აყრიდა თავზე, ვხედავდი, როგორ გაუჩინარდა იმისი სახე შუშის იქით.

(მოულოდნელად ჩუმდება და ძირს მობნეულ პურს დასცქერის. ახლადგამოღვიძებულივით იყურება აქეთ-იქით. მერე შეტრიალდება და ჯერაც წყნარად მსხდომ ტილდენს და დოჯს მიაშტერდება. ბოლოს ისევ პურზე გადააქვს მზერა.)

**ჰელი.** (ძირს მობნეულ პურზე უთითებს) ეს რაღაა ჩემს სახლში? რას ნიშნავს ეს ყველაფერი?

(ტილდენი თავთავების ფშვნას თავს ანებებს და დედას შესცქერის.)

**ჰელი.** (დოჯს) შენც ხელს უწყობ!

(დოჯი ისევ მაგრად ეხვევა საბანში.)

**დოჯი.** ამ წვიმაში აპირებ გასვლას?

**ჰელი.** არ წვიმს.

(ტილდენი უწინდელ საქმიანობას აგრძელებს.)

**ჰელი.** ჩვენ ფლორიდაში არა ვართ!

**დოჯი.** არც აეროდრომზე.

**ჰელი.** ის აბი ჩაყლაპე? სულ ეგრე გიჟურად აგალაპარაკებს ხოლმე. ტილდენ, ჩაყლაპა აბი?

**ტილდენი.** არაფერი არ ჩაუყლაპავს.

**ჰელი.** (დოჯს) რა დალიე?

**დოჯი.** არც კალიფორნიაში, არც ფლორიდაში არც აეროდრომზე, მარტო ილინოისში. წვიმა მარტო ილინოისში მოდის. მთელ დანარჩენ სამყაროს მზე დაკაშკაშებს თავზე.

(ჰელი ღამის მაგიდისკენ მიდის და წამლის ბოთლს ამოწმებს.)

**ჰელი.** რომელი დალიე? ტილდენ, როგორ ვერ დაინახე რას ყლაპავდა.

**ტილდენი.** არაფერს მიკარებია.

**ჰელი.** აჰა, გიჟურად რატომ ლაპარაკობს?

**ტილდენი.** მე სულ აქ ვიჯექი.

**ჰელი.** მაშინ ორივეს რაღაც დაგილევიათ!

**ტილდენი.** მე მარტო თავთავებს ვფშვნიდი.

**ჰელი.** მართლა! ეგ პური საიდან მოიტანე? რატომ გაივსო სახლი უცებ თავთავებით?

**დოჯი.** იშვიათად დიდი მოსავალია.

**ჰელი.** (სცენის შუაგულისკენ მიდის) ოცდაათ წელზე მეტია პური აღარ მოგვიყვანია.

**ტილდენი.** სახლის უკან მთელი ყანა ბიბინებდა. თვალს ვერ გაუწვდენ.

**დოჯი.** (ჰელის) სანამ შენ ზემოთ ზიხარ შენს ოთახში, ქვეყანაზე რაღაც-რაღაცეები ხდება. შენი გულისთვის დედამიწა არ გაჩერდება. პური იზრდება. წვიმა მოდის.

**ჰელი.** მშვენივრად ვიცი, ქვეყანაზე რაც ხდება, დიდი მადლობა. სხვათა შორის, ზემოდან ჩანს, თუ ჩანს ქვეყანა, ჩემი ფანჯარაც სწორედ უკანა ეზოს გადაჰყურებს. იქ პურის ხსენებაც არ არის, საკენკადაც.

**დოჯი.** ტილდენი არ მოგვატყუებს, რასაც იტყვის, წყალს არ გაუვა.

**ჰელი.** რას ნიშნავს ეს პური, ტილდენ!

**ტილდენი.** არც მე ვიცი. სახლის უკან გავედი, წვიმდა. შინ შემოსვლა რაღაც არ მინდოდა. მაინცდამაინც არც სიცივე მაწუხებდა. დასველებისაც არ მეშინოდა. მოდა, უბრალოდ ვხეირნობდი ჩემთვის. ტალახში ამოვიგანგლე, ოღონდ არც ეგ მენაღვლებოდა. გავიხედე და, პურის ზღვა დავინახე. შიგ ვიდექი. შიგ შუა გულში.

**ჰელი.** გარეთ პურის ხსენება არ არის, ტილდენ! პურს იქ რა უნდა! ესე იგი ან უნდა მოგეპარა სადმე, ან გეყიდა!

**დოჯი.** ფული არა აქვს.

**ჰელი.** (ტილდენს) აბა, გიქურდია!

**ტილდენი.** არ მიქურდია. ილინოისიდანაც უნდა გამაძევონ? ნიუ მექსიკოდან გამომაძევეს და მეყოფა. მეტი აღარ მინდა.

**ჰელი.** ილინოისს არ ვიცი, ტილდენ, ამ სახლიდან კი გაძევება ნამდვილად არ აგცდება, ამ წუთასვე თუ არ მეტყვი საიდან მოათრიე პური!

(ტილდენი ჩუმად იწყებს ტირილს, თავისთავის, ოღონდ ძველ საქმიანობას მაინც არ ანებებს თავს, პაუზა.)

**დოჯი.** (ჰელის). რა იყო ახლა ვითომ ამის თქმა? რა მნიშვნელობა აქვს, სად იშოვა პური? რა მოიგე მაგით?

**ჰელი.** (დოჯს) შენი ბრალია. შენც ხომ მშვენივრად იცი! შენი ხელი ურევია ყველაფერში. ალბათ იფიქრე, სასაცილო იქნებაო! იხუმრე! პურის თავთავებით გაავსე სახლი. დროზე მოასუფთავე აქაურობა, ბრედლიმ არ დაინახოს.

**დოჯი.** ბრედლი ჩემს სახლში ფეხს ვერ შემოდგამს!

**ჰელი.** (ფეხით ფანტავს ძირს დაყრილ პურს, წინ და უკან დადის) ამის დანახვაზე ძალიან გაბრაზდება. არეულობას ვერ იტანს, თავის ადგილზე თუ არ დევს რამე, ვერ აუტანია. ნემსიც რომ იყოს. ხომ იცი, რა ემართება.

**დოჯი.** ბრედლი საერთოდ არ ცხოვრობს აქ.

**ჰელი.** იმის სახლიცაა. აქ დაიბადა!

**დოჯი.** აქ კი არა, სადორეში დაიბადა.

**ჰელი.** ეგ აღარ თქვა! არასდროს გაიმეორო!

**დოჯი.** ბინძურ სადორეში! დაიბადა და იმის ადგილიც იქაა! აქ რა ესაქმება!

**ჰელი.** (ჩერდება) არ ვიცი, რა დაგემართა, დოჯ. რა ჯანდაბა გჭირს. გაბოროტდი. არადა, კარგი კაცი იყავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დოჯი. ან ერთმა რა მომიტანა, ან მეორემ.

ჰელი. ზიხარ აქ დღე და ღამე. ცოცხლად ლპები! იხრწნები! სახლს აყროლებ შენი აქოთებული ხრწეულით! დილამდე ტვინს იჭყლეტ, კიდევ რა ახალი ხიბოროტე, ხიბინძურე და ხისულელე მოიგონო და თქვა საკუთარ სისხლზე და ხორცზე.

დოჯი. ის რა ჩემი სისხლი და ხორცია! იემი სისხლი და ხორცი უკანა ეზოშია დამარხული!

(ყველა გაქვავდება. ხანგრძლივი პაუზა. კაცები ქალს შესცქერიან.)

ჰელი. (წყნარად) საკმარისია, დოჯ. გეყოფა. მე მივდივარ. მამა დევისთან ერთად ვსადილობ. ძეგლის ამბავიც უნდა ვკითხო. ძეგლი თუ არა, მემორიალური დაფა მაინც უნდა გაკეთდეს.

(სცენის სიღრმეში, მარჯვენა კარებისკენ მიდის. ჩერდება.)

ჰელი. რამე თუ დაგჭირდება, ტილდენს სთხოვე. ეგ უფროსია. სამზარეულოში, მაგიდაზე ცოტა ფული დავტოვე.

დოჯი. არაფერი არ მჭირდება.

ჰელი. მეც ეგრე მგონია. (კარს აღებს, გარეთ იხედება) ისევ წვიმა. ნაწვიმარზე მიწის სუნი მიყვარს. ძალიან არ დავიგვიანებ.

(გადის და კარს კეტავს. ვერანდას გადაივლის, მარცხნივ, ზადიანი კარისკენ. შუა გზაში ჩერდება. იქიდან ელაპარაკება დოჯს, ოღონდ მისკენ აღარ ტრიალდება)

ჰელი. დოჯ, ტილდენს უთხარი, უკანა ეზოში აღარ გავიდეს. წვიმაში გასვლა აეკრძალა-თქო.

დოჯი. შენ თვითონ უთხარი. აგერ არ ზის.

ჰელი. მაგას ჩემი არ ესმის. არც ადრე ესმოდა.

დოჯი. ვეტყვი.

ჰელი. ახლაც ისე უნდა ვდიოთ, როგორც ბავშვობაში დავდევდით. ყოველთვის. ჯერაც ბავშვია...

დოჯი. კარგი, მივხედავ.

ჰელი. აბა, წავედი.

(კარებთან მიდის, საკიდიდან ქოლგას ხსნის და გადის. კარი ჯახუნით იკეტება მის ზურგსუკან. ხანგრძლივი პაუზა. ტილდენი თავთავებს ფშვნის, კვდროს მიშტერებული. დოჯი სიგარეტს უკიდებს, ტელევიზორს უყურებს.)

ტილდენი. ეგ არ უნდა გეთქვა.

დოჯი. რა?

ტილდენი. რაც უთხარი. კარგად იცი.

დოჯი. შენ თვითონ რაღა იცი მაგ ამბის?

ტილდენი. ვიცი. ყველაფერი ვიცი. ყველამ ვიცით.

დოჯი. მაშინ რა მნიშვნელობა აქვს? ყველამ იცის. ყველას დაავიწყდა.

ტილდენი. იმას არ დავიწყებია.

დოჯი. ერჩივნა დავიწყებოდა.

ტილდენი. ქალისთვის სხვაა. ვერ დაივიწყა. როგორ უნდა დავიწყებოდა?

დოჯი. არ მინდა მაგაზე ლაპარაკი.

ტილდენი. აბა, რაზე გინდა?

დოჯი. არაფერზე! არც პრობლემებზე, არც 50 თუ 80 წლის წინანდელ ამბებზე, არც ფლორიდის იპოდრომზე და არც ბოლოჯერ დათესილ პურზე! საერთოდ არაფერზე!

ტილდენი. არც სიკვდილი გინდა, არა?

დოჯი. არა. არც სიკვდილი მინდა.

ტილდენი. მაშინ უნდა ილაპარაკო, თორემ მოკვდები.

დოჯი. ეგ ვიღამ გითხრა?

ტილდენი. მე თვითონ ვიცი. ნიუ მექსიკოში მივხვდი. მეგონა ვკვდებოდი. მაგრამ თურმე მარტო ხმა დავკარგე.

დოჯი. ვინმესთან ერთად იყავი?

ტილდენი. მარტო. მეგონა მოვკვდი.

დოჯი. იქნებ ეგრეც იყო. აქ რისთვის დაბრუნდი?

ტილდენი. არ ვიცოდი, სხვაგან სად წავსულიყავი.

დოჯი. ამ ხნის კაცი ხარ. შენ ასაკში, წესით, მშობლები აღარც უნდა გჭირდებოდეს. ეს არაბუნებრივია. თან, ახლა ჩვენც რას გაგიკეთებთ? ვითომ. იქ ვერ იცხოვრებდი? რამე გზა ვერ მონახე? შენ თავს მაინც ვერ შეინახავდი? აქ რამ დაგაბრუნა? როგორ ფიქრობ, სამუდამოდ ჩვენ გარჩენთ?

ტილდენი. არ ვიცოდი, სად წავსულიყავი.

დოჯი. მე ჩემ მშობლებთან აღარასოდეს მივბრუნებულვარ. ჩემს დღეში. არც სურვილი გამჩენია. დამოუკიდებელი ვიყავი. ყოველთვის დამოუკიდებელი. მე თვითონ ვპოულობდი ჩემს გზას.

ტილდენი. არ ვიცოდი, რა მექნა. ვერაფერი მოვიფიქრე.

დოჯი. მოსაფიქრებელიც არაფერია. თავი უნდა დაალერო და იარო და იარო, გაათრიო წუთისოფელი. რაა საფიქრელი?

(ტილდენი დგება.)

ტილდენი. არ ვიცი.

დოჯი. ეზოში გასვლა აკრძალული გაქვს. მშვენივრად გაიგონე რაც თქვა. თავს ნუ იყრუებ.

ტილდენი. მომწონს იქაურობა.

დოჯი. წვიმაში?

ტილდენი. განსაკუთრებით წვიმაში. რაღაც კარგი გრძნობა მეუფლება ხოლმე. ძველებური.

დოჯი. შენ ჩემი მოვლა-პატრონობა გევალება. რამე თუ დამჭირდება, უნდა მომიტანო.

ტილდენი. რა გჭირდება?

დოჯი. არაფერიც არ მჭირდება! მაგრამ შეიძლება დამჭირდეს. ყოველ წუთას. ნებისმიერ დროს. წუთით არ შეიძლება ჩემი მარტო დატოვება!

(დოჯი ხველას იწყებს.)

ტილდენი. აქვე ვიქნები. ერთი დამლაზე და...

დოჯი. (თან ხველას ებრძვის და თან ლაპარაკობს) არა! აქედან შორია! არ წახვიდე! შეიძლება ვერ გაგაგონო.

ტილდენი. (წამლებიანი მაგიდისკენ დგამს ნაბიჯს) წამალს რატომ არ სვამ? მოგაწოდო?

ეროვნული ბიბლიოთეკა

(დოჯს ხველა უძლიერდება, დივანზე ეცემა, ხელებს ყელზე იჭერს, ტილდენი საცოდავადაა აწურული.)

**დოჯი.** წყალი! წყალი მომიტანე.

(ტილდენი მარცხნივ, კულისებში გარბის. დოჯი წამლებისკენ იწვდენს ხელს. რამდენიმე ბოთლს იატაკზე აგდებს, ხველისგან იკრუნჩხება. ბოლოს მაგრად ბლუჯავს პატარა ბოთლს, რამდენიმე აბს ხელისგულზე იყრის და ყლაპავს. ტილდენი სცენაზე შემორბის, ჭიქით წყალი მოაქვს. დოჯი ჭიქას ართმევს წყალს სვამს. წყნარდება.)

**ტილდენი.** უკეთ ხარ?

(დოჯი თავს უქნევს. კიდევ სვამს წყალს. ტილდენი უფრო უახლოვდება. დოჯი ღამის მაგიდაზე დგამს ჭიქას. უკვე აღარ ახველებს.)

**ტილდენი.** წამოწოლილიყავი ცოტა ხანი, დაგეხვეწნა.

(დოჯი წვება, ტილდენი ეხმარება, საბანს აფარებს.)

**დოჯი.** ხომ არსად მიდიხარ?

**ტილდენი.** არა.

**დოჯი.** არ მინდა, გამუდმებით და ვერ დაგინახო.

**ტილდენი.** აქ ვიქნები.

(ტილდენი დოჯს საბანს უკეცავს.)

**დოჯი.** ახლოს?

**ტილდენი.** აი, ჩემს სკამზე ვიჯდები.

**დოჯი.** ეგ სკამი არ არის. ჯორკოა. ადრე, ძროხას რომ ვწველიდი, მაგაზე ვჯდებოდი ხოლმე.

**ტილდენი.** ვიცი.

**დოჯი.** სკამს ნუ ეძახი.

**ტილდენი.** აღარ დავუძახებ.

(ტილდენი ცდილობს დოჯს ბეისბოლისტის ქუდი მოხადოს.)

**დოჯი.** რას შვრები? მეხუროს! არ მომხადო. ჩემი ქუდია, რა გინდა?

(ტილდენი თავს ანებებს.)

**ტილდენი.** ვიცი, ვინ გართმევს.

**დოჯი.** ქუდი თუ არ მეხურება, ბრედლი თავს გადამპარსავს. ჩემი ქუდია.

**ტილდენი.** ვიცი, რომ შენია.

**დოჯი.** მეხუროს ჩემი ქუდი.

**ტილდენი.** კარგი, ბატონო, გეხუროს, არ მოგხდი.

**დოჯი.** ახლოს იყავი.

**ტილდენი.** (ჯორკოზე ჯდება) ჰო.

**დოჯი.** არსად არ გახვიდე. გარეთ რა დაგრჩენია.

**ტილდენი.** არ გავალ.

**დოჯი.** რაც გინდა, ყველაფერი აქაა. ფული მაგიდაზე დევს, აგერ ტელევიზორი... ტელევიზორი ჩართულია?

**ტილდენი.** ჰო.

**დოჯი.** გამორთე! გამორთე ეგ ოხერი! რას მიკეთებს?

**ტილდენი.** (ტელევიზორს თიშავს, შუქი ქრება) შენ თვითონ დატოვე ჩართული.

**დოჯი.** ჰოდა, შენ გამორთე.

**ტილდენი.** (ისევ ჯორკოზე ჯდება) გამორთულია.

**დოჯი.** აღარ ჩართო.

**ტილდენი.** არ ჩავრთავ.

**დოჯი.** თუ დამეძინა. მერე ჩართე.

**ტილდენი.** კაი, ბატონო.

**დოჯი.** თუ გინდა, ბეისბოლს უყურე. შენ „წითელი წინდებისკენა" ხარ, არა.

**ტილდენი.** ჰო.

**დოჯი.** ჰოდა, უყურე შენს „წითელ წინდებს". პი ვი რიზი. გახსოვს პი ვი რიზი?

**ტილდენი.** არა.

**დოჯი.** „წითელ წინდებში" არ იყო?

**ტილდენი.** არ ვიცი.

**დოჯი.** პი ვი რიზი. (თვლემა ერევა) დაჯექი და უყურე. შენ სტენ მუსიალი გეხსომება.

**ტილდენი.** არა.

**დოჯი.** სტენ მუსიალი. (უკვე ბურანში ლაპარაკობს) ბაზების მცველები მზად არიან. მეექვსე ცდა იწყება. რანერები ცმუკავენ. სტენ მუსიალი უკვე ცალ მუშტზე დაყრდნობილი ჩაცუცქულა. ვერ დაიჭირა. მოქნეული კეტი ბურთს ხვდება. ჰაჰ! წავიდაა... რაკეტასავით გაფრინდა ბურთი. კინაღამ გასკდა. ჩემი თვალით დავინახე. ზუსტად საათსა და რეკლამის აბრას შუა შეასკდა კედელს. ბიჭებიდან პირველი მე ვეცი. პირველი მე ვიომე იმ ბურთისთვის! ხელს როგორ გავუშვებდი. კინაღამ ყურები დამხვლიჯეს. მაგრამ ცოცხალი თავით როგორ გავუშვებდი ხელს.

(დოჯი ღრმა ძილით იძინებს. ტილდენი ცოტა ხანს გაუნძრევლად ზის და შესცქერის. მერე ნელ-ნელა დივანისკენ იხრება, ამოწმებს — დაიძინა თუ არაო. ნელა ყოფს ბალიშის ქვეშ ხელს და ვისკის ბოთლს იღებს. დოჯს მაგრად ძინავს. ტილდენი უხმოდ დგას, დოჯს შესცქერის, თან ბოთლს თავსახურს ხსნის, მერე ბოთლს იყუდებს, ბლომად მოსვამს. ბოთლს ისევ ახურავს თავს და უკანა ჯიბეში იდებს. იატაკზე მობნეულ პურს ათვალიერებს, მერე მძინარისკენ გაექცევა თვალი. სცენის შუაგულისკენ მიდის, პურს ბოჭავს, ვედროდან ნამჯას იღებს. დივანთან ბრუნდება. დოჯს ადგას თავზე, ზემოდან დასცქერის, მერე მძინარეს, მთელ სიგრძეზე, ნაზად აყრის პურს და ნამჯას, უკან იხევს და დოჯს ათვალიერებს. ჯიბიდან ბოთლს ამოიღებს, ერთხელაც მოსვამს, ბოთლს ისევ ჯიბეში ჩაიბრუნებს. ერთხელაც მობოჭავს იატაკზე მობნეულ მარცვალს, მერე ვედროდან ერთხელ კიდევ ამოიღებს ნამჯას და იგივე პროცედურას იმეორებს, მანამდე იმეორებს, სანამ იატაკი მთლად არ მოსუფთავდება და დოჯიც მთლიანად არ ჩაიმალება ნამჯაში, მარტო თავიღა მოუჩანს. ტილდენი ისევ მოსვამს ვისკის, მძინარეს უცქერის და მერე ჩუმად გადის მარცხნივ. ხანგრძლივი პაუზა, მხოლოდ წვიმის გაბმული ხმა ისმის. დოჯს ძინავს. სცენის სიღრმეში, მარცხნივ, ბრედლის ფიგუ-

რა გამოჩნდება, ვერანდის ბადიან კარს იქით. თავზე სველი გაზეთი დაუფარებია. ეტყობა, კარის გაღება უჭირს, ფეხი უცურს და ლამის ეცემა. დოჯს არაფერი ესმის, მშვიდად ძინავს.)

**ბრედლი.** ძაღლიშვილო! ხალხის გამგდებელო!

(წელში სწორდება და ვერანდაზე შემოდის. გაზეთს ძირს აგდებს, თმას ჩამოიწურავს, ტანსაცმელსაც იფერთხავს. მოსული კაცია, ნაცრისფერი ბამბის სპორტული ზვიტრი, შავ აჭიმებიანი, შეფერთხილი, მუხლებზე გამობერილი მუქი ლურჯი შარვალი და შავი, მეეზოვის ფეხსაცმელები აცვია. მარცხენა ფეხი მუხლს ქვემოთ აქვს მოჭრილი, პროტეზი უკეთია. საკმარად ჩქარა, რაღაცნაირი მექანიკური კოჭლობით დადის. სიარულისას პროტეზის [illegible] ტყავი გულისგამაწვრილებლად ჭრიჭინებს. მკლავები და მხრები თითქოს არაბუნებრივადაც დაკუნთულია. ხუთიოდე წლით უმცროსი იქნება ტილდენზე. დიდი ძალდატანების ფასად მარჯვენა კარებისკენ მიდის, სცენაზე შემოდის და კარს ზურგსუკან იკეტავს. თავიდან დოჯს ვერ ამჩნევს. კიბისკენ მიდის.)

**ბრედლი.** (ზემოთ ასძახის) დედა!

(გაჩუმდება და მიაყურადებს. სცენის სიღრმისაკენ შეტრიალდება და მძინარე დოჯს შეამჩნევს ნამჯაში ჩამარხულს. ნელა მიუახლოვდება დივანს, ვედროსთან გაჩერდება და შიგ ჩაიხედავს. დოჯს ძინავს. თავისთვის ლაპარაკობს ძილში.)

**ბრედლი.** ეს რაღა ოხრობაა?

(მძინარე დოჯის სახეს დაცქერის და უკმაყოფილოდ აქნევს თავს. ჯიბიდან თმის საჭრელ შავ ელექტრომანქანას იღებს. მავთულს შლის და ტორშერისკენ მიდის. ხის ფეხს სახსარში იკეცავს, უშნოდ იჩოქებს იატაკზე, შტეფსელში მანქანის ჩასართავად. ისევ დგება და დივანს დაყრდნობილი დოჯს უახლოვდება. ერთხელაც იკეცავს ფეხს, ცალ მუხლზე იჩოქებს. გააფთრებული ყრის ძირს ნამჯას. მერე უხეშად მოხდის მძინარეს ბეისბოლისტის ქუდს და შუა სცენისკენ ისვრის. დოჯს ძინავს. ბრედლი მანქანას რთავს. შუქი თანდათანობით კლებულობს. ბრედლი მძინარე დოჯს თმას პარსავს. შუქი ნელ-ნელა სულ ქრება, ისმის მანქანის ზუზუნი და წვიმის ხმა.)

## მეორე მოქმედება

იგივე დეკორაცია. ღამეა, ისევ წვიმს. დოჯსაც ჯერ ისევ დივანზე ძინავს, თმა ძალიან მოკლედა აქვს გადაკრეჭილი, ალაგ-ალაგ კანი გაჭრია და სისხლი მოსდის. მისი ქუდი ისევ შუა სცენაზე გდია. არც პურის თავთავებს, არც ვედროს და არც ჯორკოს კვალი აღარსად ჩანს. მარცხენა კულისებიდან გოგოს სიცილი ისმის და ამ დროს შუქიც ინთება. [illegible] მარცხნიდან შელი და ვინსი გამოჩნდებიან [illegible] დის ბადიან კარს უახლოვდებიან. ორივე ვინსის ლაბადასაა შეფარებული. შელი დაახლოებით ცხრამეტი წლისაა, შავთმიანი, ძალიან ლამაზი. შემოტკეცილი ჯინსები, მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი, ხასხასა წითელი მაისური და კურდღლის მოკლე ქურქი აცვია. მონდომებითაა შეღებილი, თმა დახვეული აქვს. ვინსი ტილდენის ვაჟია, ოცდაორი წლის; შალის პერანგი, ჯინსები, კოვბოის ჩექმები აცვია, შავი სათვალე უკეთია და ხელში საქსოფონის ბუდე უჭირავს. ვერანდაზე შემოდიან და ლაბადას ფერთხავენ.)

**შელი.** (იცინის, ჰაერში შემოატარებს ხელს) ესაა? მართლა ესაა? არა მჯერა.

**ვინსი.** ესაა.

**შელი.** ეს სახლია?

**ვინსი.** ეს სახლია.

**შელი.** არა მჯერა.

**ვინსი.** რატომ ვითომ?

**შელი.** ნორმან როკუელის ყდას თუ რაღაც ეგეთს გავს.

**ვინსი.** რას უწუნებ? ნაღდი ამერიკულია.

**შელი.** მერძევე და პატარა ძაღლი სადაა? რა ქვია ცუგას? სპოთი. სპოთი და ჯეინი. დიკი, ჯეინი და სპოთი.

**ვინსი.** გეყო.

**შელი.** დიკი და ჯეინი და სპოთი და დედილო და მამილო და ძამიკო და დაიკო!

(იცინის, მუხლზე ხელს ირტყამს.)

**ვინსი.** კარგი, შო! ჩემი მემკვიდრეობა ესაა. აბა, რას ელოდებოდი?

(გოგო კიდევ უფრო ისტერიულად იცინის, თავს ველარ იკავებს.)

**შელი.** „და თაფლი და ტორტი და დუდა და პონჩო და ყველანი ერთად. ერთ მშვენიერ დღეს ქუჩის კუთხეში მაღაზიაში მიცუნცულდნენ მისტერ მარშალის ფისუნიასთვის მოვლილი პარკი ძირტკბილას საყიდლად!“

(ისე გულით იცინის, მუხლებზე ეცემა, მუცელი ხელით უჭირავს. ვინსი დგას და თვალს არ აშორებს.)

**ვინსი.** ადექ, გეყო მაიმუნობა!

(გოგო იცინის, ტორტმანით დგება ფეხზე მუცელზე ხელებმოჭერილი ტრიალებს.)

**შელი.** (ბავშვის ხმით აგრძელებს თავის ამბავს) „მისტერ მარშალი შვებულებაში იყო. რა იცოდა, რომ პატარა ბიჭუნას ასე ძალიან თუ შეუყვარდებოდა მისი ციცუნია კატა!“

**ვინსი.** ბოლო-ბოლო ცოტა პატივი მეცი!

**შელი.** (თავის შეკავებას ცდილობს) მაპატიე.

**ვინსი.** აზრზე მოდი.

**შელი.** (მხედრულ სალამს აძლევს) არის, სერ!

(ხითხითებს.)

**ვინსი.** რა გჭირს, შელი?

**შელი.** (პაუზის შემდეგ, ღიმილით) და მისტერ მარშალმა...

**ვინსი.** მოკეტე!

(გოგო ჩერდება. ჩუმად დგას, ვინსი შესცქერის. [illegible] ძლივს იკავებს სიცილს.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ვინსი.** (პაუზის შემდეგ) მორჩი?

**შელი.** კი, ძმაო!

**ვინსი.** ეგრე იდიოტივით თუ მოიქცევი, საერთოდ არ შევალ.

**შელი.** დიდი მადლობა.

**ვინსი.** მე იგივეს ვერ გეტყვი. სამწუხაროდ.

**შელი.** ნუ გეშინია, არ შეგარცხვენ.

**ვინსი.** არ მეშინია.

**შელი.** შენც გეშინია.

**ვინსი.** ჰო, კაი, დაწყნარდი. ეგრე შტერივით ახითხითებულს ხომ არ შეგიყვან. იფიქრებენ რამე უბედურება ჭირსო.

**შელი.** მართალიც იქნებიან.

**ვინსი.** კი, მაგრამ, რა გჭირს?

**შელი.** რაღაც, ძალიან ცუდი.

**ვინსი.** გეყო-მეთქი მაიმუნობა!

**შელი.** მეც და შენც ორივეს.

**ვინსი.** მე არაფერი მჭირს.

**შელი.** გინდა გითხრა, რა გჭირს?

**ვინსი.** რა?

(შელი იცინის)

**ვინსი.** (უკან, ვერანდის კარისკენ მიდის) წავედი!

**შელი.** (წყნარდება, აღარ იცინის) მოიცა, მოიცა, გაჩერდი (ვინსი ჩერდება) რა გჭირს და, ძალიან სერიოზული ხარ.

**ვინსი.** უბრალოდ, არ მინდა იფიქრონ მთლად ხელიდან წასული დავბრუნდაო.

**შელი.** აბა, რა უნდა იფიქრონ?

**ვინსი.** (პაუზა) არაფერი. მოდი შევიდეთ.

(მარჯვენა კარებისკენ მიდის. შელი უკან მოსდევს. კარი ნელა იღება. ვინსი თავს ოთახში შემოყოფს, მძინარე დოჯს ვერ ამჩნევს. კიბისკენ იძახის.)

**ვინსი.** ბებია!

(შელის სიცილი უტყდება. ვინსის ზურგსაა ამოფარებული, არ ჩანს. ვინსი კარს კეტავს. ახლა აღარცერთი აღარ ჩანს. მარტო იმათი ხმები ისმის.)

**შელის ხმა.** (აღარ იცინის) ბოდიში, ბოდიში, ვინს. მართლა გეუბნები. მართლა დამნაშავე ვარ. აღარ გავიმეორებ. თავი ვერ შევიკავე.

**ვინსის ხმა.** რა არის სასაცილო?

**შელის ხმა.** არც არაფერი. მაპატიე.

**ვინსის ხმა.** ვერ ხედები, როგორი დაძაბული ვარ! ექვს წელზე მეტია არც ერთი არ მინახავს. არ ვიცი, ცოცხლები თუ არიან.

**შელის ხმა.** ჰო, გასაგებია, მორჩა. ეს აღარ განმეორდება.

**ვინსის ხმა.** მოდი აბა, ვითომ მუნჯი ხარ. ცოტა ხანი.

**შელის ხმა.** ოღონდ, „ბებია“ აღარ თქვა რა? (ხითხითებს, იმწამსვე ჩერდება) ერთხელაც თუ იტყვი, არ ვიცი, ვეღარ შევიკავებ თავს.

**ვინსის ხმა.** ეცადე!

**შელის ხმა.** კარგი. ბოდიში.

(კარი ისევ იღება. ვინსი ოთახში იჭყიტება, მერე შემოდის. შელი უკან მოსდევს. ვინსი კიბეს უახლოვდება, საქსოფონის ბუდეს და ლაბადას კიბესთან იატაკზე დებს, ზემოთ იყურება. შელი დოჯის ქუდს შეამჩნევს. ქუდისკენ მიდის. იღებს და თავზე იხურავს. ვინსი კიბეზე ადის, უჩინარდება. შელი თვალს აყოლებს, მერე ტრიალდება და დივანზე მიწოლილ დოჯს ხედავს, ქუდს იხდის)

**ვინსის ხმა.** (ზემოთ) ბებია!

(შელი ნელა მიდის დოჯისკენ, თავთით გაუჩერდება. გაუბედავად შეეხება ერთ-ერთ ჭრილობაზე. დოჯი იმწამსვე დამდუღრულივით, თვალბედაჭყეტილი წამოვარდება. შელი შეჰკივლებს. დოჯი სტუმარს მიაშტერდება. თავის ქუდს იცნობს. სწრაფად მოისვამს ხელს გაკოტრებულ თავზე. განრისხებული უყურებს შელის, მერე ძალით გამოგლეჯს ხელიდან ქუდს და თავზე ჩამოიფხატებს. შელი უკან იხევს. დოჯი თვალს არ აშორებს.)

**შელი.** მე — ეეე — ვინსმა მომიყვანა.

(დოჯი უხმოდ შესცქერის)

**შელი.** ზემოთ ავიდა.

(დოჯი კიბისკენ იყურება, მერე ისევ შელის შეათვალიერებს.)

**შელი.** (ზევით ასძახის) ვინს!

**ვინსის ხმა.** ერთი წუთი!

**შელი.** ჯობია ჩამოხვიდე!

**ვინსის ხმა.** ერთი წუთი მოიცა! სურათებს ვათვალიერებ.

(დოჯი გოგოს თვალს არ აშორებს)

**შელი.** (დოჯს) ამ წუთას მოვედით. მთელი გზა კოკისპირულად წვიმდა. ვიფიქრეთ, აქ შევეფარებით. არა, ვინსი სულერთია მაინც აპირებდა შემოვლას. თქვენი ნახვა უნდოდა. დიდი ხანია არ მინახავსო.

(პაუზა. დოჯი უხმოდ შესცქერის.)

**შელი.** ნიუ მექსიკოში მივდიოდით. მამასთან. მგონი, იქ ცხოვრობს. მოდა ბარემ გზად თქვენი მონახულებაც გადავწყვიტეთ. მოკლედ, ორი კურდღლის ერთად დაჭერა მოვინდომეთ. (იცინის, დოჯი თვალს არ აშორებს, გოგო მალევე წყვეტს სიცილს.) უფრო სწორად, ვინსმა მოინდომა, რაღაც ახალი აჩემება აქვს, ოჯახის სიყვარული აუტყდა. ადრე არ შემიმჩნევია. მე თვითონ ურთიერთობა მიჭირს. იმას კი ძალიან მნიშვნელოვან ამბად მიაჩნია. გესმით, არა? თავიდან უნდა გაგიცნოთ ყველანი. ამდენი ხნის მერე.

(პაუზა. დოჯი თვალს არ აშორებს. გოგო ნერვიულად დგამს ნაბიჯს კიბისკენ და ისევ უყურებს ქვემოდან ვინსს.)

**შელი.** ვინს, იქნებ მაინც ჩამოსულიყავი, ძვირფასო, ჰა?

(ვინსი შუა კიბეზე ჩამორბის.)

**ვინსი.** ეტყობა, გასულან სადღაც.

(შელი დივანისკენ, დოჯისკენ უთითებს. ვინსი იქით იხედება და დოჯს ხედავს. ბოლომდე ჩამოდის კიბეზე, დოჯისკენ დაალერებს თავს. შელი მოშორებით კიბესთან რჩება.)

**ვინსი.** ბაბუა?

(დოჯი ქვემოდან ასცქერის, ვერ ცნობს)

**დოჯი.** ვისკი მოიტანე?

(ვინსი შელისკენ იყურება, მერე ისევ დოჯისკენ.)

**ვინსი.** ბაბუა, ვინსი ვარ, ვინსი. ტილდენის შვილი. აღარ გახსოვარ?

(დოჯი გაშტერებული მისჩერებია.)

**დოჯი.** მაინც არ შემისრულე თხოვნა. ჩემთან არ დარჩი.

**ვინსი.** ბაბუა, მე წასული ვიყავი, ამ წუთას ჩამოვედი. ეს-ესაა.

**დოჯი.** მაინც მიმატოვე. მაინც გაზვედი ამ თავსხმაში. კი, მაგრამ ხომ შევთანხმდით?

(ვინსი შელის გამოხედავს. გოგო ნელ-ნელა მიდის დივანისკენ.)

**შელი.** ვერ არის?

**ვინსი.** არ ვიცი. (სათვალეს იხსნის) შემომხედე, ბაბუ. არ გახსოვარ? ვინსი, შენი შვილიშვილი.

(დოჯი გაშტერებული უყურებს, მერე ქუდს იხდის.)

**დოჯი** (თავზე ანიშნებს). ხედავ, რა ხდება. როცა მარტო მტოვებ? ხედავ ამას? აი, რა მიყო.

(ვინსი თავზე დასცქერის. აპირებს ხელი შეახოს, დოჯი ხელს ქუდს არტყამს, იშორებს, და ქუდს ისევ იხურავს.)

**ვინსი.** რა ხდება, ბაბუ? ჰელი სად არის?

**დოჯი.** ჰელიზე ნუ დარდობ. ჰელი რამდენიმე დღე არ დაბრუნდება. დაიბარებს მალე მოვალო და დაიკარგება. (სიცილს იწყებს) ჯერ ხისხლი უდუღს! ბებრუცანას! (უცებვე ჩუმდება.)

**ვინსი.** (თავზე ანიშნებს) ეგ რა გიქნია?

**დოჯი.** მე მიქნია? რას სულელობ!

**ვინსი.** აბა, ვინ ქნა?

(პაუზა. დოჯი ვინსს მისჩერებია.)

**დოჯი.** შენ როგორ გგონია? ვინ იზამდა?

(შელი ვინსისკენ დგამს ნაბიჯს.)

**შელი.** ვინს, იქნებ ჯობია წავიდეთ. რაღაც არ მომწონს ეს ყველაფერი. დროსტარება მე ცოტა სხვანაირად მაქვს წარმოდგენილი.

**ვინსი.** (შელის) ერთი წუთი მოიცა. (დოჯს) ბაბუა, მომხედე. მე ეს-ესა ჩამოვედი. ამ წუთას. ექვსი წელია შინ არ ვყოფილვარ. თქვენი ამბავი არ ვიცი.

(პაუზა. დოჯი ვინსს შესცქერის.)

**დოჯი.** არაფერი არ იცი?

**ვინსი.** არა.

**დოჯი.** ეგ კარგია. არცოდნა ბევრად უკეთესია. ბევრად უკეთესი.

**ვინსი.** შენ გარდა არის ვინმე შინ?

(დოჯი ნელ-ნელა ტრიალდება, მარცხნივ იხედება).

**დოჯი.** ტილდენი.

**ვინსი.** არა, ბაბუა, ტილდენი ნიუ მექსიკოშია. მეც იქ მივდიოდი. იმის სანახავად.

(დოჯი ნელ-ნელა ისევ ვინსისკენ ტრიალდება).

**დოჯი.** ტილდენი აქ არის.

(ვინსი უკან იხევს, შელის გვერდით [illegible]. დოჯი ჯიუტად მიშტერებია ორივეს.)

**შელი.** იქნებ საკუთრებში გაგვეთია ღამე და დილით დავბრუნებულიყავით? აქ ვისაუზმოთ, თუ გინდა! იქნებ ჯობდეს.

**ვინსი.** ნუ გეშინია, საშიში არაფერია, უბრალოდ, ძალიან მოტეხილა.

**შელი.** არ მეშინია.

**დოჯი.** არა, ჩემს ხაოცნებო წყვილს ნამდვილად არ გავზართ!

**შელი.** (პაუზის შემდეგ) არა, მართლა? ვითომ რატომ?

**ვინსი.** ჩუ! უფრო არ გააღიზიანო!

**დოჯი.** რაღაც ცუდი ამბავია თქვენს თავს, რაღაც შეუთავსებელი.

**ვინსი.** ბაბუა, ჰელი სად წავიდა? იქნებ დავუძახოთ.

**დოჯი.** გესმის მაინც, რას ლაპარაკობ? თუ ენის ფხანა გსიამოვნებს, შენი ხმის მოსმენა?

**ვინსი.** ხო უნდა გავიგო, რა ხდება აქ ოჯახში!

**დოჯი.** აზ, ეგრეა საქმე?

**ვინსი.** ხო, მე ყველაფერი სხვანაირად მქონდა წარმოდგენილი.

**დოჯი.** რა წარმოდგენაზე მელაპარაკები. ვინა ხარ საერთოდ, რა გინდა? ვინ გგონია შენი თავი?

**ვინსი.** ვინსი ვარ-მეთქი. ვინსი! შენი შვილიშვილი.

**დოჯი.** ტილდენის შვილი, ვინსი.

**ვინსი.** დიდი ხანია არ გინახივარ.

**დოჯი.** ბოლოს როდის გნახე?

**ვინსი.** არ მახსოვს.

**დოჯი.** არ გახსოვს?

**ვინსი.** არა.

**დოჯი.** არ გახსოვს. აბა, მე როგორღა მემახსოვრება?

**შელი.** ვინს, მოდი აქ. არ გამოვა არაფერი.

**ვინსი.** (შელის) შენ ნუ ღელავ.

**შელი.** არ ვღელავ! არც იცის, ვინა ხარ!

**ვინსი.** (დოჯისკენ მიდის) ბაბუა, მომხედე...

**დოჯი.** მანდ გაჩერდი! ნაბიჯი აღარ გადმოდგა!

(ვინსი ჩერდება. ჯერ შელის გამოხედავს, მერე ისევ დოჯს.)

**შელი.** ვინს, ახლა კი მართლა გავაფრენ. ვერა ხედავ, დასანახად არ ვუნდივართ. არ მოვწონვართ.

**დოჯი.** არა, გოგო ლამაზია.

**ვინსი.** მადლობთ.

**შელი.** ო, ღმერთო ჩემო.

**დოჯი.** (შელის) რა გქვია?

**შელი.** შელი.

**დოჯი.** შელი. ეგ კაცის სახელია. არა?

**შელი.** ამ შემთხვევაში არა.

**დოჯი.** (ვინსს) თან ენაკვიმატიცაა.

**შელი.** ვინს! ვერაფრით ვერ გაგიყვან აქედან?



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

**დოჯი.** წასვლა უნდა. ჯერ არ მოსულა და უკვე გაქცევაზეა.

**ვინსი.** მაგისთვის ეს ყველაფერი ფოტა უცნაურია.

**დოჯი.** მიეჩვევა. (შელის) საიდანა ხარ?

**შელი.** წარმოშობით?

**დოჯი.** ხო, ბატონო. წარმოშობით. ფესვებით.

**შელი.** ლოს ანჯელესიდან.

**დოჯი.** ლოს ანჯელესი. ბრიყვების ქალაქია.

**შელი.** ახლა კი მეყოფა, ვინს! ახლა უკვე ძაან შეუბერა!

**დოჯი.** ბრიყვების ბრიყვული ქალაქი! ძალიან ბრიყვული ადგილია. ფლორიდაც! საერთოდ, ყველა ეგ მზიური წალკოტი. ყველა. იცი რატომ?

**შელი.** გაგვანათლეთ, თუ არ შეწუხდებით.

**დოჯი.** გეტყვი რატომაც. იმიტომ, რომ ენაკვიმატი ხალხითაა სავსე. მაგიტომ!

(შელი დოჯს ზურგს შეაქცევს. კიბისკენ მიდის და ქვედა საფეხურზე ჯდება.)

**დოჯი.** (ვინსს). ხედავ, ეწყინა.

**ვინსი.** ჩვენში დარჩეს. მთლად ჯენტლმენურად ვერ ელაპარაკე.

**დოჯი.** შეურაცხყოფილია! ერთი შეხედეთ! ჩემს სახლში! ზის გაბუტული. როგორ გაუბედეს, შეურაცხყოფა მიაყენეს!

**შელი.** (ვინსს) არ უნდა გაგიყოლდე! რას მეუბნებოდი. რას იფიქრებენ შენზეო?

**დოჯი.** (ვინსს) ცეცხლია, არა? ცეცხლივით გოგოა. თავის დროზე მეც მყავდა ეგეთი გოგოები, მაგრამ იცოდე, დროებითი ამბავია. ჰა და ჰა, ერთკვირიანი.

**ვინსი.** ბაბუა...

**დოჯი.** ნუ მეძახი-მეთქი ბაბუას, ვერ გაიგე? „ბაბუა". არ წაიღო ტვინი! არავის ბაბუა არა ვარ მე.

(დოჯი ბალიშის ქვეშ აფათურებს ხელს, ბოთლს დაეძებს. შელი ფეხზე დგება.)

**შელი.** (ვინსს) შეიძლება, სახლი შეგეშალა. რა იცი? იქნებ სხვა მისამართზე მოვედით?

**ვინსი.** სხვა მისამართზე არა... ეზო ვიცანი.

**შელი.** მასპინძელსაც ცნობ? ხო გითხრა, შენი ბაბუა არა ვარო.

**დოჯი.** (ბოთლს ეძებს) ბოთლი რა იქნა?

**ვინსი.** უბრალოდ, რაღაცა ჭირს, ავადაა, რა ვიცი რა დაემართა.

**დოჯი.** რა იქნა-მეთქი ის ოხერი ბოთლი!

(დოჯი დივანიდან დგება, ბალიშებს იატაკზე ყრის, ვისკის დაეძებს.)

**შელი.** ჩავჯდეთ მანქანაში და პირდაპირ ნიუ მექსიკოში წავიდეთ რა, ვინს! რა მოხდება! ხო ხედავ, რა საშინელებაა. აღარ მინდა ამ სახლში გაჩერება. მე მეგონა შემწვარი ინდაურით და ვაშლის ღვეზელით გაგვიმასპინძლდებოდნენ, რაღაც ეგეთს ველოდებოდი.

**ვინსი.** ძალიან ვწუხვარ, მაგრამ იმედი გაგიცრუვდა.

**შელი.** იმედი გამიცრუვდა კი არა, ჩემს ჭკუაზე ვერა ვარ! აღარ მინდა! წავიდეთ!

**დოჯი.** (ყვირის) ტილდენ! ტილდენ!

(დივანს ეომება, ნაკუწნაკუწ უნდა დაფლითოს, ბოთლს დაეძებს. მერე ღამის მაგიდას აყირავებს. ვინსი და შელი ჩუმად შესცქერიან.)

**ვინსი.** ეტყობა შეიშალა. იქნებ მიხმარება უნდა.

**შელი.** შენ მიეხმარე! მე წავედი!

(შელი წასასვლელად ემზადება. ვინსი მკლავებში იმწყვდევს. უხმოდ იბრძვიან, დოჯი კი ამასობაში დივანს ფლეთს და ყვირის.)

**დოჯი.** ტილდენ! ტილდენ, მოეთრიე აქ! ტილდენ!

**შელი.** ხელი გამიშვი!

**ვინსი.** არსად არ წახვალ! აქ დარჩები!

**შელი.** გამიშვი შე დარეხვილო! გამიშვი! რა უფლებებით მიჭერ!

(უცებ მარცხნიდან ტილდენი შემოდის. ამჯერად მთელი ბლუჯა სტაფილო შემოაქვს. დოჯი, ვინსი და შელი მის დანახვაზე ჩერდებიან. სამივე ტილდენს შესცქერის, ის ნელა გამოდის შუა სცენაზე თავისი სტაფილოიანად. არაქათგამოცლილი დოჯი დივანზე ჯდება.)

**დოჯი.** (აქოშინებული, ტილდენს) სად ჯანდაბაში იყავი?

**ტილდენი.** გარეთ, უკანა ეზოში.

**დოჯი.** ჩემი ბოთლი სად არის?

**ტილდენი.** გაქრა.

(ტილდენი და ვინსი ერთმანეთს შესცქერიან. შელი უკან იხევს.)

**დოჯი.** (ტილდენს) მომპარე!

**ვინსი.** (ტილდენს) მამა?

(ტილდენი უხმოდ შესცქერის ვინსს.)

**დოჯი.** რა უფლებით მომპარე ჩემი ბოთლი! არა, რა უფლებით!

**ვინსი.** (ტილდენს) ვინსი ვარ. ვინსი ვარ. მამა

(ტილდენი გაშტერებული უყურებს ვინსს მერე მზერა დოჯზე გადააქვს. ბოლოს შელისკენ ტრიალდება.)

**ტილდენი.** (პაუზის შემდეგ) აი, სტაფილო ამოვიღე. თუ ვინმეს გიყვართ, აგერაა, ახალთახალი.

**შელი.** (ვინსს) ესაა მამაშენი?

**ვინსი.** (ტილდენს) მამა, აქ რას აკეთებ?

(ტილდენი უხმოდ მისჩერებია ვინსს, ორივე ხელით სტაფილო უჭირავს. დოჯი მაგრად ეხვევა საბანში.)

**დოჯი.** (ტილდენს) ახლა წადი და სადაც გინდა ახალი ბოთლი მიშოვე! ბელის მოსვლამდე! ფული მაგიდაზეა. (მარცხნივ, სამზარეულოსკენ იშვერს ხელს.)

**ტილდენი.** (თავს აქნევს) დღეს არსად არ მივდივარ.

(შელი ტილდენისკენ მიდის. ტილდენი უხმოდ შესცქერის.)

**შელი.** (ტილდენს) თქვენ ვინსის მამა ხართ?

**ტილდენი.** (შელის) ვინსის?

**შელი.** (ვინსზე უთითებს) ზოგ-ზოგები ახე

გვიმტკიცებენ. მართალია? იცანით? მე ან ოჯახში შემთხვევით მოვხვდი. მეგონა, ერთმანეთს მაინც იცნობდით.

(ტილდენი ვინსს შესცქერის. დოჯი კიდევ უფრო მაგრად ეხვევა საბანში და დივანზე ჩამომჯდარი იატაკს დაჰყურებს.)

**ტილდენი.** ვაჟი მართლა მყავდა, მაგრამ დიდი ხნის წინ დავმარხეთ. (ვინსს უყურებს).

**დოჯი.** ენა გააჩერე! შენ მაგ ამბის არაფერი იცი!

**ვინსი.** მამა, მე შენ ნიუ მექსიკოში მეგონე. იქ მოვდიოდით მანქანით შენ სანახავად.

**ტილდენი.** დიდი გზაა.

**დოჯი.** (ტილდენს) მაშინ დაბადებულიც არ იყავი! ტყუილად რას მიედ-მოედები.

**ვინსი:** რა მოხდა, მამა? საერთოდ, რა ხდება აქ? მეგონა, არაფერი გიჭირდათ. ჰელის რა მოუვიდა?

**ტილდენი.** წავიდა.

**შელი.** (ტილდენს) გინდათ, სტაფილოს გამოგართმევთ?

(ტილდენი უხმოდ შესცქერის. გოგო უახლოვდება, ხელებს იშვერს მისკენ. ტილდენი ხელებზე დაჰყურებს, მერე ნელა უწვდის სტაფილოს. შელი სტაფილოს ართმევს.)

**ტილდენი.** (შელის) გიყვარს სტაფილო?

**შელი.** ძალიან. ყველანაირ ბოსტნეულზე ვგიჟდები.

**დოჯი.** (ტილდენს) იცოდე, ჰელის მოსვლამდე უნდა მიშოვო ვისკი.

(დოჯი დივანზე არტყამს მუშტს. ვინსი დოჯთან მიდის და ცდილობს დაამშვიდოს. შელი და ტილდენი ისევ პირისპირ დგანან.)

**ტილდენი.** (შელის) უკან ეზო სავსეა სტაფილოთი. პურით. კარტოფილით.

**შელი.** თქვენ ვინსის მამა ხართ, არა?

**ტილდენი:** რა ბოსტნეული გინდა, სული და გული. გიყვართ ბოსტნეული?

**შელი.** (იცინის) კი. ბოსტნეული მიყვარს.

**ტილდენი.** თუ გინდათ, სტაფილო მოვშუშოთ. წვრილად დავჭრათ და მოვშუშოთ.

**შელი.** კარგი.

**ტილდენი.** მაშინ დანას მოვიტან.

**შელი.** კი ბატონო.

**ტილდენი:** ამ წუთში მოვალ. არ წახვიდეთ.

(ტილდენი გადის. შელი შუა სცენაზე დგას, სტაფილო უჭირავს. ვინსი დოჯის გვერდითაა. შელი ვინსისკენ იყურება. მერე ისევ სტაფილოზე გადააქვს მზერა.)

**დოჯი.** (ვინსს) ისე, ერთი ბოთლის მოტანა შენც კი შეგიძლია რამე რო იყოს. (მარცხნივ უთითებს) ფული მაგიდაზეა.

**ვინსი.** ბაბუა, ცოტა ხანს წამოწოლილიყავი, ჰა?

**დოჯი.** არ მინდა წამოწოლა! არც ცოტა ხანს და არც დიდხანს! როცა წამოვწვები ხოლმე, ყოველთვის რაღაცა ხდება! (ქუდს იხდის, თავზე ისვამს ხელს) ნახე! ნახე რა ხდება! (ისევ თავზე იფხატებს ქუდს). თუ გინდა, შენ თვითონ წამოწექი და ნახავ რა მოგივა! თუ მოგეწონება ერთი! ბოთლს [illegible]რავენ! თმას გადაგპარსავენ! შვილებს დაგიხოცავენ! ცოცხლად შეგჭამენ!

**ვინსი:** მოისვენე ცოტა ხანს.

**დოჯი** (პაუზა) წადი, ვისკი მიშოვე, არაფერი გიჭირს.

**შელი.** იქნება მართლა, ვინს, იქნებ ეგ მაინც დაგეხმაროთ ერთმანეთის იდენტიფიკაციაში.

**დოჯი.** (შელიზე უთითებს) აგე, ხედავ? ხედავ, რა ჭკვიანი გოგოა?

(ვინსი შელისკენ მიდის)

**ვინსი:** რას დაგიჭერია ეგ სტაფილო?

**შელი.** მამაშენს ველოდები.

**დოჯი.** რა კარგად გითხრა, ვისკი უნდა მოუტანოთ.

**ვინსი.** გადააგდე, გენაცვალე, ეგ სტაფილო! ისედაც ტვინი ამერია, შენი დახმარება მჭირდება!

**შელი.** აკი გეხმარები.

**ვინსი:** მეხმარები კი არა, უარესად მაგიჟებ! პრობლემების მომატება მინდა მე?! დაყარე-მეთქი სტაფილო!

(ვინსი ცდილობს სტაფილო დააყრევინოს. გოგო არ ეპუება, წინააღმდეგობას უწევს.)

**შელი.** მომშორდი! დამანებე თავი!

(ვინსი თავს ანებებს. შელი სტაფილოს მაგრად იხუტებს გულზე).

**ვინსი.** (შელს) რატომ შვრები მაგას? გამამაიმუნო გინდა? ხო იცი, ეს ჩემი ოჯახია!

**შელი.** ნეტა არ ვიცოდე ჩემი რომ იყოს. უკან მოუხედავად გავიქცეოდი აქედან. აქ ყოფნას ყველაფერი მირჩევნია. შენ გინდა დარჩენა? ხოდა დავრჩეთ, ბატონო. დავრჩები და სტაფილოს დავჭრი, მერე მოვშუშავ. ოღონდ ახლა გადავურჩე და ყველაფერს გავაკეთებ. ოღონდ ახლა ვუშველო თავს.

**ვინსი:** დაყარე სტაფილო, შელი.

(მარცხნიდან ტილდენი შემოდის, ვედრო, ჯორკო და დანა მოაქვს. ვედროს და ჯორკოს შუა სცენაზე დგამს, შელის წინ. შელი ვინსს უყურებს, მერე ჯორკოზე ჯდება. სტაფილოს ფეხებთან იყრის და ტილდენს ართმევს. ერთხელაც შეხედავს ვინსს, მერე სტაფილოს იღებს, თავს აჭრის, თლის და ვედროში აგდებს. ისევ იმეორებს იგივეს. ვინსი თვალებით ჭამს. გოგო ილიმება).

**დოჯი.** ამ გოგოსაც შეუძლია ვისკის მოტანა. კოჭებში ეტყობა. თამამია. შანსიანი. ალბათ ერთის ფასად ორ ბოთლსაც მისცემენ. ეგეთ გოგოებს კი ვიცნობ!

(შელი იცინის. თავის საქმეს აგრძელებს. ვინსი დოჯთან მიდის, ცოტა ხანს უყურებს. ტილდენი შელის ხელებს ადევნებს თვალს. ხანგრძლივი პაუზა).

**ვინსი.** (დოჯს) ასე ძალიანაც არ შევცვლილვარ. გარეგნობას ვგულისხმობ.. გარეგნულად თითქმის ისეთივე ვარ, რაც ვიყავი. აღარც სიმაღლე მომმატებია, აღარც წონა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

(სანამ ვინსი ელაპარაკება, დოჯი შელის არ აშორებს თვალს.).

**დოჯი. ლამაზი გოგოა. სხვანაირი. იშვიათი.** (ვინსი დოჯის წინ მიდი-მოდის, შელის ეფარება, დოჯი ცქმუტავს, თავს არ აჩერებს, ცდილობს სულ გოგოს უყუროს, ვიდრე ვინსი თავის ბავშვობისდროინდელ ოინებს უჩვენებს.)

**ვინსი. ნახე. შემხედე. ეს გახსოვს? ცერს რომ ვიძრობდი ხოლმე. აღარ გახსოვს? სადილობისას, მაგიდასთან ვაკეთებდი...**

(ვინსი მარჯვენა ხელის ცერს მარცხენა თითით ებღაუჭება, მაგრად ეჭაჩება, ვითომ იგლეჯს, ცერს ხელისგულში მალავს, მერე მარცხენა ხელი ისევ მარჯვენასთან მიაქვს და ვითომ თითს თავის ადგილზე აბრუნებს. დოჯი ერთს გულგრილად გახედავს და მერე ისევ შელის შესცქერის. ვინსი ერთხელ კიდევ ეფარება წინ, ახლა რაღაც სხვა ოინს უჩვენებს.).

**ვინსი: აბა, ამაზე რას იტყვი?**

(კბილებს დაკრეჭს და ფრჩხილს აკაკუნებს ზედ, რიტმულად. დოჯი ცოტა ხანს უყურებს. ამ ხმაზე ტილდენი ვინსისკენ ტრიალდება; ვინსი ეშხში შედის. ამჩნევს, ტილდენი დაინტერესდაო და მისკენ მიდის.. დოჯი ტელევიზორს რთავს. ეკრანს შესცქერის.)

**ვინსი. მამა, შენ ხომ გახსოვს?**

(ვინსი ახლა ტილდენისთვის აგრძელებს „დაკვრას". ტილდენიც ცოტა ხანს უყურებს, მონუსხულივით, მერე ისევ შელისკენ შეტრიალდება. ვინსი მაინც თავისას აგრძელებს, კვლავ დოჯთან ბრუნდება, შელი სტაფილოს ებრძვის. თან ტილდენს ელაპარაკება.)

**შელი.** (ტილდენს) **ზოგჯერ ასე რომ შეუბერავს ხოლმე, ლამის ვიკივლო!**

**ვინსი.** (დოჯს) **მივხვდი! აი რა გემახსოვრება. ამისთვის სახლიდან მაგდებდი ხოლმე.**

(შარვლიდან პერანგს იჩაჩავს, ნიკაპით იჭერს და შიშველ მუცელზე, ჭიპის აქეთ-იქეთ, ხორცს აკეცავს, ისე რომ, მოლაპარაკე პირს დაამგვანოს, „ტუჩებს" ამოძრავებს და ამ მოძრაობის სინქრონულად ლაპარაკობს. ჯერ დოჯის წინ დგას და იმას უჩვენებს თავის ხელოვნებას, მერე ტილდენისკენ მიდის, დოჯიც და ტილდენიც ერთს უინტერესოდ შეავლებენ თვალს და აღარავითარ ყურადღებას აღარ აქცევენ.)

**ვინსი.** (ძალად დაბოხებული, ხელოვნური ხმით) **„ჰელო, როგორ გიკითხოთ? მე კარგად, კარგად, დიდი მადლობა. ძალიან მიხარია თქვენი ნახვა. რა დღე გათენდა, არა? წყლის მოსატანად მივდიოდი და ვედრო სახლში დამრჩა".**

**შელი. ვინს, მოეშვი პატეტიკას!**

(ვინსი ჩუმდება, პერანგს ისწორებს.)

**შელი. ღმერთო, შენ გვიშველე! არ უნდათ შენთან თამაში. გაბუტულები არიან** (შელი სტაფილოს თლას აგრძელებს. ვინსი ნელა მიდის ტილდენისკენ. ტილდენი ისევ შელის შესცქერის. დოჯი ტელევიზორს უყურებს.)

**ვინსი.** (შელის) **ვერ ვხვდები ვერაფერს. მართლა ვერ ვხვდები. შეიძლება ჩემი ბრალია იქნებ, მე დამავიწყდა რაღაც.**

**დოჯი. ჩემთვის ვისკის მოტანა დაგავიწყდა! ნებისმიერ თქვენგანს შეგიძლიათ წახვიდეთ და ერთი ბოთლი ვისკი მომიტანოთ. სამივეს! მაგრამ არცერთი არ იწუხებთ თავს. ფეხებზე გკიდივართ. სტაფილოს გათლა უფრო მნიშვნელოვანი საქმე გგონიათ! კბილებზე თითის კაკუნი! კაი ბატონო, არა უშავს. თქვენც დაბერდებით და მერე მიხვდებით. სხვისი ხელის შემყურე როცა გახდებით. სხვის ხუშტურებზე დამოკიდებულები.**

(ვინსი დოჯთან მიდის. ცოტა ხანს უხმოდ უცქერის.)

**ვინსი. მე მოგიტან დასალევს.**

**დოჯი. შენ?**

**ვინსი. აუცილებლად მოგიტან.**

(შელი ფეხზე დგება. ცალ ხელში დანა უჭირავს, მეორეში სტაფილო.)

**შელი. არ მითხრა ახლა, შენ აქ უნდა დამტოვო.**

**ვინსი.** (შელისკენ გადადგამს ნაბიჯს) **თვითონ არ მირჩიე! შენ არ მითხარი — ვისკი მოუტანეო? წავალ, ბატონო, და მოვუტან.**

**შელი. მე აქ უშენოდ არ დავრჩები.**

**ვინსი. მოიცა, მოიცა! ეს წუთია მზად არ იყავი, მთელი ღამე მჯდარიყავი და სტაფილო გეთალა?**

**შელი. შენც თუ აქ იქნებოდი კი! აბა, რაღაცით ხომ უნდა შემექცია თავი, ხომ არ გავაფრენდი საბოლოოდ! მარტო არ დავრჩები!**

**დოჯი. ქალის ჭკუას არ აყვე! ხომ ხედავ, რა ცუდ გავლენას ახდენს შენზე! დავინახე თუ არა, იმ წუთას მივხვდი.**

**შელი.** (დოჯს) **გუმანით!**

**ტილდენი.** (შელის) **სტაფილოს გათლა მოგბეზრდათ?**

**შელი. არა! არა, რას ბრძანებთ!**

შელი ისევ ჯორკოზე ჯდება და სტაფილოს თლას აგრძელებს. პაუზა. ვინსი აქეთ-იქით მიდი-მოდის. თმაზე ისვამს ხელს, ხან დოჯს და ხანს ტილდენს შესცქერის. მერე შელის გადახედავს. შელიც მას უყურებს. დოჯი ტელევიზორსაა მიჩერებული.)

**ვინსი. არ გაგიჟდები კაცი! რა ხდება, რა უბედურებაა?** (გაუჩერებლად დადის სცენაზე) **არა, რატომ თორე, კი. სხვა დროში მოვხვდი თუ რა მჭირს? იქნება, შეურაცხყოფა მივაყენე ვინმეს? რამე მიუტევებელი ცოდვა ჩავიდინე? მართალია, ცოლი არ მომიყვანია.** (შელი ერთს ახედავს, მერე ისევ სტაფილოზე გადააქვს მზერა). **მაგრამ არც გამიშვია. ალტ საქსოფონთან სკანდალურ ტრფიალში შემჩნეული კი ვარ, მეტისმეტი ვნებიანობით კი ვეწაფები ხოლმე იმის ბაგეს, მაგრამ ხანდახან, ძალიან იშვიათად.**

**შელი. ვინს, რად გინდა მაგეების ლაპარაკი, გენაცვალე? ამათ ხომ სულ ცალ ფეხზე კიდიათ ყველაფერი. უბრალოდ, ვერ გცნობენ, ეგ არის და ეგ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინსი. კი, მაგრამ, როგორ ვერ მცნობენ? რა კარგი ქტაკათ? შვილი ვარ ამათი.

დოჯი. (ტელევიზორს მიშტერებული) შენ ჩემი შვილი არა ხარ. თავის დროზე შვილები კი მყავდა. მაგრამ შენ რაღაც არ მახსოვხარ.

(ხანგრძლივი პაუზა. ვინსი დოჯს უყურებს, მერე ტილდენს, ბოლოს შელისკენ ტრიალდება.)

ვინსი. შელი, მე ცოტა ხნით უნდა გავიდე აუცილებლად. ვისკის ვიყიდი და მაშინვე დავბრუნდები. ჩემ მოსვლამდე არაფერი გიჭირს. მართლა გეუბნები.

შელი. რაღაც არა მაქვს მაგის იმედი, ვინს.

ვინსი. ცოტა ხანი მარტო უნდა დავრჩე. ვიფიქრო. აზრზე მოვიდე.

შელი. საერთოდ რომ წავსულიყავით?

ვინსი. არა! უნდა გავარკვიო, რა ხდება.

შელი. მისმინე, კარგი, შენ გასარკვევი გაქვს რა ხდება და ვინ რა გჭირთ, მე რაღა ვქნა? მე რა შუაში ვარ? ცხოვრებაში არ მინახავს არცერთი, არც ვიცი ვინ არიან. ბოლოს ვინ აღმოჩნდებიან.

ვინსი. რას ქვია ვინ აღმოჩნდებიან? ერთი მამაჩემია, მეორე ბაბუა.

შელი. ეგ შენ ამბობ მასე.

ვინსი. შელი, თუ ღმერთი გწამს! ეს ჩემი ოჯახია. ჩემიანებს ვერ ვცნობ? ოღონდ ცოტა მაცალე. დიდხანს არ გალოდინებ. მივალ და მოვალ. არაფერი არ მოხდება, პირობას გაძლევ.

შელი. კარგი.

(შელი უხმოდ შესცქერის. პაუზა.)

ვინსი. მადლობთ. (დოჯთან მიდის) წავალ, ვისკის გიყიდი.

დოჯი. მოხვედი ჭკუაზე? (მარცხნივ იშვერს ხელს) ფული მაგიდაზეა, სამზარეულოში.

(ვინსი შელისკენ მიდის.)

ვინსი. (შელის) ცოტა დაწყნარდი?

შელი. (სტაფილოს თლის) მე მგონი, არაფერი მიჭირს. თან, სანამ შენ მოხვალ, მართლა არ მექნება მოცლა.

(ვინსს ტილდენისკენ გადააქვს მზერა, რომელიც ძველებურად შელის ხელებს დასცქერის.)

დოჯი. შეუპოვრობაა მთავარი. ხომ ხედავ? სხვა არაფერია საჭირო, შეუპოვრობა, მხნეობა და სიმტკიცე. აი, სამი მთავარი ღირსება. ეგ თუ შეინარჩუნე კაცმა, სწორ გზას არ გადაცდები.

ვინსი. (ტილდენს) შენც ხომ არ მოგიტანო რამე, მამა?

ტილდენი. (ვინსს აჩერდება) მე?

ვინსი. მაღაზიიდან. აი, ბაბუას ვისკი უნდა ვუყიდო.

ტილდენი. მაგისთვის დალევა არ შეიძლება. ჰელი გაბრაზდება.

ვინსი. სასმელი უნდა.

ტილდენი. აკრძალული აქვს დალევა.

დოჯი. (ვინსს) მაგას რას ელაპარაკები! ამ ოჯახში ჯერ მე ვარ უფროსი! მაგას თუ უსმინე, გაგაშტერებს.

ვინსი. (დოჯს) ტილდენი ამბობს, შენთვის დალევა არ შეიძლებაო.

(ვინსი ტილდენს შესცქერის, ტილდენი კი სტაფილოს გათლით გართულ შელის ხელებს.)

დოჯი. ახლა კი, აბა ერთი მეც შემომხედე! შემომხედე ჰო, კარგად შემომხედე!

(ვინსი უყურებს)

დოჯი. რომელი გგონია უფრო სანდო ჩვენ ორს შორის? ეგ თუ მე? მაგან მარტო დაუკრეფავში სტაფილოს გლეჯა იცის, შეხედე!

(ვინსი ახლა ისევ ტილდენს უყურებს.)

შელი. წადი, ვისკი მოიტანე, ვინს.

ვინსი. (შელის) შენ მართლა დაწყნარდი?

შელი. ჰო, ჩემზე ნუ დარდობ. ახლა უკვე საკუთარ სახლში მგონია თავი.

ვინსი. მართლა?

შელი. დედას გეფიცები. რაც მთავარია, სტაფილოც ბევრი მაქვს, ავაწყვე საქმე.

ვინსი. მალე მოვალ.

(მარცხნივ მიდის).

დოჯი. სად მიდიხარ?

ვინსი. ფულს ავიღებ.

დოჯი. მერე?

ვინსი. მერე ღვინის მაღაზიაში.

დოჯი. სხვაგან არსად გადაუხვიო. არ გამოთვრე სადმე. მაშინვე დაბრუნდი.

ვინსი. ეგრე ვიზამ.

(ვინსი მარცხნივ გადის.)

დოჯი. (უკან მისძახის) სიტყვა გაქვს ნათქვამი, ხომ იცი. უკანა კარიდან არ გახვიდე, მინდა დაგინახო, როცა წახვალ. არ გახვიდე უკანა კარიდან!

ვინსის ხმა. (მარცხნიდან) არა!

(დოჯი ტრიალდება და ტილდენს და შელის უყურებს.)

დოჯი. ვერავის ვერ ენდობი. უკანა კარიდან თუ გავიდა, ალბათ ჩაიღრჩობა სადმე, ორმოში ჩავარდება, მერე მოგჭამა ვისკიმ ჭირი.

შელი. მე თქვენ ადგილას ვინსზე არ ვიდარდებდი. თავის მოვლა ნამდვილად შეუძლია.

დოჯი. რას მეუბნები? დამოუკიდებელი კაცი ბრძანდება, არა?

(ვინსი ისევ სცენაზე გამოდის, ხელში ორი დოლარი უჭირავს. დოჯს გვერდით ჩაუვლის და მარჯვნივ მიდის.)

დოჯი. (ვინსს) აიღე ფული?

ვინსი. კი, ორი დოლარი.

დოჯი. ორი დოლარიც ფულია.

ვინსი. რომელი წამოგიღო?

დოჯი. კარგი! „ოქროს ვარსკვლავი"! რომელი? ჭკუით იარე.

ვინსი. ჭკუით ვივლი.

(ვინსი მარჯვენა კარისკენ მიდის, აღებს, ტილდენის ხმის გაგონებაზე ჩერდება.)

ტილდენი. (ვინსს) ნიუ მექსიკოდან ამოდენა გზა მანქანით გამოიარეთ?

(ვინსი ტრიალდება და ტილდენს შესცქერის. ცოტა ხანს უხმოდ მისჩერებიან ერთმანეთს. ვინსი თავს აქნევს, გადის, ვერანდას გადაივ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის და ბადიან კარს იქით ეჩიჩართება. ტილდენი თვალს აყოლებს. პაუზა.)

**ᲨᲔᲚᲘ.** მართლა ვერცერთი ვერ იცნობთ?

(ტილდენი ისევ შელისკენ ტრიალდება. შელი სტაფილოს თლის.)

**ᲓᲝᲯᲘ** (ტელიზორს უყურებს) ვის ვერ ვცნობთ?

**ᲨᲔᲚᲘ.** ვინსს.

**ᲓᲝᲯᲘ.** უნდა ვცნობდეთ?

(დოჯი სიგარეტს უკიდებს, წამოაბვევლებს, ტელევიზორს თვალს არ აშორებს.)

**ᲨᲔᲚᲘ.** დიდი ბოროტება იქნება, თუ სცნობთ და არ ეუბნებით. დიდი.

(დოჯი უიმოდ უსქერის ტელევიზორს, ეწევა.)

**ᲢᲘᲚᲓᲔᲜᲘ.** მე მგონი ვიცანი. მგონი, რაღაც მეცნო.

**ᲨᲔᲚᲘ.** მართლა?

**ᲢᲘᲚᲓᲔᲜᲘ.** მგონი სახე დავინახე იმის სახეში.

**ᲨᲔᲚᲘ.** ალბათ, ადრე როგორიც იყო. ექვსი წელია არ გინახავთ.

**ᲢᲘᲚᲓᲔᲜᲘ.** ექვსი წელია არ მინახავს?

**ᲨᲔᲚᲘ.** თვითონ ეგრე ამბობს.

(შელი საქმეს აგრძელებს, ტილდენი მის წინ მიდი-მოდის.)

**ᲢᲘᲚᲓᲔᲜᲘ.** ბოლოჯერ სად ვნახე?

**ᲨᲔᲚᲘ.** არ ვიცი. მე სულ რამოდენიმე თვის წინ გავიცანი. ყველაფერს არც მიყვება.

**ᲢᲘᲚᲓᲔᲜᲘ.** არ გიყვებათ?

**ᲨᲔᲚᲘ.** ეგეთ რამეებს არა.

**ᲢᲘᲚᲓᲔᲜᲘ.** აბა როგორს?

**ᲨᲔᲚᲘ.** საერთოდ?

**ᲢᲘᲚᲓᲔᲜᲘ.** ჰო.

(ტილდენი ახლა შელის ზურგსუკან მიდი-მოდის.)

**ᲨᲔᲚᲘ.** რა ვიცი. ათას რამეს.

**ᲢᲘᲚᲓᲔᲜᲘ.** მაინც?

**ᲨᲔᲚᲘ.** არ ვიცი! ძნელია ახლა მაგის თქმა

**ᲢᲘᲚᲓᲔᲜᲘ.** რატომ?

(ტილდენი ნელ-ნელა გარს უვლის ჯორკოზე ჩამომჯდარ შელის.)

**ᲨᲔᲚᲘ.** ალბათ მარტო ჩვენ ორს გვეხება დაიმიტომ.

**ᲢᲘᲚᲓᲔᲜᲘ.** და მე ვერ მეტყვით?

**ᲨᲔᲚᲘ.** ჩვენ ხომ თითქმის არც ვიცნობთ ერთმანეთს!

**ᲓᲝᲯᲘ.** ტილდენ, გადი საშზარეულოში და ყავა მომიდუღე. გაანებე მაგ გოგოს თავი.

**ᲨᲔᲚᲘ.** (დოჯს) არა უშავს.

(ტილდენი დოჯს ყურადღებას არ აქცევს, შელის უვლის გარს, მის იბის და ქურქს დასცქერის. დოჯი ტელევიზორს უყურებს.)

**ᲢᲘᲚᲓᲔᲜᲘ.** ესე იგი, ვერაფერს ვერ მეტყვით?

**ᲨᲔᲚᲘ.** არა, რაღაც-რაღაცეები შემიძლია გითხრათ. კი ბატონო, თუ გნებავთ ვისაუბროთ.

**ᲢᲘᲚᲓᲔᲜᲘ.** მე თუ მნებავს?

**ᲨᲔᲚᲘ.** რა თქმა უნდა. თუმცა, უკვე ვსაუბრობთ და ეგაა

**ᲢᲘᲚᲓᲔᲜᲘ.** ვსაუბრობთ?

**ᲨᲔᲚᲘ.** აბა რა. ნამდვილად.

**ᲢᲘᲚᲓᲔᲜᲘ.** მაგრამ, რაღაც-რაღაცეებს ინც ვერ მეტყვით, არა?

**ᲨᲔᲚᲘ.** სწორი ბრძანდებით.

**ᲢᲘᲚᲓᲔᲜᲘ.** რაღაცეებს მეც ვერ გეტყვით.

**ᲨᲔᲚᲘ.** რატომ?

**ᲢᲘᲚᲓᲔᲜᲘ.** არ ვიცი. სხვა ვერ გაიგებს.

**ᲨᲔᲚᲘ.** რისი თქმაც გინდათ, ყველაფერი შეგიძლიათ მითხრათ.

**ᲢᲘᲚᲓᲔᲜᲘ.** შემიძლია?

**ᲨᲔᲚᲘ.** რა თქმა უნდა.

**ᲢᲘᲚᲓᲔᲜᲘ.** მთლად სასიამოვნო მოსასმენი შეიძლება ვერ იყოს.

**ᲨᲔᲚᲘ.** არა უშავს. მიჩვეული ვარ.

**ᲢᲘᲚᲓᲔᲜᲘ.** შეიძლება საშინელი იყოს მოსასმენად.

**ᲨᲔᲚᲘ.** კარგს ვერაფერს მეტყვით?

(ტილდენი შელის წინ ჩერდება და მის ქურქს შესცქერის. შელი ტილდენს უყურებს. ხანგრძლივი პაუზა.)

**ᲢᲘᲚᲓᲔᲜᲘ.** (პაუზის შემდეგ) შეიძლება თქვენ ქურქს ხელი შევახო?

**ᲨᲔᲚᲘ.** ჩემს ქურქს? (ქურქს დასცქერის, მერე ისევ ტილდენზე გადააქვს მზერა) რა თქმა უნდა. !

**ᲢᲘᲚᲓᲔᲜᲘ.** არა უშავს?

**ᲨᲔᲚᲘ.** შეახეთ, კი ბატონო.

(შელი წინ იწვდენს ხელს. დოჯი ტელევიზორსაა მიშტერებული. ტილდენი ნელა უახლოვდება შელის, თან მის წინ გაწვდილ მკლავს არ აშორებს თვალს. ძალიან ნელა ეხება მკლავზე, ნაზად ელერსება ბეწვს და მერე ხელი უკან მიაქვს. შელი გაუნძრევლად ზის.)

**ᲨᲔᲚᲘ.** კურდღელია.

**ᲢᲘᲚᲓᲔᲜᲘ.** კურდღელი.

(ერთხელაც ძალიან ნაზად ეფერება ბეწვს შელი ხელს დაბლა დაუშვებს.)

**ᲨᲔᲚᲘ.** დამედადლა.

**ᲢᲘᲚᲓᲔᲜᲘ.** შეიძლება ხელში დავიჭირო?

**ᲨᲔᲚᲘ.** (პაუზა) ქურქი? კი ბატონო.

(შელი ქურქს იხდის და ტილდენს უწვდის. ტილდენი გაუბედავად ართმევს, ეფერება, მერე იცვამს, თან გოგოს უღიმის. შელი ცოტა ხანს შესცქერის, ბოლოს ისევ სტაფილოს თლას აგრძელებს.)

**ᲨᲔᲚᲘ.** თუ გინდათ, გეცვათ.

**ᲢᲘᲚᲓᲔᲜᲘ.** შეიძლება?

**ᲨᲔᲚᲘ.** კი. მე მანქანაში საწვიმარიც მაქვს. მეტი არც მჭირდება.

**ᲢᲘᲚᲓᲔᲜᲘ.** მანქანა გყავთ?

**ᲨᲔᲚᲘ.** ვინსს ჰყავს.

(ტილდენი შელის გარშემო დადის, ქურქს დაჰღიმის და ეფერება. შელი შეფარვით შეავლებს ხოლმე თვალს. დოჯი ლამისაა ტელევიზორში შეძვრეს.)

**ᲢᲘᲚᲓᲔᲜᲘ.** (გაუჩერებლად დადის) ერთ დროს მეც მყავდა მანქანა. თეთრი! მე თვითონ ვატარებდი. სად არ დავდიოდი. მთებში თოვლშიც ( დამყავდა.

**შელი.** კარგი იქნებოდა.

**ტილდენი.** (ისევ დადის, ქურქს ეფერება) ზოგჯერ მთელი დღე, დილიდან საღამომდე, უდაბნოშიც. მთელ უდაბნოს გადავივლიდი ხოლმე, მერე ქალაქებსაც ჩავუქროლებდი, პალმის ხეებს, ნებისმიერ ამინდში, წვიმაში, ჭექა-ქუხილში, გავჩერდებოდი, მივიხედ-მოვიხედავდი, ისევ გზას ვაგრძელებდი, ჩავჯდებოდი და წავიდოდი! მიყვარდა მანქანის ტარება. მანქანის ტარება მერჩია ყველაფერს. უკეთესს ვერც ვინატრებდი რამეს.

**დოჯი.** (ტელევიზორს მიშტერებული) ძაან გარეკე აი!

(ტილდენი ჩუმდება. შელის შესცქერის.)

**შელი.** ახლაც ხშირად დადიხართ მანქანით?

**ტილდენი.** ახლა? ახლა? ახლა საერთოდ აღარ დავდივარ.

**შელი.** რატომ?

**ტილდენი.** ახლა გავიზარდე.

**შელი.** გაიზარდეთ?

**ტილდენი.** ბავშვი აღარა ვარ.

**შელი.** ბავშვები მანქანას არც ატარებენ.

**ტილდენი.** ის მანქანის ტარება არ იყო.

**შელი.** აბა? აბა რა იყო?

**ტილდენი.** თავგადასავალი. სად არ დავდიოდი!

**შელი.** კი, მაგრამ ახლა რა გიშლით ხელს?

**ტილდენი.** ახლა არ შეიძლება.

**შელი.** რატომ?

**ტილდენი.** ამ წუთას გითხარით. მაინც ვერაფერი გაიგეთ. ვერც გაიგებთ.

**შელი.** რა მითხარით? როდის?

**ტილდენი.** რაღაც. სიმართლე.

**შელი.** მაგალითად?

**ტილდენი.** მაგალითად, ბავშვი-მეთქი. პატარა, ალუა.

**შელი.** თქვენ რომ იყავით ადრე?

**ტილდენი.** გეტყოდით, ოღონდ ქურქს წამართმევთ.

**შელი.** არა, დედას გეფიცებით. მითხარით.

**ტილდენი.** არ შემიძლია. დოჯი ნებას არ მომცემს.

**შელი.** ვერ გაიგონებს. არა უშავს.

(პაუზა. ტილდენი გოგოს შესცქერის. გაუბედავად დგამს მისკენ ნაბიჯს.)

**ტილდენი.** ჩვენ ბავშვი გვყავდა. (დოჯზე ანიშნებს) მაგას. დოჯს მყავდა. ცალი ხელით აიტაცებდა ხოლმე, მეორეზე დაიწვენდა. პატარა. ერთი ბეწო. დოჯმა მოკლა.

(შელი ფეხზე დგება.)

**ტილდენი.** არ ადგეთ. არ ადგეთ!

(შელი ისევ ჯდება. დოჯი მათკენ იგრძელებს კისერს.)

**ტილდენი.** წყალში დაახრჩო.

**შელი.** იცოდეთ, მეტი აღარაფერი თქვათ. კარგი?

(ტილდენი უფრო უახლოვდება. დოჯსაც მეტი დაინტერესება ეტყობა.)

**დოჯი.** ტილდენ! დაანებე მაგ გოგოს თავი.

**ტილდენი.** (ყურადღებას არ აქცევს) შელისთვის არ უთქვამს, სიტყვა არ დაუძრავს თავის დღეში არავისთან. უბრალოდ, აიღო და დაახრჩო.

**დოჯი.** (ტელევიზორს აჩუმებს) ტილდენ!

**ტილდენი.** ვერც იპოვეს. გაქრა. პოლიცია ეძებდა. მეზობლებიც. ვერავინ ვერ იპოვა.

(დოჯი წვალობს, დივანიდან წამოდგომა უნდა.)

**დოჯი.** ტილდენ. რაებს ლაპარაკობ! ტილდენ!

(ბოლოს ახერხებს ფეხზე წამოდგომას.)

**ტილდენი.** ბოლოს ძებნაც მობეზრდათ, თავი მიანებეს. ზოგი რას ამბობდა და ზოგი რას: მოიტაცესო, მოკლესო, უბედური შემთხვევაო: ათას რამეს.

(დოჯი ტილდენისკენ ცდილობს წასვლას, მაგრამ ეცემა. ტილდენი ყურადღებას არ აქცევს.)

**დოჯი.** ტილდენ, ხმა ჩაიწყვიტე! კრინტი აღარ დაძრა იცოდე!

(წაქცეული დოჯი ახველებს. ჯორკოზე ჩამომჯდარი შელი თვალს ვერ აშორებს.)

**ტილდენი.** უბრალოდ, გაქრა ერთ დღეს ალუა. მე შენ გეტყვი, დიდი რამე უნდოდა. ერთი ბეწო იყო. არცა ჩანდა.

(შელი დოჯის მისახმარებლად აპირებს წამოდგომას. ტილდენი ისევ ჯორკოზე სვამს, ცოტა არ იყოს უხეშად. დოჯი ახველებს.)

**ტილდენი.** ჩემი მიზეზი მქონდათ. ოღონდ, რა მიზეზი იყო, არავისთვის გაუმხელია.

**დოჯი.** ტილდენ! ნუ ეუბნები ნურაფერს! ნუ ეუბნები!

**ტილდენი.** მარტო მაგან იცის ადგილი. სხვამ არავინ. საიდუმლო განძის სამალავივით. ცოცხალი თავით არც გეტყვის, არც დედაჩემს, არც მე და არც ბრედლის. ბრედლის მითუმეტეს. ბრედლიმ ერთხელ ძალით დააპირა ეთქმევინებინა. მაგრამ სიტყვა ვერ დააცდენინა. ისიც არ უთხრა, რატომ ვქენიო. უბრალოდ, ადგა ერთ ღამეს და წყალში გადააგდო.

(დოჯს ხველამ ცოტა გაუარა. შელი ჯორკოზე ზის და დოჯს მისჩერებია. ტილდენი ნელ-ნელა იხდის ქურქს და პატრონს უწვდის. ხანგრძლივი პაუზა. შელი მთელი ტანით ცახცახებს.)

**ტილდენი.** ალბათ თქვენი ქურქი გჭირდებათ.

(შელი ქურქს უცქერის, მაგრამ არ იძვრება; გამორთმევას არც ფიქრობს. მარცხენა კულისებიდან ბრედლის ხის ფეხის ჭრიალი ისმის. დოჯი, შელი და ტილდენი თითქოს გაქვავებულან. ბრედლი ბაღიან კართან გამოჩნდება; ყვითელი საწვიმარი აცვია. კარს აღებს, ვერანდას გადაივლის, მარჯვენა კარით სცენაზე შემოდის და კარს კეტავს. საწვიმარს იხდის, ფერთხავს. სცენაზე მყოფებს ამჩნევს, ჩერდება. ტილდენი მისკენ ტრიალდება, ბრედლი შელის უყურებს. დოჯი ისევ იატაკზე გდია.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ბრედლი.** რა ხდება, რა ამბავია? (შელისკენ იშვერს ხელს) ეს ვინაა?

(შელი დგება, ბრედლის მიახლოებაზე უკან-უკან იხევს. ბრედლი ტილდენის გვერდით ჩერდება. ქურქს დაინახავს და ხელიდან გამოგლეჯს ძმას.)

**ბერდლი.** ვინ არის-მეთქი?

**ტილდენი.** ნიუ მექსიკოში მიდის მანქანით.

(ბრედლი შელის აკვირდება. შელი გახევებული დგას. ქურქჩაბღუჯული ბრედლი გოგოსკენ მიჩლახუნობს. მის წინ ჩერდება.)

**ბრედლი.** (შელის, პაუზის შემდეგ) არდადეგებზე?

(აკანკალებული შელი უარის ნიშნად აქნევს თავს.)

**ბრედლი.** (შელის, ტილდენზე ანიშნებს) ესეც თან მიგყავს?

(შელი ერთხელაც აქნევს თავს უარის ნიშნად. ბრედლი ისევ ტილდენისკენ მიდის.)

**ბრედლი.** უნდა წაიყვანო. აბა, აქ ამისგან რა ხეირია. თითის თითზე დამკარებელი არ არის, ხელითაა შესანახი. (ჩერდება, ტილდენს) არა რო? (შელის) არა, ისე ნაკრებში იყო. ნახევარმცველი, დამცველი თუ ჩემი ფეხები! მოგწყენ?

(შელი კვლავ უარის ნიშნად აქნევს თავს.)

**ბრედლი.** აბაა, დიდი ვინმე ბრძანდებოდა. წარწერებიანი მაისურები ეცვა, ყელზე მედლები ეკიდა. ერთ რამედ ღირდა ნახვა. მაგარი ბიჭი იყო. (თავისთვის იცინის, იატაკზე გართხმულ დოჯს ამჩნევს, მისკენ მიდის, ჩერდება) ესეც. (შელის) ამას ზედაც არ უყურებ. არა? მთლად დამპლევდა და გაიპარა, უბედურ დღეს გაჩენილი.

(შელი ისევ აქნევს თავს. ბრედლი ჯიქურ მიშტერებია, მერე მისკენ მიდის, ქურქს ხელში ჰმუჭნის, შელის წინ ჩერდება.)

**ბრედლი.** ქალებს გიყვართ, არა?

**შელი.** რა?

**ჰრედლი.** მაგარი ბიჭები. გამოსული.

**შელი.** რა ვიცი...

**ბრედლი.** იცი, როგორ არ იცი. ჩემთან არ გინდა ეგეთები. (უფრო უახლოვდება) ტილდენს მოაკითხე?

**შელი.** არა.

**ბრედლი.** (ტილდენისკენ ტრიალდება) ტილდენ! შენი სტუმარია?

(ტილდენი არ პასუხობს. იატაკს დასცქერის)

**ბრედლი.** ტილდენ!

(ტილდენი უცებ ადგილიდან მოწყდება და მარცხნივ, კულისებში გარბის. ბრედლი იცინის, დოჯი უხმოდ აცმაცუნებს ტუჩებს, თითქოს ვიღაც უჩინარს ელაპარაკება იატაკზე.)

**ბრედლი.** (სიცილით) გული გაუსკდა! ყოველთვის ეგეთი კურდღელი იყო!

(ჩუმდება. შელის შესცქერის.)

**ბრედლი.** შენც გეშინია, ჰო მართალია? (ისევ იწყებს სიცილს) გეშინია, თან მეც არ მიცნობ. (უცებ დასერიოზულდება) არ უნდა გეშინოდეს.

(შელი იატაკზე გართხმულ დოჯს გასცქერის)

**შელი.** იქნებ რამე ვუშველოთ?

**ბრედლი.** (ისიც დოჯს უყურებს) ტყვია შეგვიძლია დავახალოთ. (იცინის) ან დავაღრჩოთ! მოდი, წყალში გადავაგდოთ. რას იტყვი?

**შელი.** გაჩუმდით!

(ბრედლი ჩუმდება, შელის უახლოვდება. შელი კანკალებს. ბრედლი ზანტად ლაპარაკობს, სიტყვებს წელავს.)

**ბრედლი.** ეიიი, მისის! ეგრე ნუ მელაპარაკები. ნუ მელაპარაკები მაგეთი ხმით. დრო იყო, დიდიან-პატარიანად ყველა ეგრე მელაპარაკებოდა და მეც იძულებული ვიყავი მომეთმინა. (დოჯზე ანიშნებს) მაგალითად, აი ამისგან! ამისგანაც და იმ ცალტვინასგანაც, წედან რომ გავარდა დათოხილი. ოღონდ, ის დრო მოკვდა. ახლა ეგრე აღარ მელაპარაკებიან! უკვე აღარ! შეტრიალდა ყველაფერი. ასოთხმოცი გრადუსით. ჰო სასაცილოა?

**შელი.** მაპატიეთ.

**ბრედლი.** პირი გააღე.

**შელი.** რა?

**ბრედლი.** (ანიშნებს, პირი გააღეო) დიდზე.

(შელი ნელა აღებს პირს.)

**ბერდლი.** უფრო.

(შელი პირს უფრო ფართოდ აზჩენს)

**ბრედლი.** აი, აგრე.

(შელი არ ირხევა. ბრედლის შესცქერის. ბრედლი თითებს უყოფს პირში. გოგო თავის დაღწევას ცდილობს.)

**ბრედლი.** იდექი-მეთქი!

(შელი კანკალებს. ბრედლის გოგოსთვის პირში თითები ჩაუყვია და უხმოდ შესცქერის. პაუზა. მერე ხელი უკან მოაქვს. გოგო პირს მუწავს. ბრედლის არ აშორებს თვალს. ბრედლი ილიმება. დოჯისკენ იხედება და მისკენ მიდის. შელი გაშტერებული ადევნებს თვალს. ბრედლი დოჯს ადგას თავზე და შელის უღიმის. დოჯის თავსზემოთ ორივე ხელით უჭირავს ქურქი, ისევ უღიმის შელის. მერე დოჯს დახედავს, ქურქს ხელებს უშვებს და ისიც თავზე ეფინება დოჯს. ბრედლის ხელები ისევ ისე უჭირავს, როგორც წამის წინ, როცა ქურქი ეკავა. შელის გამოხედავს ხოლმე და უღიმის. შუქი ქრება.)

## მესამე მოქმედება

იგივე დეკორაცია. დილაა. წვიმას გადაუღია. გარეთ მზე კაშკაშებს. ოთახი მილაგებულია. არც სტაფილო ჩანს, არც ვედრო, არც ჯორკო. ვინსის საქსოფონის ბუდე და ლაბადა ისევ კიბესთან აწყვია. ბრედლის დივანზე ძინავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დოჯის საბანი აფარია. თავთით, დივანზე, ხის ფეხი მიუყუდებია. ფეხსაცმლიანი. დოჯი იატაკზე ზის, ზურგით ტელევიზორს მიყრდნობილი. მარცხნივ იყურება, თავზე ბეისბოლისტის ქუდი ახურავს. ბეჭებზე შელის ქურქი მოუსხამს. კიდევ უფრო დასუსტებული და დაბნეული ჩანს. ჩიტების ხმაზე შუქი ნელ-ნელა მატულობს. ცოტა ხანს ყველაზე მკვეთრად ორი კაცის ფიგურაა განათებული. ბრედლის ძალიან ღრმად ძინავს. დოჯი ძლივს იძვრევა; მარცხნიდან გაღიმებული შელი შემოდის, ნელა მოაბიჯებს დოჯისკენ. ლამბაქზე დადგმული ცხელი ბულიონით სავსე ფინჯანი მოაქვს. დოჯი უაზროდ შესცქერის. გოგო უახლოვდება.

**შელი.** (გზადაგზა) ამას ვინც დალევს მეორედ დაიბადება. ბაბუა. ხომ არა გწყინს. ბაბუას რომ გეძახი? ვინსისგან ვეწყინა, მაგრამ ბუნებრივია, არც იცობ და...

**დოჯი.** ჩაიჯიბა ჩემი ფული და გაიპარა. ახლა ავდგები და გირაოში შენ დაგიტოვებ.

**შელი.** მოვა. ნუ გეშინია.

(შელი დოჯის გვერდით ჩაცუცქდება. ლამბაქს და ფინჯანს კალთაში უდგამს.)

**დოჯი.** გათენდა! მომსვლელი აქამდე ცხრაჯერ მოვიდოდა! ვისკი მომიტანა კი არა, ფულიც წამართვა.

**შელი.** აბა, მოდი ერთი ეს დალიე! არ დაღვარო.

**დოჯი.** ეგ რაღაა?

**შელი.** ბულიონია. ძროხის ხორცის. გაგათბობს.

**დოჯი.** ბულიონი! მომაშორე აქედან! როდის იყო ბულიონს ვსვამდი.

**შელი.** გადავყვევი ამის კეთებას.

**დოჯი.** რა ჩემი საქმეა! ვინ გთხოვა? წაიღე.

**შელი.** აბა რა ვუყო? ცოტა მოსვი, მოგიხდება.

**დოჯი.** მომაშორე-მეთქი აქედან!

(შელი დგება. ფინჯნიან-ლამბაქიანად.)

**დოჯი.** შენ რა იცი. მე რა მომიხდება და რა არ მომიხდება.

(გოგო ცოტა ხანს ჩუმად უყურებს, მერე ტრიალდება, კიბისკენ მიდის, ქვედა საფეხურზე ჯდება და ბულიონის წრუპვას იწყებს. დოჯი თვალს არ აშორებს.)

**დოჯი.** გინდა გითხრა, მართლა რა მომიხდება?

**შელი.** რა?

**დოჯი.** პატარა მასაჟი. ცოტაოდენი კონტაქტი.

**შელი.** არა ბატონო. კონტაქტი იმისთანა დავამყარე წუხელ. კაი ხანს მეყოფა. ისე, მაინც დიდი მადლობა.

(ბულიონს ხვრეპს. კიბეზე ზის. პაუზა. დოჯი უხმოდ შესცქერის.)

**დოჯი.** ვითომ რატომ. რა მოხდება? სხვა რა საქმე გაქვს. ის, ბიჭი აქ მაინც აღარ დაბრუნდება, აღარც შენ ელოდები, ხომ მართალია?

**შელი.** აუცილებლად დაბრუნდება. საყვირი აქ დატოვა.

**დოჯი.** საყვირი? (იცინის) შენა ხარ იმის საყვირი.

**შელი.** ძალიან სასაცილოა.

**დოჯი.** წაიღო ფული და წავიდა. აღარ მოვა.

**შელი.** მოვა.

**დოჯი.** ძალიან სასაცილო პატარა წიწილა ხარ, იცოდი?

**შელი.** მადლობა.

**დოჯი.** რწმენით აღსავსე. იმედით. იმედიანები ყველა ერთნაირები ხართ. ან ღმერთის გწამთ, ღმერთის თუ არა, კაცის, კაცის თუ არა — ქალის, ქალის თუ არა — სამშობლოსი ან მომავლის, ნებისმიერი სხვანაირი, რამენაირი მომავლის.

(პაუზა)

**შელი.** (ვერანდისკენ იყურება) აღარ წვიმს. კარგია.

**დოჯი.** (ისიც იხედება ვერანდისკენ, მერე ისევ გოგოსკენ აბრუნებს თავს) აი, მეც მანდა ვარ. ხედავ. აღარ წვიმს და გიხარია. შენ გგონია, ახლა ყველაფერი სხვანაირად იქნება. მარტო იმიტომ, მზემ რომ ერთი გამოიჭყიტა.

**შელი.** არის კიდეც სხვანაირად. წუხელ მაგარი შეშინებული ვიყავი.

**დოჯი.** რამ შეგაშინა?

**შელი.** ისე მეშინოდა.

**დოჯი.** ბრედლისი? (ბრედლისკენ იხედება) ბრედლი საშიში არ არის. ახლა მითუმეტეს. მოპარე ფეხი და გადაუგდე ფანჯრიდან. მორჩა. მთლად უსუსური გახდება. არაფრის მაქნისი.

(შელი ტრიალდება და ბრედლის ხის ფეხს შესცქერის. მერე ისევ დოჯს მიაჩერდება, თან ბულიონს ხვრეპს.)

**შელი.** შენ გადაუგდებდი?

**დოჯი.** მე? მე სად შემიძლია, ძლივს ვსუნთქავ.

**შელი.** რომ შეგეძლოს, ხომ ნამდვილად გადაუგდებდი?

**დოჯი.** რა ყველაფერზე გული გისკდება. პატარა გოგო. ისეთი რა არის, კაცმა არ გააკეთოს. რასაც გინდა გააკეთებს. არც დაგესიზმრება.

**შელი.** ეტყობა. თავის დროზე რაღაც-რაღაცები შენც გაგიკეთებია.

**დოჯი.** ზიზარ. ჩემი ბულიონით იჭყიპები და თან სასამართლოსაც მიწყობ? ჩემს სახლში!

**შელი.** ეგ სულ დამავიწყდა.

**დოჯი.** დაგავიწყდა? აბა, ვისი სახლი გეგონა?

**შელი.** ჩემი.

(დოჯი უხმოდ შესცქერის. ხანგრძლივი პაუზა. გოგო ფინჯნიდან ბულიონს ხვრეპს.)

**შელი.** არა. ვიცი ჩემი სახლი არ არის. მაგრამ რაღაც ეგეთი გრძნობა მქონდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ᲓᲝᲯᲘ.** როგორი?

**ᲨᲔᲚᲘ.** როგორი და, თითქოს აქ ჩემს მეტი არავინ ცხოვრობს, ვითომ, ყველა გადასახლდა სადღაც. თქვენ კი ხართ, ოღონდ თითქოს სათვალავში არ ითვლებით. არ უნდა ითვლებოდეთ. (ბრეღლიზე უთითებს.) არც ეგ რისი ბრალია, არ ვიცი. შეიძლება სახლის, შეიძლება სხვა რამის, რაღაც ძალიან ნაცნობია ყველაფერი. თითქოს აქ დავიბადე, აქ გავიზარდე. შენ თუ გქონია როდისმე ეგეთი გრძნობა?

(დოჯი უხმოდ შესცქერის. პაუზა).

**ᲓᲝᲯᲘ.** არა, არა, არასოდეს.

(შელი დგება, სცენაზე მიდი-მოდის. ხელში ფინჯანი უჭირავს.)

**ᲨᲔᲚᲘ.** წუხელ ზევით, იმ ოთახში მეძინა.

**ᲓᲝᲯᲘ.** რომელ ოთახში?

**ᲨᲔᲚᲘ.** სურათებითაა იქაურობა გამოტენილი. კედლებზე ჭვრები კიდია.

**ᲓᲝᲯᲘ.** ჰელის ოთახში?

**ᲨᲔᲚᲘ.** ჰო, თუმცა. ჰელი ვინ არის არ ვიცი.

**ᲓᲝᲯᲘ.** ჩემი ცოლია.

**ᲨᲔᲚᲘ.** ესე იგი. გახსოვს?

**ᲓᲝᲯᲘ.** რას ქვია მახსოვს? მახსოვს, აბა არ მახსოვს? ჯერ ერთი დღე გავიდა რაც წასულია. უფრო სწორად — ნახევარი, თუმცა, მაგას რა მნიშვნელობა აქვს.

**ᲨᲔᲚᲘ.** ისეთიც გახსოვს, როცა ცეცხლივით წითელი თმა ჰქონდა? ვაშლის ხესთან რომ იდგა?

**ᲓᲝᲯᲘ.** ეგ რაღა დაიწყე ახლა? დაკითხვა წამების გამოყენებით? საერთოდ ვინა ხარ, რა უფლებით ერევი ცოლ-ქმრის პირად საქმეებში?

**ᲨᲔᲚᲘ.** ის სურათები თუ დაგითვალიერებია?

**ᲓᲝᲯᲘ.** რა სურათები?

**ᲨᲔᲚᲘ.** მთელი თქვენი ცხოვრება კედლებზეა ოთახში გამოფენილი. კაცის სურათებიცაა. ზუსტად შენსავით გამოიყურება. როგორც შენ გამოიყურებოდი ალბათ ერთ დროს.

**ᲓᲝᲯᲘ.** მე არა ვარ! მე ისეთი არასდროს არ ვყოფილვარ! მე აი, აგერ ვზივარ. რასაც მიყურებ, ესა ვარ.

**ᲨᲔᲚᲘ.** ესე იგი, შენ თუ დაგიჯერა კაცმა, წარსული საერთოდ არც ყოფილა?

**ᲓᲝᲯᲘ.** წარსულიო? ღმერთო ძლიერო. წარსულიო. შენ რა იცი წარსულის?

**ᲨᲔᲚᲘ.** ბევრი არაფერი. ადრე ფერმა გქონიათ.

(პაუზა.)

**ᲓᲝᲯᲘ.** ფერმა?

**ᲨᲔᲚᲘ.** ფერმის ფოტოცაა. დიდი ფერმა ყოფილა. ხარიც ჩანს. პურის ყანა.

**ᲓᲝᲯᲘ.** ყანა?

**ᲨᲔᲚᲘ.** ყანაში ბავშვები დგანან. დიდ, ჩალის ქუდებს იქნევენ. ერთს ქუდი არ ახურავს.

**ᲓᲝᲯᲘ.** ეგ რომელს?

**ᲨᲔᲚᲘ.** ყველაზე პატარას. ალუბს. ქალს უჭირავს ხელში. იმ ქალს. წითელთმიანს. დაბნეული ჩანს. თითქოს ვერ მიმხვდარა, აქ როგორ ამოვყავი თავით.

**ᲓᲝᲯᲘ.** ძალიან კარგად იცის! მილიონჯერ ვუთხარი, ქალაქში არ ვიცხოვრებთ-მეთქი! რამდენჯერ გავაფრთხილე!

**ᲨᲔᲚᲘ.** ისეთი სახით დასცქერის ბავშვს, თითქოს ვიღაც სხვისი იყოს, სხვისი ბავშვი ეჭიროს ხელში.

**ᲓᲝᲯᲘ.** აბა, ახლა კი გეყო! რაღაც უცნაური აზრები მოგდის თავში. გაფუჭებული, რახან გვიქადაგებენ. შენ გგონია კაცს მართლა აუცილებლად უნდა უყვარდეს თავისი ნაშიერი? არ გინახავს, როგორ ჭამს ძუკნა თავის ლეკვებს? ისე, მართლა, საიდანა ხარ?

**ᲨᲔᲚᲘ.** ლოს ანჯელესიდან. ეგ უკვე გავიარეთ.

**ᲓᲝᲯᲘ.** მართალია. ლოს ანჯელესი. მახსოვს.

**ᲨᲔᲚᲘ.** ბრიყვების ქალაქია.

**ᲓᲝᲯᲘ.** სწორი ხარ! ბრიყვების ქალაქია, აბა რა არის!

(პაუზა.)

**ᲨᲔᲚᲘ.** მაინც, რა მოუვიდა ამ ოჯახს, არ მეტყვი?

**ᲓᲝᲯᲘ.** რა უფლებით მეკითხები? შენთვის რა მნიშვნელობა აქვს? ქველმოქმედი ხარ?

**ᲨᲔᲚᲘ.** ვინსის მეგობარი ვარ.

**ᲓᲝᲯᲘ.** ვინსის მეგობარი, რა მითხარი. დიდი ამბავი. „ვინსი"! „მისტერ ვინსი"! „მისტერ ქურდბაცაცა"-თქო! ეგ უფრო სწორი იქნება. ვინსი ვილა მიგდია ვითომ. შენ იცი, მე რამდენი შვილი მყავდა? შვილიშვილებზე, შვილიშვილის შვილებზე და შვილიშვილის შვილიშვილებზე აღარაფერს გეუბნები.

**ᲨᲔᲚᲘ.** და არცერთი აღარ გახსოვს?

**ᲓᲝᲯᲘ.** რა უნდა მახსოვდეს? სათჯახო ალბომი ჰელის აბარია. ძალიან თუ გინდა, იმას ელაპარაკე. თუ გაინტერესებს, ის გაგარკვევს საგვარეულო ამბებში. ძირისძირამდე მისდია საფლავამდე.

**ᲨᲔᲚᲘ.** ვერ გავიგე.

**ᲓᲝᲯᲘ.** რა ვერ გაიგე. შენ სადამდე შეგილია თვალი გააყოლო გვამების უსასრულო რიგს? ჰა? ჩემს შემდეგ ერთი ცოცხალი არსება აღარ რჩება. არც ერთი. ვინ დამიმახსოვრებს? ვის გაახსენდება მიწაში ჩაყრილი ჩემი ძვლები?

**ᲨᲔᲚᲘ.** ტილდენი მართალს ამბობდა?

(დოჯი გაელვარებული შესტყებს. შელი არ ამორებს თვალს, ისევ აქნევს მარცხნივ იყურება.)

**ᲨᲔᲚᲘ.** ჰოო?

(დოჯი სრ. უქაცურდება.)

**ᲓᲝᲯᲘ.** ტილდენი? (შელისკენ ტრიალდება.) ტილდენი სად არის?

**ᲨᲔᲚᲘ.** წუხელ. ბავშვზე. მართალს ამბობდა?

(პაუზა.)

**ᲓᲝᲯᲘ.** (მარცხნივ ტრიალდება) რა დაემართა ტილდენს? სად წავიდა?

**ᲨᲔᲚᲘ.** ბრედლიმ გააქცია.

**დოჯი.** (მძინარე ბრედლის უყურებს) ბრედლიმ? ჩემ დივანზე რატომ წევს? (ისევ შელისკენ ტრიალდება) მე მთელი ღამე აქ ვეგდე? ტატაკზე?

**შელი.** არაფერით არ წავიდა. ხანამ არ დაიძინა, გარეთ ვიმალებოდი.

**დოჯი.** გარეთ? ტილდენიც გარეთაა? წვიმაში გარეთ არ უნდა იყოს. კიდე რამე შარში გაეხვევა. აქაურობა აღარ ახსოვს. ადრე მიჩვეული იყო. მერე დასავლეთში წავიდა და, ცუდი ამბავი დაემართა, აქაც არ მიქარის რამე. კიდევ შარი მინდა!

**შელი.** რა ჩაიდინა მაინც?

(პაუზა.)

**დოჯი.** (მშვიდად შესცქერის შელის) ტილდენმა? რა უნდა ჩაედინა?! ცუდი ამბავი შეემთხვა-მეთქი, ვერ გაიგე? ახლა წუთით აღარ შეიძლება მაგისთვის თვალის მოშორება.

(მარცხნიდან ჰელის სიცილი მოისმის, შელი დგება, იქით იხედება, საიდანაც ხმა გაიგონა, ხელში ფინჯანი და ლამბაქი უჭირავს, არ იცის, დარჩეს თუ გაიქცეს.)

**დოჯი.** (შელისკენ იშვერს ხელს) დაჯექი, დაჯექი ამ წუთას!

(შელი ჯდება, ისევ ისმის სიცილის ხმა.)

**დოჯი.** (მაგრად ეხვევა ქურქში, დაძაბული ეჩურჩულება შელის) ახლა მარტო არ დამტოვო! ხომ არ დამტოვებ? დამპირდი! არ წახვიდე იცოდე! ვიღაცა უნდა მყავდეს გვერდით. ტილდენი წავიდა და ვიღაცა მჭირდება, არ დამტოვო! პირობას! მაძლევ?

**შელი.** (ზის) არ დაგტოვებ.

(ვერანდის ბადიან კარს იქით ჰელი გამოჩნდება, მამა დევისთან ერთად მოდის. თვალისმომჭრელად ყვითელი კაბა აცვია, თეთრი ხელთათმანები, ქუდი არ ახურავს, ორივე ხელით მოაქვს ყვითელი ვარდების უშველებელი თაიგული. მამა დევისს ტრადიციული შავი კოსტუმი აცვია, კლერიკალის თეთრი საყელო უკეთია, სამოცი წლის კვალობაზე საკმაოდ მხნე, წარმოსადეგი მამაკაცია, ოდნავ გაჭაღარავებული. ორივე შექეიფიანებულია და თავბრუ ეხვევათ. ვერანდაზე რომ შემოვლენ, დოჯი ქურქს თავზე შემოიხვევს და დაიმალება. შელი დგება. დოჯი ქურქს აგდებს და დაძაბული ეჩურჩულება. არც ჰელიმ და არც მამა დევისმა ჯერ არ იციან, ვინმე თუა სახლში.)

**დოჯი.** (შელის ეჩურჩულება) იცოდე. დამპირდი!

(შელი ისევ კიბის საფეხურზე ჯდება. დოჯი ერთხელაც იხვევს თავზე ქურქს. ჰელი და მამა დევისი ვერანდაზე საუბრობენ, მერე მარჯვენა კარისკენ მოდიან ლაპარაკ-ლაპარაკით.)

**ჰელი.** რას ამბობთ, მამაო! რა საშინელებაა, იცოდეთ, აღარ მოგისმენთ! სასჯელის არ გეშინიათ?

(ხითხითებს)

**დევისი.** იტალიელების სასჯელის ნამდვილად არ მეშინია. ჯერ ერთმანეთის დახოცით არიან გართული.

(ორივე გულიანად კისკისებს.)

**ჰელი.** ღმერთის?

**დევისი.** მოწყალე ღმერთს მხოლოდ ის ესმის, რისი გაგონებაც უნდა. ჩვენში დარჩეს, რასაკვირველია, გულისგულში ხომ მშვენივრად ვიცით, ჩვენც ზუსტად ისეთივე ბიწიერები ვართ, როგორც კათოლიკები.

(ისევ ხითხითებენ, მარჯვენა კარებთან მოდიან.)

**ჰელი.** მამაო, საკვირაო ქადაგებებზე თქვენი ეგეთი ლაპარაკი არასოდეს გამიგონია.

**დევისი.** იმიტომ, რომ საუკეთესო ხუმრობებს კერძო საუბრებისთვის ვიტოვებ ხოლმე. ხომ იცით, ღორებს მარგალიტი არ უნდა დაუყარო.

(სიცილით შემოდიან ოთახში და შელის დანახვაზე ჩერდებიან. შელი ფეხზე დგას. ჰელი მამა დევისის ზურგს უკან კარს კეტავს. ქურქის ქვეშიდან დოჯის ხმა ისმის. შელის ელაპარაკება.)

**დოჯი.** დაჯექი, დაჯექი-მეთქი! იცოდე, თავი არ გაადგებინო აქედან!

(შელი ისევ კიბის საფეხურზე ჯდება. ჰელი ჯერ დოჯს შეხედავს, მერე დივანზე მძინარე ბრედლის. იმის ხის ფეხს ამჩნევს. აშკარად ეტყობა, მამა დევისის რცხვენია.)

**ჰელი.** ღმერთო დიდებულო! რა ჯანდაბა და ოხრობა ხდება ამ სახლში!

(ვარდებს მამა დევისს აწვდის.)

**ჰელი.** მაპატიეთ მამაო.

(ჰელი დოჯთან მიდის, გაშმაგებული ართმევს ქურქს და ბრედლის ხის ფეხს აფარებს, მალავს. ბრედლის ძინავს.)

**ჰელი.** წამით ვერ გასულხარ საქმეზე! მაშინვე ეშმაკები დაეპატრონებიან ხოლმე აქაურობას.

**დოჯი.** ქურქი მომეცი, მომეცი, ხანამ გავიყინე და მოვკვდი.

**ჰელი.** არ გაიყინები! იწვის ქვეყანა!

**დოჯი.** მომეცით-მეთქი ქურქი! ეგ ცოცხალი ხორცის გასათბობადაა, აბა მკვდარ ხეს რა ჯანდაბად უნდა!

(ჰელი ბრაზიანად ხდის ბრედლის საბანს და დოჯს ესვრის, დოჯი ახლა საბანში იმალება თავფეხიანად. ბრედლის „მოჭრილი" ფეხი შეიძლება დივანის ბალიშის ქვეშ ჰქონდეს დამალული. ჩაცმულს სძინავს. საბანს რომ გადახდიან, მოწყვეტით წამოჯდება.)

**ჰელი.** (საბნის გადაგდებისას) აჰა! ეს აიღე! შენი. მაინცაა! თავს ვერ უნდა მიხედოს ამხელა კაცმა?

**ბრედლი.** (ჰელის უყვირის) მომე საბანი! მომე აქ საბანი! არ გესმის?!

(ჰელი ისევ მამა დევისთან მიდის. მამა დევისი გაუნძრევლად დგას, ხელში ვარდების თაიგული უჭირავს. ბრედლი საცოდავად დახტის



ეროვნული ბიბლიოთეკა

დივანზე, ცდილობს საბანს მისწვდეს. დოჯი კიდევ უფრო მაგრად ეხვევა საბანში. შელი კიბის საფეხურზე ჩამომჯდარი შესცქერის ყველაფერ ამას, ხელში ჭერაც ფინჯანი და ლამბაქი უჭირავს.)

ჰელი. ბოდიშს გიხდით, მამაო, ამას როგორ ვიფიქრებდი, თორემ შინ ნამდვილად არ შემოგიპატიჟებდით.

დევისი. თუ ღმერთი გწამთ, ნუ მებოდიშებით! რაღა მღვდელი ვიქნებოდი, ცხოვრებისთვის თვალის გასწორება რომ არ შემეძლოს.

(დარცხვენილი იცინის. ჰელი ისევ ამჩნევს კიბეზე ჩამომჯდარ შელის და მისკენ მიდის. შელი ზის. ჰელი მის წინ ჩერდება და დაჟინებით შესცქერის.).

ბრედლი. დამიბრუნეთ ჩემი საბანი! საბანი მომეცით-მეთქი! დაყრუვდით?

(ჰელი ბრედლისკენ ტრიალდება, აჩუმებს.)

ჰელი. გაჩუმდი, ბრედლი! შენი ხმა აღარ გავიგო! დავიღალე!

(ბრედლი ისევ წვება, ჰელის ზურგს შეაქცევს და ჩუმად სლუკუნებს. ჰელის მთელი ყურადღება შელიზე გადააქვს. პაუზა.)

ჰელი. (შელის) ჩემი ფინჯანი და ლამბაქი რატომ აგიღიათ?

შელი. (ფინჯანს დახედავს, მერე ისევ ჰელის უსწორებს თვალს) დოჯს ბულიონი გავუკეთე.

ჰელი. დოჯს.

შელი. ჰო.

ჰელი. კარგია. დალია?

შელი. არა.

ჰელი. თქვენ დალიეთ?

შელი. დიახ.

(ჰელი გოგოს შესცქერის. ხანგრძლივი პაუზა. უეცრად შელის ზურგს შეაქცევს და ისევ მამა დევისისკენ მიდის.)

ჰელი. მამაო, ჩემ სახლში ვიღაც უცნობი დამხვდა, რას მირჩევთ. როგორ მოვიქცე? ქრისტიანული თვალსაზრისით.

დევისი. (უშნოდ იგრიხება) რა ვიცი... რა გითხრათ... მე.

ჰელი. ვისკი დაგვრჩა, არა?

(დოჯი ნელა იხდის თავიდან საბანს და მამა დევისისკენ იხედება. შელი დგება.)

შელი. იცით, მე არ ვსვამ და... მე უბრალოდ...

(ჰელი ბოროტი სახით ტრიალდება შელისკენ)

ჰელი. თქვენ იჯექით მანდ!

(შელი ისევ კიბის საფეხურზე ჯდება. ჰელი მამა დევისს მოუბრუნდება.)

ჰელი. ბლომად დარჩებოდა! არა, მამაო?

დევისი. ალბათ. რა ვიცი. მე მგონი კი. ხელები დაკავებული მაქვს, თქვენ უნდა ამოიღოთ, ჯიბიდან.

(ჰელი ხითხითებს. დევისის ჯიბეებში აფათურებს ხელს, ბოთლს დაეძებს. თან ვარდებს ყნოსავს. დევისი გაშტერებული დგას. დაძაბული დოჯი ჰელის თვალს არ აშორებს.)

ჰელი. საოცრებაა ვარდი! საოცრებაა, არა მამაო?

დევისი. დიახ, ნამდვილად საოცრებაა.

ჰელი. აქაური ცოდვის სომყრალესაც კი მოერია. რა სურნელებაა! რა დიდებული! ანსელის ძეგლის გახსნაზეც მარტო ვარდები იქნება. უამრავი ვარდი.

(ჰელი დევისის ქილეტის ჯიბეში ვისკის ვერცხლის მათარას იპოვის, ამოიღებს. დოჯი აღგზნებული შესცქერის. ჰელი დოჯისკენ მიდის, თან მათარიდან ვისკის წრუპავს.)

ჰელი. (დოჯს) დოჯ, იცი, ანსელს ძეგლს დაუდგამენ! მემორიალურ დაფას კი არა — ნამდვილ ძეგლს! ბრინჯაოსას! ცალ ხელში — კალათბურთის ბურთი, მეორეში — თოფი.

ბრედლი. (ჰელისკენ ზურგშექცეული) კალათბურთი ცხოვრებაში არ უთამაშია!

ჰელი. შენი ხმა არ გავიგონო, ბრედლი! ანსელზე კრინტი არ დაძრა! ანსელი ყველაზე კარგად თამაშობდა კალათბურთს! და ეგ შენც მშვენივრად მოგეხსენება. ნაკრებში იყო! სხვისი დიდება არ უნდა გშურდეს.

(ჰელი ბრედლის ზურგს შეაქცევს, ისევ დევისისკენ მიდის, მათარიდან ვისკის წრუპავს და იღიმება.)

ჰელი. (დევისს) ანსელი დიდი კალათბურთელი იყო. ერთ-ერთი უდიდესი.

დევისი. ნამდვილად. ანსელი კარგად მახსოვს.

ჰელი. რა თქმა უნდა, გახსოვთ! როგორ თამაშობდა! (შელისკენ ტრიალდება) დღეს უკვე სხვა კალათბურთს თამაშობენ. ბევრად უხეშს. არა, საყვარელო?

შელი. რა ვიცი...

(ჰელი შელისკენ მიდის, ისევ წრუპავს ვისკის. გოგოს წინ ჩერდება.)

ჰელი. ბევრად, ბევრად უფრო უხეშს. ერთმანეთს ურტყამენ, ეჯახებიან, კბილებსამტვრევენ. მთელ მოედანზე სისხლის გუბეები დგას. ველურები.

(ჰელი ფინჯანსართმევს შელის და ვისკის უსხამს.)

ჰელი. ძველებურადაც აღარ ვარჯიშობენ. მთლად წავიდნენ ხელიდან. წახდნენ. ნარკოტიკებით, ქალებით. ქალებზე დაგიჟდნენ.

(ჰელი ნელა უწვდის ვისკიან ფინჯანს შელის. შელიართმევს.)

ჰელი. მარტო ქალებს დასდევენ. პატარა გოგოებს. სევდიან, პათეტიურ გოგოებს. (ისევ მამა დევისისკენ მიდის.) ეს ყველაფერი დრომ მოიტანა, არა მამაო? ალბათ, დაცემის ნიშანია

დევისი. ალბათ, ალბათ ასეა.

ჰელი. დიახ, რაღაც ცუდის ნიშანი. ჩვენი ახალგაზრდები ურჩხულებად იქცნენ.

დევისი. რა ვიცი, მე...

ჰელი. არა, თუ არ მეთანხმებით თამამად



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეგიძლიათ შემეკამათოთ. კამათისთვის ყოველთვის მზადა ვარ, მამა. მე მგონი, კამათი მხოლოდ ჭეშმარიტებას მიგვაახლოებს. ახლა რაა? (დოჯისკენ მიდის) თუმცა, საბოლოო ჯამში, ალბათ არავითარ მნიშვნელობა არა აქვს, როცა ხედავ, როგორ იხრწნება შენს თვალწინ ყველაფერი, როგორ მიექანება თავქვე, ახალგაზრდობაზე ფიქრი სისულელეც კია.

**დევისი.** არა, ვერ დაგეთანხმებით. გარკვეული რწმენა აუცილებელია. აუცილებლად უნდა შევინარჩუნოთ. ეს მნიშვნელოვანი ამბავია.

**ჰელი.** დიახ, დიახ, ვიცი რასაც გულისხმობთ, ალბათ სწორი ბრძანდებით. მართალია. (დოჯს უყურებს) გარკვეული საფუძვლების, საფუძვლების შერყევის უფლება არა გვაქვს. თორემ ბოლოს შეიძლება გავგიჟდეთ. ჩემი ქმარივით, თვალებში ჩახედეთ, თვალებზე ეტყობა, რა გიჟია.

(დოჯი ისევ თავზე იხურავს საბანს. ჰელი დევისს ერთ ცალ ვარდსართმევს და ნელა მიდის დოჯისკენ.)

**ჰელი.** არ შეიძლება, რამის მაინც არ გჯეროდეს. რწმენა მარადიული უნდა იყოს. თუ არა და, დავიხრჩებით. უბრალოდ მოვკვდებით.

(ჰელი ნაზად უგდებს ვარდს დოჯს კალთაში. ხანგრძლივი პაუზა, ჰელი ვარდს დასცქერის. შელი მოწყვეტით დგება. ჰელი მისკენ არ ტრიალდება, ვარდს არ აშორებს თვალს.)

**შელი.** (ჰელის) არ გინდათ გაიგოთ, ვინა ვარ? აქ რას ვაკეთებ? მე ხომ ჯერ არ მოვმკვდარვარ!

(შელი ჰელისკენ მიდის. ჰელი ნელ-ნელა ტრიალდება მისკენ.)

**ჰელი.** ვისკი დალიე?

**შელი.** არა! და არც ვაპირებ!

**ჰელი.** რა შესაშური სიმტკიცეა! მაგარი გოგო ხარ! ნებისყოფიანი!

**შელი.** მაგარი კი არა!.. ერთი სად მოვწვდი გამაგებინა და არაფერი არ მინდა.

(ჰელი იცინის და ისევ დევისისკენ მიდის.)

**ჰელი.** (დევისს) სიურპრიზები, სიურპრიზები! ჩვენთან სტუმრობა ალბათ სულ სხვანაირად ჰქონდათ წარმოდგენილი, მამა.

**შელი.** მე აქ თქვენ შვილიშვილთან ერთად ჩამოვედი. ისე, უბრალოდ შემოგიარეთ ცოტა ხნით, შინაურულად

**ჰელი.** ჩემ შვილიშვილთან?

**შელი.** დიახ! არავის რომ არ გახსოვთ, იმასთან ერთად.

**ჰელი.** (დევისს) ეს უკვე ძნელი ასატანი ხდება.

**შელი.** კი ვუთხარი, სისულელეა-მეთქი, საიდანაც ერთხელ წახვედი იქ დაბრუნება აღარ უნდა სცადო-მეთქი.

**ჰელი.** სად გაიმართა ეს ღირსშესანიშნავი საუბარი?

**შელი.** სადაც აქედან წასვლის მერე ცხოვრობდა. იქვსი წელი თუ ათი, თუ რა ვიცი, რამდენი წელი გავიდა? არაფერი არ შეიცვლება-მეთქი.

**ჰელი.** არ მოგისმინა?

**შელი.** არა! არ მომისმინა. ბავშვობიდან დამახსოვრებულ ყველა პატარა ქალაქში გამიჩრა! ყველა იდიოტურ მაღაზიაში შემათრია. თუ სადმე გოგოსთვის უკოცნია, ყველა ავტოსადგომზე, ყველა საცეკვაო მოედანზე, ყველა სტადიონზე — სადაც როდისმე ცხვირი მოუმტვრევია.

**ჰელი.** (უეცრად შეშფოთებული, დოჯს) ტილდენი რა იქნა?

**შელი.** სიტყვას ბანზე ნუ მიგდებთ!

**ჰელი.** დოჯ! ტილდენი სად წავიდა?

(შელი გაფთრებული მიიბიჯებს ჰელისკენ.)

**შელი.** (ჰელის) თქვენ გელაპარაკებით!

(ბრედლი სწრაფად ჯდება დივანზე, შელი უკან იხევს.)

**ბრედლი.** ვის უყვირი, თუ იცი?

**ჰელი.** დოჯ! (ურტყამს) ხომ გითხარი, ტილდენს თვალი არ მოაშორო-მეთქი! სად წავიდა?

**დოჯი.** სასმელი მომე და სულ სიმღერ-სიმღერით მოგიყვები ტილდენის ამბავს!

**დევისი.** ჰელი, ალბათ მთლად შესაფერისი დრო ვერ აირჩიე სტუმრობისთვის. (ჰელი ისევ დევისისკენ მიდის.)

**ჰელი.** (დევისს) არ უნდა გავსულიყავი შინიდან. არავითარ შემთხვევაში. ახლა სად ვეძებო? იმისას რას გაიგებ? რა ბკუა მოეკითხება! მაგრამ, ამან ხომ იცოდა? (დოჯისკენ იშვერს ხელს) ცხრაჯერ გავაფრთხილე, ყურადღება მიაქციე-მეთქი.

(ბრედლი დივანიდან იხრება, საბანს ეპოტინება, ბოლოს და ბოლოს დაითრევს. ისევ წვება და საბანს თავზე იფარებს.)

**დოჯი.** კიდევ წამართვა! ჩემი საბანი აილო!

**ჰელი.** (ბრედლისკენ ტრიალდება) ბრედლი! ბრედლი. მიეცი საბანი!

(ჰელი ბრედლისკენ მიდის. შელი უცებ ფინჯანს და ლამბაქს მარჯვენა კარებს ესვრის, დევისი თავს ხრის. ფინჯანი და ლამბაქი იმსხვრევა. ჰელი ჩერდება, შელისკენ ტრიალდება. ყველა ადგილზე შეშდება. ბრედლი გაუბედავად იჭყიტება საბნიდან. ჯერ კარს შეხედავს, მერე შელის. შელი ჰელის მისჩერებია. დევისს ვარდებში ჩაუმალავს სახე. შელი ნელა მიდის ჰელისკენ. ხანგრძლივი პაუზა. შელი მშვიდად ლაპარაკობს.)

**შელი.** (ჰელის) არ მიყვარს, როცა ყურადღებას არ მაქცევენ. როცა არ მამჩნევენ ხოლმე. ბავშვობიდან ქმეთი ვარ.

**ბრედლი.** (დივანზე ჯდება) ჩვენ შენთვის სათქმელი არაფერი გვაქვს, ჩემო გოგო. აბსოლუტურად. საერთოდ, ვინა ხარ, ვინ ბრძანდები? პოლიციას შენ არ გამოუგზავნიხარ და

მთავრობას. ერთი ტილდენის მოთრეული კაბა ხარ.

ჰელი. რა ლაპარაკია ეს! რა სიტყვები მესმის ჩემს სახლში!

შელი. (ბრედლის) პირში თითები ხომ ჩამჩარე? ახლა კაბასაც მეძახი?

ჰელი. ბრედლი! მართლა ჩაუყავი პირში ხელი? შენ მაგივრად მრცხვენია. წუთით ვერ უნდა დატოვო მარტო.

ბრედლი. მაგას უსმენ? ტყუის!

დევისი. ჰელი, მე უნდა გავიქცე. ოღონდ ვარდებს სამზარეულოში გავიტან.

(დევისი მარცხნივ გადის, ჰელი აჩერებს.)

ჰელი. არ წახვიდეთ, მამა! ჯერ არ წახვიდეთ.

ბრედლი. არაფერი არ მიქნია მაგისთვის, დედას გეფიცები! თითიც არ დამიკარებია! თვითონ შემომთავაზა. მე კიდევ მაშინვე უარი ვუთხარი! იმწუთასვე.

(შელი უცებ ქურქს და ბრედლის ხის ფეხს ერთად ჩამოუჯავს და ავანსცენაზე გამოიტანს, დივანიდან შორს.)

ბრედლი. დედა! დედა! ფეხი წამართვა! ჩემი ფეხი აილო! რა დავუშავე? ფეხი მომპარა!

(ბრედლი პათეტიკურად იქნევს ხელებს ჰაერში. შელი ცოტა ხნით ფეხს ძირს დებს, ქურქს იცვამს და ფეხს ისევ იღებს. დოჯი ნელა იწყებს ხველას.)

ჰელი. (შელის) მე მგონი, საკმარისზე მეტი დრო დაგითმეთ, პატარა ქალბატონო. საკმარისზე გაცილებით მეტი. არ ვიცი, საიდან მობრძანდით ან აქ რა გესაქმებათ. ოღონდ ამ სახლში შენი სტუმრობა კი უკვე ნამდვილად არასასურველია.

შელი. (იცინის. ფეხი ისევ უჭირავს) უკვე არასასურველია!

ბრედლი. დედა! ეს ჩემი ფეხია! გამოართვი! უფეხოდ რა ვქნა?

(ბრედლი სლუკუნებს. შელისკენ იწევს ხელებს.)

ჰელი. დაუბრუნეთ ჩემ შვილს ფეხი. ამ წუთასვე!

(დოჯი თან ახველებს და თან თავისთვის ჩუმად იცინის.)

ჰელი. (დევისს) მამა, იქნებ თქვენც უთხრათ რამე! იქნებ თქვენი მაინც მოერიდოს! საკუთარ სახლში მიწყობენ ტერორს!

ბრედლი. მომეც ჩემი ფეხი!

ჰელი. კარგი, შენ მაინც გაჩუმდი, ბრედლი! ჩაიწყვიტე ხმა! ახლა რაღა გინდა ფეხი? იწექი და ხმა აღარ გამაგონო!

(ბრედლი სლუკუნებს. წევს და თავფეხიანად საბანში ეხვევა. მარტო ცალი ხელი აქვს გამოყოფილი. ჰაერში აფათურებს. ფეხისკენ იწვდება. დევისი ფრთხილად უახლოვდება შელის, რომელსაც ჯერ ისევ უჭირავს. შელი მაგრად იხუტებს გულზე ხის ფეხს. ცოცხალი თავით არ აპირებს ვინმეს დაუთმოს.)

დევისი. (შელის) ჩემო კარგო, არ ჯობია მშვიდად დავსხდეთ და მშვიდად გავარკვიოთ ყველაფერი? როგორც საღად მოაზროვნე ხალხს ეკადრება.

შელი. რომელ საღ აზრზე მელაპარაკებით? სად ხედავთ აქ საღი აზრის ნატამალს?

დევისი. საშიში არაფერია! ეს წესიერი, პატიოსანი ხალხია!

შელი. არც მეშინია.

დევისი. უცხო ოჯახში ხართ, ცოტა მეტი პატივისცემა გმართებთ.

შელი. მე კი არა, თქვენა ხართ უცხოები.

ჰელი. ეს უკვე მეტისმეტია!

დევისი. ჰელი, ძალიან გთხოვთ! მე მაცალეთ.

შელი. არ მომეკაროთ! არცერთი არ მომეკაროთ. საერთოდ ნუ მელაპარაკებით. მე არავის არც ვემუქრები და არც შეურაცხყოფას ვაყენებ. არც ვიცი, აქ რა მინდა. ყველა ამბობთ, ვინსი არ გვახსოვსო. კი ბატონო, შეიძლება მართლა არ გახსოვთ. შეიძლება, ვინსია გიჟი, გამოიგონა ყველაფერი. ჩემთვის უკვე სულერთია. მე უბრალოდ მანქანით გამოვისეირნე და ვიფიქრე, თქვენთან სტუმრობა ყურადღებაში ჩამეთვლებოდა. თან, მაინტერესებდა კიდეც. იმდენი მელაპარაკა თქვენზე, ახლობლებად გთვლიდით ყველას, თითოეულ თქვენგანს. წარმოდგენილიც მყავდით ჩემებურად. რომელიმეს გახსენებდათ თუ არა მაშინვე თვალწინ დამიდგებოდით ხოლმე. ნათლად გხედავდით. აქ რომ შემოვედი, მართლა მჯეროდა, ზუსტად ისეთი ხალხი დამხვდება, როგორიც მე მყავდა მუდამ წარმოდგენილი. მაგრამ ვერცერთი ვერ გიცანით. ვერცერთი. ოდნავადაც არ გავხართ.

დევისი. კი, მაგრამ გაცრუებული ჰალუცინაციებისთვის სხვა რატომ უნდა დავადანაშაულოთ.

შელი. ჰალუცინაცია რა შუაშია! ჰალუცინაცია კი არა, უფრო წინასწარმეტყველება იყო. თქვენ წინასწარმეტყველების გჯერათ, არა?

ჰელი. მამა, მაგასთან ლაპარაკს აზრი აღარა აქვს; პოლიცია უნდა გამოვიძახოთ.

ბრედლი. არა პოლიცია არ მოიყვანოთ! პოლიციას აქ რა უნდა! ეს ჩვენი სახლია.

შელი. სწორია, ბრედლი მართალია, თქვენ საქმეებს თვითონ აგვარებთ ხოლმე. სხვის დაუხმარებლად. ჩუმად, ბნელში.

ბრედლი. შენ ვინ გეკითხება! მეტი საქმე არა გაქვს?

შელი. არა. არდადეგები დამეწყო. რამენაირად ხომ უნდა მოვკლა დრო?!

(სცენაზე მიდი-მოდის; ყველას სათითაოდ აკვირდება.)

ბრედლი. შენ რა იცი, ჩვენ რა გადავიტანეთ. აზრზე არა ხარ!

შელი. მე ის ვიცი, რაღაც საიდუმლოს მალავთ ყველანი. თან ისე გულმოდგინედ, დაიჯერეთ კიდეც; არაფერი არ მომხდარა.

(ჰელი დევისისკენ დგამს ნაბიჯს.)

**ჰელი.** ღმერთო ჩემო! მამაო!

**დოჯი.** (თავისთვის იცინის) ამას ჰგონია, გვათქმევინებს. გამოჩხრეკს სიმართლეს, კარგი გამომძიებელივით.

**ბრედლი.** მე სიტყვას არ ვიტყვი! დასამალი რა გვაქვს! არც არასოდეს გვქონია. ყველაფერი რიგზეა. ცუდი არაფერი მომხდარა. რა ჭირს ჩვენ ოჯახს ამის საჩხრეკი და საძიებელი. ბევრს ნახავს ჩვენისთანა პატიოსან ხალხს!

**დოჯი.** პატარა გოგოს იმედი აქვს, უცებ, თვალის დახამხამებაში სააშკარაოზე გამოვიტან ყველაფერსო, ამდენი წლის მერე.

**დევისი** (შელის) ხომ ხედავ, ამ ხალხს მოსვენება უნდა, გეყოფა, დაანებე თავი. შენთვის ხომ არაფერი დაუშავებიათ.

**დოჯი.** ძირისძირამდე უნდა ჩაეძიოს. (შელის) ხომ გინდა? ბოლომდე გარკვევა. გინდა, ყველაფერი მოგიყვე? გითხრა რაც მოხდა! კი, ბატონო, გეტყვი, რატომაც არა!

**ბრედლი.** არა! ნუ უსმენ მაგას! მაგას არაფერი არ ახსოვს!

**დოჯი.** ყველაფერი მშვენივრად მახსოვს, თავიდან ბოლომდე. იმისი დაბადების დღეც მახსოვს.

(პაუზა)

**ჰელი.** დოჯ, მაგ ამბავს თუ მოყვები, კრინტს თუ დაძრავ მაგაზე, იცოდე — ჩემთვის მკვდარი ხარ. ერთხელ და სამუდამოდ დამთავრდება ჩვენს შორის ყველაფერი.

**დოჯი.** ბევრი არაფერი შეიცვლება. ჰელი, აი, ამ გოგოს ცნობისმოყვარეობა კლავს. ბოლომდე უნდა ყველაფრის გაგება. უნდა და გაიგოს, ბატონო, რა შეიცვლება მაგით! მეც მირჩევნია უცხოს მოვუყვე.

**ბრედლი.** (დოჯს) ხომ შევთანხმდით? პირობა ხომ დავდეთ! პირობას რატომ არღვევ!

**დოჯი.** რა პირობა? არ მახსოვს.

**ბრედლი.** (შელის) ხედავ, არ ახსოვს! ამ ოჯახში მარტო მე შემრჩა მახსოვრობის უნარი. მარტო მე. მაგრამ ჩემგან სიტყვას ვერ გაიგონებთ!

**შელი.** მართალი გითხრათ, აღარც ვიცი, მინდა რამის გაგება თუ არა.

**დოჯი.** (თავისთვის იცინის) გესმით! ისევ შეეშინდა!

**შელი.** არა, არ მეშინია!

(დოჯი აღარ იცინის, ხანგრძლივი პაუზა. გოგოს არ აშორებს თვალს.)

**დოჯი.** არ გეშინია, ჰა? ძალიან კარგი. იმიტომ, რომ არც მე მეშინია. უკვე იცი, ერთ დროს ჩვენ საკმაოდ შეძლებული ოჯახი გვერქვა. ბევრი შემოგვნატროდა. ბიჭები წამოიზარდნენ. ფერმა იმდენ რძეს გვაძლევდა, მიჩიგანის ტბა ვერ დაიტევდა. მე და ჰელიც მშვიდად ვუახლოვდებოდით ცხოვრების ეგრეთ წოდებულ შუადღეს. ბედს არ ვემდუროდით. მარტო იმას ვნატრობდით, ოღონდაც სულ ასე გაგრძელდესო. მერე ჰელი ისევ დაფეხმძიმდა. სად იყო და სად არა, სრულიად მოულოდნელად. არადა, ბიჭის გაჩენას აღარ ვაპირებდით. უკვე საკმარისად გვყავდა ბიჭები. თანაც, ჩვენში დარჩეს, მანამდე ექვსი წელი მე და ჰელის ერთ ლოგინშიც აღარ გვეძინებია.

**ჰელი.** (კიბისკენ აპირებს წასვლას) აღარ მინდა ამის მოსმენა! ან რა ვალდებული ვარ.

**დოჯი.** (ჰელის აჩერებს) სად მიდიხარ, ზევით? სულერთია, იქიდანაც უნდა მისმინო! რაღა ძალა გადგას, ბარემ დარჩი.

(ჰელი კიბესთან დგას.)

**ბრედლი.** ჩემი ფეხი მქონდეს, მაგდენს არ გალაპარაკებდი, კრინტს ვერ დაძრავდი.

**დოჯი.** (შელისკენ იშვერს ხელს) აგე, იმასა აქვს შენი ფეხი. (იცინის) ეგ არ დაგიბრუნებს, ჯერ ბოლომდე უნდა მოისმინოს. (შელის) არა?

**შელი.** არ ვიცი.

**დოჯი.** იცი თუ არ იცი, ახლა სულერთია, მაინც ყველაფერს ვიტყვი. (პაუზა) ჰელიმ ბავშვი გააჩინა. ბიჭი. მარტოდმარტო იმშობიარა. ადრე საუკეთესო ექიმები მომყავდა, საუკეთესო ბებია ქალები. მაშინ კი არავინაც არ მოვუყვანე, კინაღამ გადაყვა. მაგრამ, მაინც გააჩინა. ისიც კაი ჯანიანი ბიჭი დაიბადა. ცოცხლობდა, იზრდებოდა. ამ ოჯახში უნდოდა გაზრდილიყო მაინცდამაინც. ჩვენთან, ჩვენნაირი, ჩვენიანი. უნდოდა, მამობა გამეწია. ჰელიც მარწმუნებდა, შენი შვილიაო. არადა. ყველამ იცოდა. ყველამ: მეზობლებმაც, ჩვენმა ბიჭებმაც, ტილდენმაც.

**ჰელი.** გაჩუმდი! ბრედლი, გააჩუმე!

**ბრედლი.** როგორ გავაჩუმო!

**დოჯი.** ყველაზე კარგად ტილდენმა. ყველა ჩვენგანზე უკეთესად. აიყვანდა ხოლმე ხელში და ასეირნებდა. ჰელიც ნებას აძლევდა. ზოგჯერ მთელი ღამე დაატარებდა. მინდორში გაჰყავდა. ელაპარაკებოდა, უმღეროდა; ბევრჯერ გამიგონია. ზღაპრებს იგონებდა, რა ზღაპარს არ უყვებოდა. არა და იცოდა, სიტყვაც არ ესმისო, არცერთი სიტყვა. ვერც ვერასოდეს გაიგებდა. ეგრე გაგრძელება აღარ შეიძლებოდა. ჩვენ ოჯახში ვერ გავზრდიდი, ჩვენი ცხოვრებით ვერ ვაცხოვრებდი. ჩვენ შორის. მაშინ ყველაფერი, რასაც მივაღწიეთ, სისულელედ იქცეოდა. ერთი ეს შეცდომა, ყველაფერს ხაზს გადაუსვამდა. ერთი სისუსტე.

**შელი.** მოკლა, მოკალი?

**დოჯი.** მოვკალი, დავახრჩე. კატის კნუტივით გადავაგდე წყალში.

(ჰელი ბრედლისკენ მიდის.)

**ჰელი.** (ბრედლის) ანსელი გააჩუმებდა! ჩააწყვეტინებდა ხმას! ამდენ ტყუილს როგორ გააბედინებდა! ანსელი გმირი იყო! კაცი! ვაჟკაცი! რა დაემართათ ამ ოჯახში კაცებს! საერთოდ, რა იქნენ კაცები!

ეროვნული ბიბლიოთეკა

(უცებ მარცხნიდან ვინსი შემოდის, გრუხუნით აღებს ბადიან კარს, ანჯამებიდან გლეჯს. დოჯის და ბრედლის გარდა ყველა უკან იხევს, ვინსს შესცქერიან, უგონოდ მთვრალი ვინსი პირქვე ენარცხება, ხმამაღლა მღერის და გაჭირვებით დგება ფეხზე. ცარიელი ბოთლებით სავსე ქაღალდის პარკი უჭირავს. სიმღერ-სიმღერით იღებს პარკიდან ბოთლებს სათითაოდ და ვერანდის მოპირდაპირე კედელს ესვრის. ისმის ბოთლების მსხვრევის ხმა. შელი ნელა მიდის კარისკენ, ხელში ხის ფეხი უჭირავს და ვინსს არ აშორებს თვალს.)

**ვინსი.** (ხმამაღლა მღერის, თან ბოთლებს ისვრის.) **„დავიპყარით ყველა მთა და დავიპყარით ყველა ზღვა, ვერც ხმელეთზე და ვერც წყალზე ვერავინ მოგვერევა“.**

(სიტყვებს „მთა“, „ზღვა“, „წყალზე“ და „მოგვერევა“ — ახალ-ახალი ბოთლის მსხვრევა მოსდევს. წამით ბოთლების სროლას თავს ანებებს, სცენაზე მყოფებისკენ იხედება, თვალებს იჩრდილავს, თითქოს ბრძოლის ველს გაჰყურებსო, ხელები რუპორივით მიაქვს პირთან და წარმოდგენილ არმიას გასძახის. ყველა დამფრთხალი, გაფაციცებული ადევნებს თვალს.)

**ვინსი** (წარმოდგენილ არმიას) **ტყვია-წამალი ხომ არ შემოგაკლდათ? თუ გაჭირდა, აქ ჯერ ბევრია დარჩენილი!** (ბოთლებით სავსე პარკზე უთითებს) **ბლომად! კაი ხანს გვეყოფა!**

(ახალ ბოთლს იღებს, ყუმბარის სტვენისმაგვარ ხმას გამოსცემს და ბოთლს მთელი ძალით ისვრის. კედელზე მიმსხვრეული ბოთლის ხმა. ბოთლებს მართლა უნდა ამტვრევდეს, მაგნიტოფონის ჩანაწერის გამოყენება სასურველი არ არის. ისევ ყვირის და ზედიზედ ტყორცნის ბოთლებს მიზანში.

ცოტა ხნით ჩერდება, დაღლილობისგან მძიმედ სუნთქავს. ხანგრძლივი სიჩუმე. ყველა მას შესცქერის. შელი გაუბედავად დგამს ვინსისკენ რამდენიმე ნაბიჯს. ბრედლის ხის ფეხი ჯერაც ხელში უჭირავს.)

**შელი.** (პაუზის შემდეგ) **ვინს?**

(ვინსი მისკენ ტრიალდება. ტიხარიდან იჭყიტება.)

**ვინსი. რაო? ვინსო? აბა ვინსი? რომელი ხარ?**

(ვინსი სახით მიჰკვრია ტიხარს, ყველას რიგრიგობით ათვალიერებს.)

**დოჯი. სადაა ჩემი ოხერი ბოთლი?**

**ვინსი.** (დოჯს უყურებს) **რაა? ვინა ხარ მანდ?**

**დოჯი. მე ვარ! ბაბუაშენი! თავს ნუ ისულელებ: ორი დოლარი რა იქნა?**

**ვინსი. ორი დოლარი?**

(ჰელი ტიხარისკენ მიდის, უახლოვდება, ცდილობს ტიხარს იქით ვინსის სახე გაარჩიოს.)

**ჰელი. ვინსენტ? ვინსენტ, შენა ხარ?**

(შელი ჰელის შესცქერის, მერე ისევ ვინსისკენ იხედება.)

**ვინსი** (ვერანდიდან) **აბა ვინსენტი? რა გინდათ? ვინა ხართ, ხალხო?**

**შელი.** (ჰელის) **მოიცათ, მოიცათ, ერთი წუთით! რა ხდება აქ?**

**ჰელი.** (კიდევ უფრო უახლოვდება ტიხარს) **მკვლელი გვეგონე. რა ყაჩაღივით შემოგვივარდი!**

**ვინსი. მკვლელი ვარ, აბა ვინა ვარ! არაფერი შეგეშალოთ! მკვლელი, ვამპირი, კაციჭამია! მთელ ოჯახებს თვალისდახამხამებაში ვახრამუნებ!**

(ვინსი პარკიდან ახალ ბოთლს იღებს და კედელზე ამსხვრევს. ჰელი უკან იხევს.)

**შელი.** (ჰელის უახლოვდება) **ესე იგი, იცნობთ?**

**ჰელი. რას ქვია, ვიცნობ? მომეშვი ერთი, თუ ღმერთი გწამს!**

**ბრედლი.** (დივანზე წამომჯდარა) **გადი. გადაშენდი მაქედან. ხანამ ლამაზი ხარ, შე დარეხვილო! რას ამტვრევ მაგ ბოთლებს? საერთოდ, ვინ არის ეს უცხო ხალხი? საიდან მოეთრა?**

**ვინსი. წავალ კი არა, თავზე დაგამტვრევთ ამ ბოთლებს, ჰკუით თუ არ იქნებით!**

**ჰელი.** (ვერანდისკენ მიდის) **არ გაბედო! რა დაგემართა, ვინსენტ? როგორ იქცევი!**

**ვინსი. შემოვალ და გაგყრით სუყველას ქუჩაში!**

(ჰელი დევისისკენ ტრიალდება, მერე მისკენ მიდის)

**ჰელი.** (დევისს) **მამაო, რატომ არ ჩაერევით, ხომ ხედავთ, რა ხდება? თქვენ მაინც დააწყნარეთ როგორმე!**

(დოჯი იცინის, თან ახველებს)

**დევისი. მე აქ სტუმარი ვარ, ჰელი, არც ვიცი, როგორ მოვიქცე. თანაც, ესენი ჩემი მრევლის წევრებიც არ არიან.**

(სანამ ჰელი და დევისი საუბრობენ, ვინსი ისევ იწყებს ბოთლების სროლას)

**ბრედლი. ფეხი მქონდეს, მე ვიცი როგორც დავაწყნარებდი! ერთი დამაჭერინა, ყურებს დავაგლეჯდი! კინწისკვრით ვიფრენდი აქედან!**

(ბრედლი მუშტს ურტყამს ტიხარს, გაამტვრევს და ვინსისკენ იწვდენს ხელს, ეპოტინება, მაგრამ ვერ იჭერს. ვინსი გვერდზე ხტება).

**ვინსი. აააა! ღალატია! ნახე ეს რვაფეხა ეხა! ეს ჯოჯო რამდენს ბედავს!**

(ბოთლს არტყამს ხელზე ბრედლის. ბრედლი ისევ უკან შემოყოფს ხელს.)

**შელი. ვინს! მორჩი ახლა, გეყო! წამიყვანე აქედან!**

(ვინსი ისევ სახით ებჯინება ტიხარს, შელის უყურებს.)

**ვინსი.** (შელის) **ტყვედ ჩაგიგდეს, არა, საყვარელო? ეგეთი ლამაზი, ეგეთი პატარა. ჯერ ცხოვრებაც არ დაგიწყია. კოკორი არ გაგფურჩქნია!**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲨᲔᲚᲘ. კარგი, გეყოფა! მოვდივარ. ამ წუთას გამოვალ, ჩავსხდეთ მანქანაში და წავიდეთ აქედან! სადაც გინდა. ოღონდ აქაურობას მოვშორდეთ.

(შელი ვინსის საქსოფონის ბუდისკენ და ლაბადისკენ მიდის. ხის ფეხს იატაკზე დებს, საქსოფონს და ლაბადას იღებს. ვინსი ტიხრის იქიდან ადევნებს თვალს.)

ᲕᲘᲜᲡᲘ. (შელის) უნდა მოვილაპარაკოთ, პირობებზე შევთანხმდეთ. ტყვეები გავცვალოთ. იმათ რამდენიმეში ჩვენი ერთი. შენ თუ მთხოვ, მაგაზეც თანახმა ვარ.

(შელი მარჯვნივ, ხის კარებისკენ მიდის. ხელში საქსოფონი და ლაბადა უჭირავს.)

ᲨᲔᲚᲘ. წადი, მანქანა მოაყენე! ამ წუთას გამოვალ. წასვლის დროა.

ᲕᲘᲜᲡᲘ. ფეხი არ გამოადგა! არ გაბედო!

(შელი კარის შორიახლოს ჩერდება.)

ᲨᲔᲚᲘ. რა იყო?

ᲕᲘᲜᲡᲘ. საზღვრის დამრღვევი მკაცრად დაისჯება! სდექ! აკრძალული ტერიტორიაა. აქ შემოსული ბევრი მინახავს, მაგრამ ამის წამლები არავინ დარჩენილა.

ᲨᲔᲚᲘ. მე მაინც ვცდი.

(შელი კარებთან მიდის და აღებს. ვინსი ჯიბიდან დასაკეც სანადირო დანას იღებს, ხსნის, ცდილობს დანით ტიხარში ხვრელი გამოჭრას. იმოდენა, გადმოძრომას რომ შეძლებს. სანამ ტიხარს ებრძვის, ბრედლი დივანის კუთხეში იკუნტება)

ᲕᲘᲜᲡᲘ. (ხვრელის გამოჭრას აგრძელებს) ფეხი არ გამოადგა! გაფრთხილებ! თორემ გაგხეთქავ ნაკერავზე!

(დევისი ჰელის მკლავზე ხელს კიდებს და კიბისკენ უბიძგებს.)

ᲓᲔᲕᲘᲡᲘ. ჰელი, სანამ ეს ქარიშხალი გადაივლიდეს, იქნებ ზევით ავსულიყავით.

ᲰᲔᲚᲘ. ვერაფერი გამიგია. თავგზა ამებნა. რა წესიერი ბიჭი იყო, როგორი საყვარელი!

(დევისი თაიგულს ხის ფეხის გვერდით აგდებს, კიბესთან. მერე სწრაფად მიუყვება კიბის საფეხურებს ჰელისთან ერთად. ჰელი უკან-უკან იხედება ვინსისკენ, სანამ ზემოთ ადიან.)

ᲰᲔᲚᲘ. ნაკლი არ ჰქონდა! ყველას უყვარდა ვინსენტი. ყველას, საოცარი ბავშვი იყო.

ᲓᲔᲕᲘᲡᲘ. მალე ისევ ყველაფერი კარგად იქნება. რა მოხდა? ცოტა მეტი მოუვიდა.

ᲰᲔᲚᲘ. ძილში მღეროდა ხოლმე. მძინარე შუა ღამისას. მერე რა ტკბილი ხმით. ანგელოზის ხმა ჰქონდა. (წამით ჩერდება) ვიწექი ხოლმე თვალდაჭყეტილი და ვუსმენდი. ახლა გინდაც მოვკვდე; არაფერი უჭირს-მეთქი. ვფიქრობდი. ვინსენტი ანგელოზი იყო და იმიტომ. მფარველი ანგელოზი. ის მოგვხედავს. ის იზრუნებს-მეთქი ჩვენზე. ყველაზე

(დევისს კიბეზე აჰყავს. ზემოთ უჩინარდებიან. ამ ორივე. ვინსი უკვე ხვრელში [illegible] [illegible] დივანზე გადმოდის. ბრედლი დივანის [illegible] ვარდება, საბანჩაბღუჯული. საბანი მაგრად აქვს შემოხვეული. შელი ვერანდაზე გასულა. ვინსს დანა კბილებში უჭირავს. ბრედლი ნელ-ნელა მიხოხავს თავისი ხის ფეხისკენ, ხელი წინ გაუწვდენია.)

ᲓᲝᲯᲘ. (ვინსს) მიდი! კარგი ხარ! ჩაიბარე სახლი! ჩაიბარე მთელი ეს დაწყევლილი სახლი! უფლებაც გაქვს! შენია. პირველად რომ დავაგირავეთ, იმის მერე სულ ლოდად მაწვა გულზე. ახლა ყოველ წუთას შეიძლება მოვკვდე. ყოველ წუთას. ვერც კი შევამჩნევთ ვერცერთი. მოდა, ბარემ ერთხელ და სამუდამოდ ჩემ საქმეებსაც მოვაგვარებ. სანამ დროა.

(ვიდრე დოჯი თავის უკანასკნელ სურვილსა და ანდერძს საჯაროდ აცხადებს, ვინსი ოთახში გადმოძვრება. დანა ისევ კბილებით უჭირავს, და ნელ-ნელა იწყებს აქეთ-იქით სიარულს, საკუთარ სამემკვიდრეოს ათვალიერებს. შემთხვევით ამჩნევს, როგორ მიხოხავს ხის ფეხისკენ ბრედლი. ვინსი ხის ფეხთან მიდის. ფეხს წაკრავს და უფრო შორს გადააგდებს, საქმეს ურთულებს ბრედლის. მერე სახლის თვალიერებას აგრძელებს. ვარდების თაიგულს იღებს, ახლა თაიგულიანად მიდი-მოდის, თან ყვავილებს ყნოსავს. ვერანდაზე შელი მოჩანს. ნელა უახლოვდება ტიხარში და გამოჭრილ ხვრელს და ვინსს ადევნებს თვალს. ვინსი ვერ ამჩნევს.)

ᲓᲝᲯᲘ. სახლი ჩემი შვილიშვილის, ვინსის მფლობელობაში გადადის. მთელი ავეჯიანად, ჭამ-ჭურჭლიანად და პირადი ნივთებიანად. ყველაფერი: რაც კედლებზეა გამოკიდებული, თუ სხვანაირადაა ამ ჭერქვეშ დაბინავებული. ჩემი სამუშაო ხელსაწყოები — კერძოდ ჩემი ბირდაბირი, ჩემი ხერხი, ჩემი ბურღი, ჩემი ხელეჩო, ჩემი სახარატო ჩარხი, ჩემი ელექტრო-შალაშინი. ყველაფერი დარჩეს ჩემს უფროს ვაჟიშვილს ტილდენს. იმ შემთხვევაში, თუკი ოდესმე დაბრუნდება. ჩემი ყველა მანქანა-იარაღი, კერძოდ: ჩემი ტრაქტორი, ჩემი ბულდოზერი, ჩემი ხელის კულტივატორი, ზემოთ ჩამოთვლილთა სათადარიგო ნაწილებთან ერთად, აგრეთვე: ჩემი ფარცხი, ჩემი გუთანი, ავტომატური მიწის გამანოყიერებელი, ჩემი სამკელი მანქანა, ჩემი სათიბი მანქანა, ჩემი სათესი მანქანა, ჩემი მიკროკომბაინი, ჩემი კომპრესორი, ჩემი პნევმატური ჩაქუჩი, ჩემი სახარატო ჩარხი — (თავისთვის) სახარატო ჩარხი ვთქვი? სახარატო ჩარხი უკვე ვახსენე — ჩემი გუდმანის ფირფიტები, ჩემი მოსართავ-აკაზმულობა, ჩემი ლაგამ-აღვირები, ჩემი ავშარები, ჩემი ბიჯგები, ჩემი ქლიბები, ჩემი სამჭედლო ქურა, ჩემი შესადუღებელი მოწყობილობა, ჩემი საჩექმე ლურსმნები, ჩემი თარაზო და სახაზავი; ჩემი ჯორკო — არა; ჯორკო არა — ჩემი ჩაქუჩები და [illegible], ჩემი ანჯამები, ჩემი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საძოვრის ალაყაფის კარი. ჩემი დახვეული მავთული, ცხენისძუის თოკები და სხვა დანარჩენი. ერთ უშველებელ გროვად დაიყაროს და ჩემი მინდვრის ზუსტად შუაგულში ცეცხლს მიეცეს. როცა ყველაზე მაღალი ალი ავარდება, სასურველია ცივ. უქარო ღამეს. ჩემი გვამიც ჩააგდონ ამ ცეცხლში და დაწვან. ნაცრად აქციონ.

(პაუზა. ვინსი პირიდან დანას იღებს და ვარდებს ყნოსავს. სახით მაყურებელთა დარბაზისკენ დგას და შელისკენ არ ტრიალდება. დანას კეცავს და ჯიბეში იდებს.)

**შელი.** (ვერანდიდან) მე მივდივარ, ვინს. სულ ერთია, შენც წამოხვალ თუ არა, მაინც მივდივარ.

**ვინსი.** (ვარდებს ყნოსავს) სანამ წახვალ, ჩემი საყვირი მანდ დადე, სკამზე.

**შელი.** ესე იგი, არ მოდიხარ?

(ვინსი არ ინძრევა, ერთ ადგილზე დგას, ავანსცენაზე. მერე ტრიალდება და შელის უყურებს.)

**ვინსი.** ეს წუთია, სახლის მემკვიდრე გავხდი.

**შელი.** აქ გინდა დარჩენა?

**ვინსი.** (ერთხელაც წაკრავს ფეხს, ერთხელაც უცვლის ადგილს ბრედლის ხის ფეხს) ოჯახის ტრადიცია უნდა გავაგრძელო. საქმეს მივხედო, სანამ მთლად გაპარტახებულა აქაურობა.

(ბრედლი იატაკზე გდია; ქვემოდან ასცქერის, მერე ისევ მიფოფხავს თავისი ფეხისკენ. ვინსი ხის ფეხს ერთხელ კიდევ უცვლის ადგილს.)

**შელი.** რა მოგივიდა, ვინს? გუშინ ხომ დაიკარგე?

**ვინსი.** (პაუზა. მერე, როცა ლაპარაკს იწყებს, კვლავ დარბაზისკენ ტრიალდება) წუხელ აუცილებლად უნდა გავქცეულიყავი, გავქცეულიყავი და აღარც გავჩერებულიყავი კარხანს. მთელი ღამე ვიარე მანქანით, თითქმის აიოვას საზღვრამდე. ბებრის ორი დოლარი გვერდზე მეგდო, სკამზე. მთელი გზა წვიმდა. ერთხელ არ გადაუღია. შუშაში ჩემ თავს ვხედავდი. ჩემს სახეს. ჩემს თვალებს. ჩემს სახეს ვაკვირდებოდი. ვსწავლობდი. ყველა ნაკვთს, ყველა ნაოჭს, ყველაფერს. თითქოს სხვა კაცს შევცქეროდი. თითქოს იმ სახის იქით მთელ იმის მოდგმას ვხედავდი. გინდაც მუმიის სახისთვის მეცქირო. ერთდროულად მკვდარსაც ვხედავდი და ცოცხალსაც. ერთსა და იმავე დროს. შუშაში. ვაკვირდებოდი თან როგორ სუნთქავდა კიდეც თითქოს დროში გაყინული. და ყოველი ამოსუნთქვა ნიშანს ადებდა. სამარადისოდ. ისე რომ თვითონ არც იცოდა. მერე კი სახე შეიცვალა. ახლა ის სახე მამამისის სახე გახდა. იგივე ყვრიმალები. იგივე თვალები. იგივე ცხვირი. იგივენაირი სუნთქვა. მერე მამის სახე ბუბუისამ შეცვალა. და გაგრძელდა და გაგრძელდა ასე. ცვლილებები. ახალ-ახალ სახეებს უკვე ვეღარ ვცნობდი, არცერთი არ მენახა ადრე, არადა, ყველა მაინც ნაცნობი იყო. იმათი თავისქალის ძვლები იყო ნაცნობი, თვალებიც, სუნთქვაც. პირიც. ლამის აიოვამდე მივდიე ჩემ ოჯახს. ბოლომდე. ძირისძირამდე, მამამთავრამდე. მივდიე სადამდეც გამიყოლეს. მერე ყველაფერი გაქრა, გაცამტვერდა. გაუჩინარდა.

(შელი ცოტა ხანს დაყინებით შესცქერის, მერე ხელს ხვრელში გამოყოფს და ვინსის საქსოფონს და ლაბადას დივანზე დააწყობს. ისევ უყურებს ვინსს.)

**შელი.** კარგად იყავი, ვინს.

(შელი ვერანდიდან კულისებში გადის. ვინსი თვალს აყოლებს. ბრედლი ერთსაც გაიბრძოლებს, ცდილობს ხის ფეხი ჩაბღუჯოს ბოლოს და ბოლოს. ვინსი სწრაფად იღებს ხის ფეხს იატაკიდან და ბრედლის თავს ზემოთ ათამაშებს, თითქოს ჩარტყმას უპირებს. ბრედლი ჰაერში აფათურებს ხელებს, ხის ფეხის წართმევას უპირებს. კიბეზე დევისი ჩამოდის და შუა გზაში ჩერდება. ბრედლის და ვინსს მისჩერებია. ვინსი დევისს გახედავს და ულიმის. ხის ფეხიანად უკან-უკან იხევს, შუა სცენისკენ და ბრედლიც ხოხვით მიჰყვება.)

**ვინსი.** (დევისს, თან ბრედლის აჯავრებს) ოხ, ბოდიში. მაპატიეთ, მამაო. სახლის დასუფთავება წამოვიწყე. პარაზიტების მოსპობა. ეს ახლა ჩემი სახლია, იცით? ყველაფერი ჩემია. სულ ყველაფერი. მანქანების და იარაღების გარდა. თუმცა, მანქანა-იარაღები მაინც ახალი უნდა ვიყიდო. ახალი გუთნები, ახალი ტრაქტორი, ყველაფერი ახალთახალი. (ვინსი ბრედლის აღიზიანებს. ხის ფეხს ხან ახლოს მიუტანს სახესთან, ხან მოაშორებს, ხოხვა-ხოხვით, სცენის მარცხენა კუთხისკენ მიყავს.) პირველი სართულიდან დავიწყე დასუფთავება.

(ვინსი მოიქნევს და ბრედლის ხის ფეხს მარცხნივ კულისებში ისვრის. ბრედლიც ფეხს მიყვება სლუკუნით. ძლივსძლივობით მიხოხავს. ბრედლი სცენიდან გადის, გასვლამდე ვინსი საბანს აძრობს და თვითონ იხურავს მხრებზე. დევისისკენ მიდის, თან ყვავილებს ყნოსავს. დევისი კიბიდან ჩამოდის.)

**დევისი.** ჯობია, ახვიდე და ბებიაშენი ნახო.

**ვინსი.** (კიბეს ასცქერის, მერე დევისზე გადააქვს მზერა) ბებიაჩემი? ამ სახლში სხვა არავინაა. თქვენს მეტი. და თქვენც მიბრძანდებით. არა, მამაო?

(დევისი მარჯვნივ, ხის კარისკენ მიდის. ვინსისკენ ტრიალდება.)

**დევისი.** ვინმე უნდა ჰყავდეს გვერდით. მე ვერ მივეხმარები ვერაფრით. არ ვიცი, რით მივეხმარო. საერთოდ, ჩემი საქმეა თუ არა. მე უბრალოდ ჩაის დასალევად შემოვიარე. რა ვიცოდი, რა ხდებოდა. წარმოდგენაც არ მქონდა.

(ვინსი უხმოდ შესცქერის. დევისი ვერანდაზე გადის და მარცხნივ უჩინარდება. ვინსი იქამ-

დე აყურადებს, სანამ მისი ნაბიჯების ხმა საბოლოოდ მიწყდება. ვარდებს ყნოსავს, კიბეს ახედავს და მერე ერთხელაც დაყნოსავს თაიგულს. ტრიალდება, შუა სცენისკენ, დოჯისკენ იხედება. უახლოვდება, ჩაიმუხლავს და ღიად დარჩენილ თვალებში ჩახედავს დოჯს. დოჯი მკვდარია. მისი სიკვდილი ყველასთვის სრულიად შეუმჩნეველი უნდა იყოს. ვინსი საბანს თავზე იხვევს. ერთ ვარდს გულზე ადებს დოჯს. მერე დივანზე ჯდება, ვარდებს ყნოსავს და დოჯს არ აშორებს თვალს. ხანგრძლივი პაუზა. ვინსი დივანზე წვება, თავქვეშ ხელებამოწყობილი, ჭერს შესცქერის, მწოლიარე ძალიან ემსგავსება დოჯს. ცოტა ხნის შემდეგ ზემოდან ჰელის ხმა ისმის. ჰელი ლაპარაკს წამოიწყებს თუ არა, ლამის იმწამსვე შუქი კლებულობს. ვინსი კვლავ ჭერს შესცქერის.)

**ჰელის ხმა.** დოჯ? მანდა ხარ, დოჯ? ტილდენი თურმე მართალს ამბობდა პურზე. ასეთი მოსავალი ცხოვრებაში არ მქნახავს. ბოლო დროს შენ არ გაგიხედია? კაცის სიმაღლეა. თანაც, ჯერ ადრეა. სტაფილოც სავსეა. კარტოფილი, ლობიო. სამოთხეს ჰგავს აქაურობა, დოჯ. უნდა ნახო. აუცილებლად. სასწაულია, მსგავსი არაფერი მინახავს. წვიმამ თუ ქნა. ალბათ, წვიმის ამბავია.

(სანამ ჰელი ლაპარაკობს, მარცხნიდან ტილდენი გამოჩნდება, მუხლებს ქვემოთ ტალახში ამოგანგლული. ხელებიც ტალახში ამოსვრია, მკერდზე მიხუტებული, პატარა ბავშვის გვამს მოაქვს, თან თვალმოუშორებლად დასცქერის. უფრო სწორად, გვამი კი არა, ჩონჩხია, ტალახიან, დამპალ ნაჭერში გახვეული ძვლები. ნელა უახლოვდება კიბეს, დივანზე დაწოლილ ვინსს ვერ ამჩნევს. ვინსიც ისევ ჭერს შესცქერის, ტილდენის შემოსვლა ვითომ არ გაუგია. ჰელის ხმა განუწყვეტლივ ისმის; ტილდენი მძიმედ ადის კიბეზე. ჯიუტად დასცქერის ბავშვის ჩონჩხს. ერთხელ არ სწევს თავს მაღლა. შუქი თანდათან კლებულობს.)

**ჰელის ხმა.** კარგი წვიმაა, ბარაქიანი. ფესვებამდე აღწევს. მერე თვითონ იზრუნებს თავის თავზე. წვიმა თუ არ მოაკლდა თავისით გაიზრდება. ძალით ვერც გაზრდი. ძალიანაც რომ მოინდომო. ჩვენგან დამალულად ხდება ყველაფერი. უჩინრად. კაცმა იქამდე უნდა იცადო, სანამ მიწიდან ამოყოფს თავს. პაწაწინა ყლორტს გამოაჩენს. თეთრ ყლორტს. ქონჩრიანს. ერთიბეწოს. ოღონდ ძლიერს. ძალიან ღონიერს. ხუმრობაა. მიწაში გამოდის. სასწაულია. დოჯ. ამისთანა მოსავალი ჩემ სიცოცხლეში არ მინახავს. იქნებ მზემ უშველა. ალბათ. ალბათ მზის ბრალია.

(ტილდენი ზემოთ უჩინარდება. სიჩუმე. შუქი საბოლოოდ ქრება.)

გადაეცა წარმოებას 2. 06. 92 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 26. 07. 92 წ.
საბეჭდი ქაღალდი 5,25.
ქაღალდის ფორმატი $70 \times 108^{1}/_{16}$.
ფიზიკური ნაბეჭდი თაბახი 11,5,
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 19,65.
შეკვეთა 931. ტირაჟი 2000.

ჟურნალში დაბეჭდილია შ. შამოევის და ი. კვაჭანტირაძის ფოტოები.

რედაქცია ბოდიშს უხდის ხელისმომწერლებს ქაღალდის დეფიციტის გამო გაძვირებული ნომრისათვის